



# საქართველოს ზიზღირთეპა

„ზინანსთ მიწისქეჩის მიქი ხაძღვენი — ი შიქქეჩი ქათაყ  
საქიძღ მახკებისა მღუნქდაყ — იქნას. ქათაყ — ი საქიძღ მახკების  
ხმაქიძამი შქმღვეღის ქოთრან ვაყქმქეს ხაყსაყ — ი საქიძღ მახკები.“

განგვი „საქართველოს ჩინებულოყ“  
1909 წ. აგვისტო.





საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: [sakartvelosbiblioteka@gmail.com](mailto:sakartvelosbiblioteka@gmail.com)

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	<b>მაია მიქაბერიძე</b>
საპატიო რედაქტორი:	<b>ალექსანდრე ლორია</b>
სარედაქციო კოლეგია:	<b>გულნარა ხტურუა რუსუდან ასათიანი დალი შაჩაიძე გიორგი ჩუბინიძე მირიან ხოსიტაშვილი</b>
ტექნიკური რედაქტორი:	<b>ლოლა სანაია</b>
დიზაინი:	<b>გიგი გელაშვილი</b>
დაკაბადონება:	<b>რევაზ თხილიშვილი</b>

საქართველოს ბიბლიოთეკა №4 (89) – 2022; გამოიცემა 2000 წლიდან.  
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880  
[www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)  
[www.gela.org.ge](http://www.gela.org.ge)



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მარკები 1919 -1921





# შინაარსი

რედაქციონისაგან  
**მაია მიქაბერიძე**  
წლის მიწურულს

3

ბიბლიოთეკა და საბოვადლება  
**ძმები არველაძეების**  
საქველმოქმედო აქცია

4

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა:  
საფოსტო მარკები  
**მაია მიქაბერიძე**  
საფოსტო მარკები, როგორც  
საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის  
შემადგენელი ნაწილი

5

**ლევან თაქთაქიშვილი**  
საქართველოს დემოკრატიული  
რესპუბლიკის საფოსტო მარკები  
1918-1921

7

**მაია მიქაბერიძე**  
საქართველოს სსრ მარკები  
1922-1923 წლები

12

**მაია მიქაბერიძე**  
1993 წელი - ქართული მარკების  
ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისი

14

**ჰაატა ნაცვლიშვილი**  
ფილატელისტური რუსთველიანა  
ორი გაგრძელებით

16

ნიენის ისკორია  
**ნინო ხვედელიძე**  
ჰანს ლუფტის გამოცემები

28

საბიბლიოთეკო საქმის ცნობილი  
ნარკომადგენლები  
**დავით შუღლიაშვილი**  
თამარ კუცია-ღვალაძე – ამაგდარი  
„წიგნთაღმწერელი“ – 120

32







ისგორია

### ბონდო არველაძე

სომხეთის ისტორიის გაკვეთილები

36

შხაგვრული ლიგერატურა:  
კოლეგების შემოქმედება

### გულნარა სტურუა

ლექსები

39

### ციციწო იოსელიანი

ამ სავანეში ღმერთი და სიყვარულია

41

რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

### ალექსანდრე ლორია

ქართველი ხალხის ეთნიკური  
ისტორიის ასახვის მნიშვნელოვანი  
შენაძენი

43

### ამირან არაბული

ლექს იტყვის ივრისპირელი  
(თამაზ წოწოლაურის პოეზია)  
ტარიელ ხარხელაური. წიგნიდან...

45

ბიბლიოთეკის ჩანაწერები

### ლევან თაქთაქიშვილი

წიგნი ჩემი მონარქია (გაგრძელება)

47

რეპლიკა

### გიორგი გაბუნია

უზუსტობაც არის და უზუსტობაც!!!

60

### საიუბილეო და

### ღირსშესანიშნავ ღღეთა

2023 წლის კალენდარი

61

### გირჩევთ, გაეცნოთ წიგნებს...

63



**მაია მიქაბერიძე**

ჟურნალის წლის დამამთავრებელ ნომერზე მუშაობას, როგორც წესი, განსხვავებული განწყობა ახლავს – არავინ გთხოვს, მაგრამ შენ მაინც სურვილი გიჩნდება, ანგარიში ჩააბარო ჯერ საკუთარ თავსა და მერე საზოგადოებას. მთავარი, რისთვისაც შრომობ, საზოგადოების სამსახურია, მისი ინტერესების გათვალისწინებაა, მისი დახმარებაა, შესაძლებლობის ფარგლებში.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ პროფილური გამოცემაა, მაგრამ საბიბლიოთეკო და სამნიგნობრო თემის პარალელურად, მის ფურცლებზე იგრძნობა ჩვენი ქვეყნის მაჯისცემაც – ტკივილი და სიხარული, ნგრევა და აღმშენებლობა, წარსულის გაანალიზების ცდები და ბედნიერი მომავლის მოლოდინი. ასე იყო წელსაც – 2022 წელი მეგობარ ქვეყანაზე მტრის თავდასხმით გამოწვეული საშინელი განცდებით დაიწყო და ეს აისახა ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში. მომდევნო ნომერში კი გამოჩნდა ის ვნებათაღელვა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ევროპის პოლიტიკურ კავშირში გაერთიანების პერსპექტივებს უკავშირდება.

ახლა წლის დასასრულია და უკრაინის ომში, რომელსაც ქართველი ხალხი საკუთარ ომადაც აღიქვამს, უკრაინელთა საბრძოლო წარმატებებმა სიხარულითა და იმედებით აგვავსო. მინდა მჯეროდეს, რომ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა ლოგიკურ დასასრულამდე – საბოლოო გამარჯვებამდე მივა და ადამიანთა გონება და ფიქრი მშვიდობიან ცხოვრებაზე გადაერთვება. ამ განწყობით მოვამზადებ

## წლის მიწურულს

ჟურნალის ბოლო ნომერიც, რომელიც კულტურულ მემკვიდრეობის ერთ სფეროს – საფოსტო მარკებს ეხება.

თითოეული ქვეყნა, რომელიც მიისწრაფვის ცივილიზებულ ერთა ფერხულში ჩასაბმელად, ცდილობს, სხვადასხვა ფორმით გამოხატოს საკუთარი თვითმყოფადობა. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქვეყნის თვითგამოხატვის ერთ-ერთი ფორმა საფოსტო მარკებიცაა. საფოსტო მომსახურების გადასახადის გასამარტივებლად საუკუნე-ნახევრის წინ გამოგონილმა ამ პატარა ფურცელმა დღემდე შეინარჩუნა თავისი პირვანდელი კომერციული დანიშნულება და, ამავე დროს, დროთა განმავლობაში, ახალი ინტერესების წყაროც გახდა.

ჟურნალის ამ ნომრის წამყვან თემად საქართველოს საფოსტო მარკები იმის გამო ავირჩიეთ, რომ, ჩვენი აზრით, თავისი გამომსახველობითი მრავალფეროვნებისა და განვითარების ძველი და რთული ისტორიის გამო, ქართული მარკა საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს. მკითხველი გაეცნობა რამდენიმე წერილს საქართველოს საფოსტო მარკების განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ დაწყებული მე-19 საუკუნიდან დღემდე.

გარდა ქართული მარკებისა, ამ ნომერში იბეჭდება წერილები, რომლებშიც ასახულია როგორც საბიბლიოთეკო, ასევე კულტურული ცხოვრების სხვა სფეროების სიახლეები – საზოგადოების ჩართულობა ბიბლიოთეკების ფონდების შევსება-გამდიდრების პროცესში; საბიბლიოთეკო საქმის ამაგდარი მოღვაწის თამარ კუცია-ღვალაძის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა; გამოხმაურება ქართულ-სომხური ურთიერთობის გაყალბებული ისტორიის საკითხებზე; ახალგამოცემული ნიგნების მიმოხილვები და სხვა საინტერესო მასალები.



## ძმები არველაძეების საქველმოქმედო აქცია



ჩვენს რთულსა და შფოთვებით სავსე დროში, საზოგადოების მხრიდან საბიბლიოთეკო სფეროს მიმართ გამოვლენილი ყოველი ინტერესი ამ საზოგადოების ერთგვარი კეთილი მახასიათებელია. ადამიანები აცნობიერებენ, რომ ბიბლიოთეკა არა მხოლოდ ინფორმაციის ან თუნდაც ესთეტიური სიამოვნების მიღების ადგილია, არამედ ადამიანურ განცდათა და შეხედულებათა ურთიერთგაზიარების საშუალებაცაა. ამიტომაც მიიჩნევენ, რომ აუცილებელია მისი მხარდაჭერა.

სწორედ ასეთი მხარდაჭერის თვალსაჩინო მაგალითი გახდა ცნობილი ფეხბურთელების – რევაზ, შოთა და არჩილ არველაძეების მიერ დაარსებული ფონდის საქველმოქმედო აქცია, რომელიც საქართველოს ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ბიბლიოთეკების ვაუჩერიზაციის პროცესი დაიწყო და რამდენიმე

დღე გაგრძელდა. ღონისძიება საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა და, როგორც აღინიშნა, მისი ფინანსური მხარდაჭერა ფონდმა „არველაძემ“ უზრუნველყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ამ პროექტის მიზანი მხოლოდ ერთჯერადი აქცია არ არის. იგეგმება საქართველოს ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის უახლესი გამოცემებით ყოველწლიურად განახლება.

საქართველოს ყველა რეგიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკებს უახლესი წიგნების შესაძენად 900-ლარიანი ვაუჩერები გადაეცათ, რომელთა განაღდება ამ ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა წინასწარ შედგენილი კატალოგების დახმარებით ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში განთავსებულ 30-მდე გამომცემლობისა და გამავრცელებლის სტენდთან შეძლეს. შერჩეული წიგნები ორგანიზატორებმა თვითონვე შეფუთეს და ტრანსპორტირებაც უზრუნველყვეს.

„არცერთი მოზარდი და რეგიონში მცხოვრები ადამიანი არ უნდა დარჩეს განახლებული ლიტერატურის და საჭირო წიგნის გარეშე. რთულ პირობებში ცხოვრების პარალელურად, წიგნი შეიძლება ერთ-ერთ იშვიათ შესაძლებლობად ჩავთვალოთ, რაც ცხოვრებას უფრო ხალისიანს, საინტერესოს და იმედით სავსეს ხდის... პროექტი ასევე ხელს უწყობს საგამომცემლო სექტორის განვითარებას და თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. გვიხარია, რომ ჩვენს ფონდს აქვს საშუალება, იყოს ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის მხარდამჭერი და მონაწილე“, – წერია არველაძეების ფონდის განცხადებაში.





მაია მიქაბერიძე

## საფოსტო მარკები, როგორც საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის შემადგენელი ნაწილი

ეროვნული ბიბლიოგრაფიის ცნებაში ერთიანდება ინფორმაცია ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ისტორიული განვითარების პროცესში შექმნილი ყველა დოკუმენტის შესახებ, ხელნაწერიდან ელექტრონულის ჩათვლით. ბეჭდური ერთეულების – წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მსგავსად, ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნაწილს წარმოადგენს საფოსტო მარკაც, რომელიც თავისი ფიზიკური მონაცემებით, ფურცლოვან გამოცემათა კატეგორიას განეკუთვნება.

საგამომცემლო ლექსიკონში საფოსტო მარკას ასეთი განსაზღვრება აქვს: „საფოსტო და საგერბო მოსაკრებლის წინასწარ გადახდის დამადასტურებელი ნიშანი. ჩვეულებრივ, წარმოადგენს პატარა ოთხკუთხა ქალაქს, რომელზეც დაბეჭდილია რაიმე გამოსახულება და აღნიშნულია ფასი“ (ავტ.-შემდგ.: ვახტანგ დოხნაძე, 2006). იგი გამიზნულია კონვერტებზე დასაწებებლად.

აღსანიშნავია, რომ კომერციული დანიშნულებით არაერთი ფურცლოვანი ნიშანი არსებობს (სატრანსპორტო, საკონცერტო თუ სპორტული ბილეთები და ა.შ.), მაგრამ საფოსტო მარკები, მათი გამოცემის დაწყებისთანავე, მხატვრული გაფორმების მრავალფეროვნების გამო, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა. ჩამოყალიბდა ერთგვარი კულტურა, რომელშიც გაერთიანებულია დიზაინის ხელოვნება და კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპის ამსახველი ინფორმაცია. გამოიყო კოლექციონერობის ცალკე სახე – ფილატელია.

თითოეული ქვეყნისთვის საფოსტო მარკების გამოცემას, კომერციული მიზნების გარდა, სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს. იგი ქვეყნის თვითგამოხატვის ერთგვარი ფორმაა. ამიტომაც ექცევა დიდი ყურადღება მათ შინაარსობრივ და ტექნიკურ მხარეს, მათ თავმოყრასა და კატალოგიზაციას, ბეჭდვის ისტორიის შესწავლას.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, საფოსტო მარკების გამოცემის თავისი ისტორია გააჩნია. ეს ისტორია რამდენიმე ეტაპისგან შედგება, რაც ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიულ-პოლიტიკურ ცხოვრებასთანა დაკავშირებული. თავ-

დაპირველად საქართველოს ტერიტორიაზე საფოსტო მარკების გამოცემა დაიწყო მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ, დამოუკიდებლობის გამოცხადების მეორე წლიდან (1919 წ.) დაიწყო ქართული მარკების გამოცემა, მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის შემოჭრის გამო ეს საქმე მალევე შეწყდა. შედეგად, მთელი 70 წლით გადაიდო ქართული მარკების განვითარების ისტორია. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განახლდა საფოსტო ნიშნების გამოცემის საქმე და დღეს გვაქვს ქართული მარკების მრავალფეროვანი, მდიდარი და საინტერესო საგანძური, რომელიც ქართული კულტურის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ჟურნალის წინამდებარე ნომერში მკითხველი გაეცნობა რამდენიმე სტატიას, რომლებიც ასახავს საქართველოში მარკების გამოცემის ისტორიის სხვადასხვა ეტაპს.

### 1857 წელი – „ტფილისის უნიკა“

როგორც ცნობილია, მარკების გამოყენება საფოსტო მოსაკრებლის გამარტივების მიზნით, პირველად დაიწყო დიდ ბრიტანეთში მე-19 საუკუნის 40-იანი წლებში. პირველი მარკებიც ამ ქვეყანაში დაიბეჭდა და მათი გამოცემის ტრადიცია აქედან გავრცელდა ევროპისა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის, რუსეთის იმპერიაშიც.

ოფიციალური ინფორმაციით, პირველი სტანდარტული საფოსტო მარკა რუსეთში დაიბეჭდა 1857 წლის 10 (22) დეკემბერს, რომლის გამოყენებაც მთელი რუსეთის ტერიტორიაზე (კავკასიისა და ციმბირის გარდა) დაიწყო 1858 წლის 1(13) იანვრიდან. 2008 წელს რუსეთში ზემოთ აღნიშნულ კიდეც პირველი რუსული მარკის გამოცემის 150 წლისთავი. თუმცა, რეალურად, პირველი საფოსტო მარკა რუსეთის იმპერიაში დაიბეჭდა ექვსი თვით ადრე, 1857 წლის 20 ივნისს – თბილისში. ეს მარკა ცნობილია „ტფილისის უნიკას“ (Tiflis Unique) სახელწოდებით.





ბით (პარალელური სახელწოდებებია: „ტფილისის მარკა“ და „კოჯორის მარკა“).

„ტფილისის უნიკას“ დაბეჭდვა დაკავშირებულია რუსეთის მეფისნაცვალ ალექსანდრე ბარიატინსკისთან. მან 1856 წელს თბილისში დააარსა საქალაქო ფოსტა, რომელმაც ერთ წელიწადში მიმოქცევაში გამოუშვა პირველი საქალაქო მარკა, 6 კაპიკის ნომინალით. ამ დროს კავკასიის ოლქის ფოსტის მმართველი იყო ნ. ს. კახანოვი, რომელიც ითვლება ამ მარკის დაბეჭდვის ინიციატორად. მარკა გამოიცა მცირე ტირაჟით და ზოგიერთი მონაცემით, მიმოქცევაში იყო 1870-80-იან წლებამდე. „ტფილისის უნიკა“ თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ თბილისის ტერიტორიაზე, შემდეგ კი – თბილისსა და კოჯორს შორის საფოსტო მიმოქცევის საფასურის სახით.

საფოსტო მომსახურება სახელმწიფოებრივ ინსტიტუტს წარმოადგენდა და, შესაბამისად, მარკას საფოსტო უწყება უშვებდა. საქართველო ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი, დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების საშუალება არ ჰქონდა. ამ თვალსაზრისით, „ტფილისის უნიკა“ რუსეთის იმპერიის მარკაა, მაგრამ, რაკი საქართველოს ტერიტორიაზე დაიბეჭდა, XIX საუკუნეში საქართველოში დაბეჭდილი რუსული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ანალოგიურად, ეს მარკაც საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის ინტერესის საგანს წარმოადგენს.

„ტფილისის უნიკაზე“ გამოსახულია თბილისის გერბი, რომლის თავზე არის იმპერიის სიმბოლო – ორთავიანი არწივი დაშვებული ფრთებით. ძველი

თბილისის გერბი ორი ნაწილისაგან შედგება: ზედა ნაწილში გამოსახულია არარატი ნოეს კიდობნით, მდინარე მტკვარი და საქართველოს მფარველი, ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი. ქვედა ნაწილში კი მერკურის კვერთხია.

მკვლევარები და ფილატელისტები „ტფილისის უნიკას“ სხვადასხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევენ: პირველი რუსული მარკა; ტფილისის საქალაქო ფოსტის პირველი მარკა; სახმელეთო ფოსტის მარკა; ნახევრად ოფიციალური ადგილობრივი გამოცემა; დროებითი ან ადგილობრივი გამოცემა. მიუხედავად ამისა, ეს მარკა ყველა ფილატელისტურ კატალოგში მოხსენიებულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე იშვიათ და ძვირადღირებულ საფოსტო მარკად.

მკვლევართა ერთი ნაწილი და თვით რუსეთის სახელმწიფო „ტფილისის უნიკას“ არასრულფასოვან და, შესაბამისად, არც პირველ რუსულ მარკად მიიჩნევენ. შესაძლებელია, ამის მიზეზი არა „ტფილისის უნიკას“ ტექნიკური მახასიათებლები, არამედ მისი გამოცემის ადგილი უნდა იყოს. რუსული იმპერიალისტური აზროვნების მთელ მასშტაბს თუ გავითვალისწინებთ, ლოგიკური ჩანს ამ ქვეყნის ხელისუფლების მისწრაფება, რუსეთის უზარმაზარი იმპერიის პირველ მარკად გამოცხადდეს დედაქალაქში და არა სადღაც განაპირას, სამხრეთ კავკასიაში დაბეჭდილი მარკა.

დღეისათვის შემორჩენილია „ტფილისის უნიკას“ მხოლოდ ოთხი ცალი, აქედან, სამწუხაროდ, საქართველოში არცერთი ეგზემპლარი არ ინახება. არსებობს ასევე მეხუთე, 1870-1880 წლებში დამზადებული მისი ასლი, ე.წ. პარიზის ასლი. ინტერნეტ-რესურსიდან მოპოვებული ინფორმაციით ვგებულობთ, რომ მარკის ოთხი ეგზემპლარიდან ორი 2000 წელს ცნობილი კოლექციონერის ზბიგნევი მიკულსკისგან აუქციონზე უცნობმა პირმა ნახევარ მლნ აშშ დოლარად შეიძინა. მესამე ეგზემპლარი, დანარჩენებთან შედარებით, შელახულ მდგომარეობაშია და ინახება ლუქსემბურგში მცხოვრები ცნობილი ფილატელისტის ბერლინჩერის კოლექციაში. მეოთხე ეგზემპლარი ინახება აშშ-ში, ვაშინგტონში, სმიტსონის ინსტიტუტის საფოსტო მარკების მუზეუმში.

1997 წელს საქართველოს ფოსტამ გამოსცა „ტფილისის უნიკას“ 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ქართული საფოსტო მარკა და ბლოკი სახელწოდებით „ტფილისის საქალაქო ფოსტის მარკა“ (შემდგენელი პაატა ნაცვლიშვილი). არაოფიციალურად ახალ ქართულ მარკას უწოდეს „მარკა მარკაში“.



**ლევან თაქთაჯიშვილი**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

1918-1921 წლების თბილისში გამოშვებულ ბეჭდურ პროდუქციაში ქართული საფოსტო მარკებიც უნდა მოვიხსენიოთ. საფოსტო მარკას პრაქტიკული დანიშნულება აქვს, ის არის ნიშანი, რომელიც ამონიშნავს საფოსტო მომსახურების – კორესპონდენციის გაგზავნის, ასევე, ადრესატთან მიტანის გადახდას და ამარტივებს ამ სერვისისათვის განეული ხარჯების აკრეფას. იმავდროულად, ეროვნული საფოსტო მარკა ქვეყნის სუვერენიტეტის ერთ-ერთი სიმბოლო და ქვეყნის სახეცაა, რომელშიც ეპოქაც ირეკლება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნისთანავე, მთავრობას უნდა ეზრუნა ეროვნული საფოსტო მარკის დამზადებაზეც, მაგრამ ფაქტია, რომ 1918 წელი ისე მიილია, ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადადგმულა. ეს განპირობებული იყო უპირველესად იმ პრობლემებით, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მეფის რუსეთისაგან მემკვიდრეობით ერგო. ამასთან, რესპუბლიკის მწირი ფინანსური შესაძლებლობების გამო, ერთხანს მოქმედებაში დატოვეს რუსული საფოსტო მარკები. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს. 1919 წლისათვის მდგომარეობა შეიცვალა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის 1919 წლის 15 აგვისტოს განკარგულებით, აიკრძალა რუსული საგერბო მარკების ხმარება. ამიერიდან უნდა გამოეყენებინათ ახლად დამზადებული ქართული საგერბო მარკები (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 6 აგვისტო). ჩანს, ამ დროისათვის უკვე შექმნილი და გამოშვებული იყო ქართული მარკები.

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საფოსტო მარკები 1918-1921

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ქართული სტანდარტული საფოსტო მარკის დაბეჭდვის ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოდ კი 1919 წლის 26 მაისი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების პირველი წლისთავის დღე მიიჩნევა. მარკები დაბეჭდილი იყო ლითოგრაფიული წესით, თეთრ ქაღალდზე, წყლის ნიშნის გარეშე; პერფორირებით (კბილანებით) 2 ნომინალი: 40 კაპ.- 60 კაპ.; პერფორირების (კბილანების) გარეშე, 3 ნომინალი: 40 კაპ.- 60 კაპ.- 70 კაპ.

მათი ტირაჟის დადგენა ვერ ხერხდება. ამ საქმეში ჩახედული ძველი ფილატელისტების ინფორმაციით, არ უნდა აღემატებოდეს: კბილანების გარეშე 500 ცალს, კბილანებით – 1500 ცალს.

მარკების პერფორაციის პროცესის შეყოვნების გამო (გაფუჭდა პერფორაციის მანქანა) მარკების გამოცემა 1919 წლის ივლისამდე შეყოვნდა. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის დამძიმების გამო, ქაღალდისა და ბევრი სამრეწველო პროდუქციის დეფიციტის პირობებში, მარკების ტირაჟირების პროცესში გაუარესდა ქაღალდისა და წებოს ხარისხი, ასევე უხარისხო გახდა საღებავიც. როგორც ჩანს, შესუსტდა კონტროლი მარკების წარმოებაზე. სავარაუდოდ, გაუარესდა სახელმწიფო სტამბების დაცვა, მათში შეაღწიეს ფილატელისტებმა, რომელთაც დაიწყეს კურიოზული ნიმუშების მარკების ნაირსახეობათა ბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ იყო საფოსტო მარკების „ფარული ბეჭდვის მცდელობები შეცვლილი ფერადოვანი იერთა და ნომინალური ღირებულებით“. მაგრამ ასეთი სახის მარკები ბეჭდვიდან არ გამოსულა (ა. მუჩაიძე, დ. ბუაჩი-





ძე, დამოუკიდებელი საქართველოს საფოსტო მარკები, ჟურნ. „ომეგა“, 2003. N 10, გვ. 83). საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ბოროტმოქმედებს ყალბი ბონების დაბეჭდვაც მოუხერხებიათ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 18 მაისი).

საქართველოს პირველი რესპუბლიკის საფოსტო მარკებმა რამდენიმე ოფიციალურ ემისიას გაუძლო. ისინი ერთმანეთისაგან ფერადოვნებით, ქალაქის ხარისხით, ვიზუალურ და გარკვეული პოლიგრაფიული ნორმების სხვაობით განირჩევიან. მარკების ყველა შემდგომი გამოშვება იმავე ტიპო-ლითოგრაფიას უკავშირდება, სადაც დაიბეჭდა პირველი ქართული საფოსტო მარკა.

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტანდარტული საფოსტო ქართული მარკის მეორე გამოშვება მიმოქცევაში გამოვიდა 1920 წლის მაისში.**

ეს მარკა დაბეჭდილი იყო ლითოგრაფიული წესით, რუხ ქალაქზე. პერფორირების გარეშე, 4 ნომინალი: 10 კაპ. – 60 კაპ. – 1 მან. – 2 მან.

პერფორირებით: 9 ნომინალი: 10 კაპ. – 40 კაპ. – 50 კაპ. – 60 კაპ. – 70 კაპ. – 1 მან. – 2 მან. – 3 მან. – 5 მან.

**ქართული მარკის მესამე გამოშვების დაბეჭდვის ზუსტი დრო უცნობია. ეს მარკები გამოიყენებოდა 1920-1921 წლებში. დაბეჭდილი იყო ლითოგრაფიული წესით, რუხ ქალაქზე. დროთა განმავლობაში ლითოგრაფიული ქვის დაზიანების და ცვეთის გამო, დაბეჭდილი მარკების ხარისხი გაუარესდა, გამოსახულება გახდა გაღებნილი.**

ამ პერიოდში გამოშვებულია:

პერფორირების გარეშე 9 ნომინალი: 10 კაპ. – 40 კაპ. – 50 კაპ. – 60 კაპ. – 70 კაპ. – 1 მან. – 2 მან. – 3 მან. – 5 მან.

პერფორირებით 8 ნომინალი: 10 კაპ. – 40 კაპ. – 50 კაპ. – 70 კაპ. – 1 მან. – 2 მან. – 3 მან. – 5 მან.

სტანდარტული საფოსტო ქართული მარკის მესამე გამოშვება სხვა გამოშვებათა შორის არის ყველაზე მასობრივი. ამ გამოშვებაში არის არაერთი კუროზული ნაბეჭდი ნიმუში, სპეციალურად დაბეჭდილი ფალსიფიკატორების მიერ თვით ორიგინალ ლითოგრაფიულ ქვაზე. მაგალითად, არსებობს 40 კაპიკიანი ნომინალი, ცხენით მხედრის გარეშე. 2 მანეთიანზე ფარი ან მარცხნივ არის მიტრიალებული, ან მარჯვნივ. 5 მანეთიანზე ფალსიფიკატორთა ფანტაზია უფრო შორს წასულა: დედოფალს თავი აქვს დახრილი და ოდნავ წამოწეული ფეხი. მას დღეს ფილატელისტთა სამყაროში „მძინარე თამარს“ უწოდებენ.





ყალბი მარკა „მწიწარა თაშარი“

საფოსტო ქართული მარკების მესამე გამოშვებას მოგვიანებით დაედო წანაბეჭდი „სახალხო გვარდიის დღე. 19 12/XII 20. გადიდებულია ერთი სამად“.

ეს მარკები დაბეჭდილი იყო ლითოგრაფიული წესით, წარწერა შავი საღებავით. პერფორირების გარეშე 9 ნომინალი: 10 კაპ. – 40 კაპ.

– 50 კაპ. – 60 კაპ. – 70 კაპ. – 1 მან. – 2 მან. – 3 მან. – 5 მან. წარწერები ამ მარკებზე ორი ზომის იყო: პატარა კაპიკებიანებზე და დიდი – მანეთიანებზე.

ეს მარკები იყიდებოდა სამჯერ მეტ ფასად, ვიდრე ნომინალია მითითებული. დამატებული ორი მესამედი სახალხო გვარდიის სასარგებლოდ იყო განზრახული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ამ მარკების გაყიდვას აპირებდა 1920 წლის დეკემბერში, სახალხო გვარდიის დღისათვის, მაგრამ მისი დაბეჭდვა შეფერხდა სახელმწიფო სტამბის მუშათა გაფიცვის გამო და გაყიდვაში გამოვიდა მხოლოდ 1921 წლის 24 იანვარს. თითქმის მთელი ტირაჟი ამ გამოშვებისა საზღვარგარეთ წაიღო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1921 წლის მარტში. მიმოქცევაში მოხვდა 3-მანეთიანი ნომინალი, ისიც ძალზე ცოტა. ამიტომ მისი გამოჩენა აუქციონებზე განსაკუთრებული მოვლენაა.

**1921 წელს გამოვიდა სტანდარტული საფოსტო ქართული მარკის მესამე გამოშვება ზედ დაბეჭდილი წარწერით: „19 27/ 21 საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა „de jure““.**

მარკა გამოიცა სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის აღსანიშნავად. ამ დღეს დ 1921 წლის 27 იანვარს, უპრეცედენტო მოვლენა მოხდა საქართველოს







დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში – ის იურიდიულად აღიარა საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ, იაპონიამ, ბელგიამ.

მარკის ეს გამოშვება ძალზე იშვიათია. საქართველოს ოკუპაციამ რუსეთის საბჭოთა ჯარების მიერ, მისი და, საერთოდ, ქართული ფოსტის ისტორია დროებით შეაჩერა. ამ გამოცემის მარკების თითქმის მთელი ტირაჟიც ემიგრაციაში მოხვდა და იქ განადგურდა.

მარკა დაბეჭდილი იყო ლითოგრაფიული წესით, წარწერა შავი საღებავით.

პერფორირების გარეშე 8 ნომინალი: 10 კაპ. – 40 კაპ. – 50 კაპ. – 60 კაპ. – 70 კაპ. – 2 მან. – 3 მან. – 5 მან.

საქართველოს საფოსტო მარკების გაფორმებაში გამოყენებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბისა და ბონების დიზაინის ელემენტები, მეტიც, მარკაზე და 500 ბონიან კუპიურაზე ახალგაზრდა ქალია გამოსახული სხვადასხვა რაკურსით. ცნობილია, რომ ქართული ბონების გაფორმებაზე იაკობ შარლემანი, ჰენრიხ ჰრინეცკი და დიმიტრი შევარდნაძე მუშაობდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ საფოსტო მარკაც ამ სამი მხატვრის თანამშრომლობით შეიქმნა. არის ასევე მოსაზრება, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის საფოსტო მარკები მხოლოდ დიმიტრი შევარდნაძის ნახელავია. სამეცნიერო ლიტერატურაში ბონზე და მარკაზე გამოსახული ახალგაზრდა ქალი თამარ მეფედ არის მოხსენიებული, სინამდვილეში კი

ეს ქალი ზოგადად საქართველოს სიმბოლოა. მარკის სხვა გამოშვებაში ქალის მაგივრად საქართველოს ეროვნული გერბია გამოსახული. ყველა შემთხვევაში წარწერა გაკეთებულია ორ ენაზე: ქართულად და ფრანგულად, რადგან მაშინ ფილატელიის ენად ფრანგული ითვლებოდა. ერთგვარად სიმბოლურია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრირებულმა მთავრობამ თავის შემდგომ ნავთსაყუდლად საფრანგეთი აირჩია. ეროვნულ სიმბოლოებზე ფრანგულენოვანი წარწერების პრაქტიკა საქართველოს ოკუპაციის შემდგომაც გავრცელდა. კუროზულია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს სსრ გერბზე წარწერა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ რუსულ და ქართულ ენებთან ერთად, ფრანგულ ენაზეც იყო.

საქართველოს ოკუპაციის პირველ წელს (1921) ძალაუფლებას დაუფლებული რევოლუციური კომიტეტი უტიფრად აცხადებდა, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩა, ოღონდ საბჭოთა ხასიათი შეიძინა, ამიტომაც საფოსტო მარკად კვლავ დემოკრატიული რესპუბლიკის მარკები დატოვეს, ზედ შტამპით: 19 25/2 21.

არის შემორჩენილი მარკები, რომელსაც წითელი საღებავით ცენტრში ხუთქიმიანი ვარსკვლავი აქვს დარტყმული, ხოლო კუთხეებში – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აბრევიატურის თითოეული ასო რუსულად (დ.ს.ს.რ).



დიმიტრი შევარდნაძე (1885-1937) – ქართველი ფერმწერი, თეატრისა და კინოს მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი შექმნილია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გერბის ჰერალდიკა, ფულის ერთეულისა და საფოსტო მარკების ესკიზები, ქართული შრიფტის ახალი გრაფიკული მოხაზულობა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გერბი და ბეჭედი. საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, მუშაობდა ფერწერაში, გრაფიკაში, თეატრისა და კინოს მხატვრობაში.

1906 წელს, ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1907-1912 წლებში სწავლობდა მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში. პარალელურად დაიწყო ფოტოსაქმიანობა. ხატავდა კარიკატურებს ქართული იუმორისტული ჟურნალისათვის „მათრახი და სალამური“.

1916 წელს დიმიტრი შევარდნაძე საქარ-

თველოში დაბრუნდა. იმავე წელს დააფუძნა მხატვართა პირველი პროფესიული ორგანიზაცია საქართველოში „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“.

1917 წელს პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მოაწყო სამეცნიერო-სამხატვრო ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თორთუმ-ისპირის ხეობის ისტორიული ძეგლების შესასწავლად და ფრესკების პირების გადასაღებად. იყო პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინე“-ს დამდგმელი მხატვარი. 1919 წელს მანვე შექმნა კოსტუმების ესკიზები დიმიტრი არაყიშვილის ოპერისათვის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1920 წელს დაინიშნა ახლად დაარსებული საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორად. მის სახელს უკავშირდება ნიკო ფიროსმანის სურათების მოძიება, თავმოყრა და გადარჩენა.

საბჭოთა პერიოდში დიმიტრი შევარდნაძე იყო კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. რეპრესირებულია 1937 წელს.



მაია მიქაბერიძე

## საქართველოს სსრ მარკები 1922-1923 წლები

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, რის გამოც აქ შეჩერდა თითქმის ყველა ტიპის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის მოქმედება. საქართველო გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად და იგი მთლიანად იმართებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ. ოკუპაციის პირველ წლებში რუსეთი ერთგვარ დამთმობლურ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს მიმართ, რათა დამოუკიდებლობის დაკარგვის სიმწვავე შეენელებინა ხალხში და მოჩვენებითი თავისუფლებით გადაეფარა რეალობა. ამავე დროს, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში და, მათ შორის, კავშირგაბმულობაშიც, ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი მტკიცე ცენტრალიზებული სისტემა, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტი მანევრის საშუალებას ქმნიდა.

ასეთი ვითარების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ თბილისში ახალი ქართული საფოსტო მარკების გამოცემის საქმეც. ახლადგამოცხადებულმა საქართველომ საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ 1922 წლის იანვარსა და თებერვალში საბჭოთა მარკების პირველი ემისია განახორციელა. გამოსცა სხვადასხვა ნომინაციისა და შეფერილობის ხუთი საფოსტო მარკა, რომლებსაც ქართულად ეწერა: ერთ შემთხვევაში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, მეორე შემთხვევაში



მისი აბრევიატურა – „ს.ს.ს.რ.“ მათზე გამოსახული იყო: რესპუბლიკის გერბი ნამგალითა და უროთი, მინდორში გასული მთესველი, დროშის აღმართვა, მუშა და ეროვნული ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი.

1922 წლის მარტიდან საქართველო გაერთიანდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკების კავშირში. შესაბამისად შეიქმნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებული საფოსტო უწყება, რომელმაც 1923 წლის 5 იანვრიდან შემოიღო საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილების საფასურის ერთიანი სისტემა. ა/კ სსფრ-ს რესპუბლიკებში ბრუნვაში გაუშვეს მათი ეროვნული მარკები, რომლებზეც ა/კ სსფრ-ს ტარიფების შესაბამისი ანაბეჭდები დაადეს. ასე დაბრუნდა ბრუნვაში 1922 წლის ქართული მარკებიც. მათ, ა/კ სსფრ-ს სხვა რესპუბლიკის მარკების მსგავსად, გარდა შეცვლილი ნომინალისა,







ანაბეჭდის სახით ეწერა „დამშეულა დასახმარებლად“. ეს მარკები განკუთვნილი იყო ცენტრალურ რუსეთში გამეფებული შიმშილობის მსხვერპლთათვის.

1923 წლის 15 სექტემბერს საფოსტო ბრუნვაში ჩაეშვა ახალი მარკები ორიგინალური მხატვრობით. მასზე გამოსახული იყო აზერბაიჯანის ნავთობის ჭაბურღილები და არარატის მთა, ასევე, ა/კ სსფრ-ს გერბი – ხუთქიმიანი ვარსკვლავი. მარკებზე საქართველოს აღმნიშვნელი არავითარი სიმბოლო არ ეხატა. იყო მხოლოდ ქართულად დაწერილი სიტყვა „ფოსტა“. ეს მარკები ლითოგრაფიული წესით იყო დაბეჭდილი, ნაცრისფერ ქაღალდზე. მათი ნომინალი 40.000-დან 50.000 მანეთამდე იყო. სულ გამოიცა 8 მინიატურა კბილანებით. მოგვიანებით, მათ ნაწილს დაედო 700.000 მანეთის ანაბეჭდი.

1923 წლის 1 ოქტომბრიდან ბრუნვიდან ამოიღეს ყველა ძველი მარკა, მათ შორის ქართულიც. ამ დღიდან საქართველოში უკვე გამოიყენებოდა მხოლოდ ა/კ სსფრ-ს საერთო მარკა. 1923 წლის დეკემბრიდან, ტარიფების ოქროზე გადაანგარიშების გამო, გამოვიდა საფოსტო მარკების ახალი სერია 1-დან 18 კაპიკის (ოქროთი) ნომინალით. ნახატი წინა გამოშვების მსგავსი იყო. სულ გამოვიდა ამ მარკის შვიდი სხვადასხვა ნომინალის ერთფერიანი, კბილანიანი მარკები. ეს იყო საქართველოს ტერიტორიაზე დაბეჭდილი ბოლო მარკები.

1924 წლის პირველი იანვრიდან სსრკ-ს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ყველა დაწესებულებისთვის შემოიღო საერთოსაკავშირო ტიპის მარკები (ოქროს ვალუტაში). ამავე წლის 1 თებერვლიდან გაუქმდა საფოსტო გადასახადის ყველა ადგილობრივი ფორმა.



ამიერიდან 1991 წლამდე, ვიდრე საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, ამ ტერიტორიაზე გამოცემულ ყველა მარკას ეწერა ПОЧТА СССР (სსსკ-ს ფოსტა).



## 1993 წელი – ქართული მარკების ისტორიის ახალი ეტაპის დასაწყისი




საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა და შესაბამისი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნის გზას დაადგა. კვლავ აქტუალური გახდა ქართული ეროვნული მარკების, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტე-

ტის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშნის, გამოცემა.

სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველომ უარი თქვა, საფოსტო გადასახადის სწრაფი რეალიზების მიზნით, სსრკ მარკებზე ანაბეჭდების დატანასა და მის გამოყენებაზე. ახალმა ვითარებამ ახალი შესაძლებლობების გზა გახსნა და საქართველომაც სწორი მიმართულება აირჩია.

ქართული საფოსტო მარკების ისტორიის ახალი ეტაპი ასე დაიწყო – საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1993 წლის 31 ივლისს გამოსცა ქართული ეროვნული საფოსტო მარკების სერია „საქართველო გაეროს წევრი“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განევრიანების პირველ წლისთავს. ახალი ქართული მარკების წარდგინება საზოგადოების წინაშე მოხდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1993 წლის 31 ივლისის (N166-167) ნომერში აღნიშნული იყო: „ჩვენი







რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის კიდევ ერთი ატრიბუტის შემოღების ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიუძღვნა ღირსშესანიშნავ თარიღს – ჩვენი რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად გახდომის ერთი წლისთავს. ქართული საფოსტო მარკის დიზაინის ავტორია ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი. ქართული მარკების დაბეჭდვის ორგანიზება მოაწყო გერმანულმა „ფორმა 2002-მა“.

სერია 25, 50 და 100 [კუპონის] ნომინალის სამი სხვადასხვა ფერის მარკისგან შედგება, რომლებზეც გამოსახულია საქართველოს გეოგრაფიული კონტური, საქართველოს დროშა, გაეროს ემბლემა და საქართველოს გაეროში განწევრიანების თარიღი, ტირაჟი – 70 000.

1993 წელს კიდევ რამდენიმე საყურადღებო მარკა დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის თემატიკით.

დიზაინერ გ. ხარაძის შესრულებით გამოიცა მარკა „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა (შინდისფერი) და გერბი; ნომინალი – 0.50; ტირაჟი: 1,5 მლნ; კბილანებით. მასვე ეკუთვნის მარკა „ხახულის ხატი“. სვიმონ მოციქული (ფრაგმენტი), XI ს. ნომინალი – 1.00. ტირაჟი 2,1 მლნ; კბილანებით.

ამავე წელს გამოიცა მარკა „ჰაერი“ – ოქრომკედითა და ვერცხლით ნაქარგი აბრეშუმი. XVIII ს. – ნომინალი 0.50; ტირაჟი: 2,2 მლნ. მარკის ავტორია გ. კომლევია.

სამივე ეს მარკა, სხვა ნიშნების გარდა, დანარჩენებისაგან გამოირჩევა იმითაც, რომ გამოშვები ქვეყნის სახელი-საქართველო, ინგლისურის ნაცვლად (GEORGIA) რატომღაც რუსულად აწერია (GRUZIJA), თუმცა ლათინური შრიფტით.


მარკების სერია „საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლები“, რომელშიც გაერთიანდა ბოლნისის სიონის, გელათის, გრემის, იკორთას, ნიკორწმინდის და სამთავისის გრაფიკული გამოსახულებები, შეასრულა ვაჟა ორბელიძემ. სხვადასხვა ნომინალის თითოეული ამ მარკის ტირაჟი მერყეობს 105.000-დან 525.000 ეგზემპლარამდე. აღსანიშნავია, რომ ვ. ორბელიძის ავტორობით ეს სერია გაგრძელდა 1995 წელსაც, როდესაც გამოვიდა მარკები კიდევ ექვსი დასახელების ხუროთმოძღვრული ძეგლის (ალავერდი, დრანდა, კუმურდო, ანანური, მეტეხი, სვეტიცხოველი) გრაფიკული გამოსახულებებით.

1993 წლიდან დღემდე ყოველწლიურად გამოიცემა სხვადასხვა თემატიკისა და ნომინალის ქართული მარკები, რომელთა ტირაჟი ყოველწლიურად იზრდება. მარკებზე ასახულია საქართველოს ფლორა და ფაუნა, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, ქართული მწერლობა, მეცნიერება, კულტურა, სპორტული მიღწევები, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი და ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი სხვა მრავალი ასპექტი.

ამ ხნის განმავლობაში დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა ქართული საფოსტო მარკების დიზაინის ხელოვნება. მარკების დიზაინის დიდი ნაწილი შექმნილია პაატა ნაცვლიშვილის, ბადრი გაგნიძის, ბაადურ ქობლიანიძის, გ. ქართველიშვილის, გ. მამულაშვილის, ვაჟა ორბელიძისა და სხვათა მიერ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია ახალი ქართული მარკების სრული ფონდი, რომელიც სახელმწიფო კომპანია „საქართველოს ფოსტასთან“ აქტიური თანამშრომლობის შედეგად პერიოდულად ივსება ახალი მარკებით.





**ჰაკა ნაცვლიშვილი**

*მხატვარი და ჟურნალისტი*

*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი*

ჩემი ამ „ფილატელისტური რუსთველიანის“ ძირითადი ტექსტი სპეციალურად დავწერე მანანა კარტოზიას საგამომცემლო პროექტისთვის „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“ და გამოქვეყნდა 2009 წელს დაბეჭდილი ხუთტომეულის მეორე წიგნში. მას მერე წერილმა ორი გაგრძელება მოითხოვა: ერთი – ჩემ მიერ ახალი ინფორმაციის მიგნების და მეორე – გვიანდელი მოვლენის გამო. პირველი გაგრძელება მანანა კარტოზიამვე დაბეჭდა ცალკე ტრიბუნის სახით იმავე წელს, მეორე გაგრძელება კი პირველად ქვეყნდება.

საფოსტო მარკა თავის ძირითად და არაერთ გვერდით ფუნქციასთან ერთად, გამოჩენილ ადამიანთა უნიკალური გალერეაც გახლავთ – მარადიული, საყოველთაო და, რაღა თქმა უნდა, უაღრესად პრესტიჟული. თუმცა ამ გალერეაში ხშირად კონიუნქტურული და ზოგჯერ სრულიად შემთხვევითი ხალხის პორტრეტებიც ხვდება. როგორც წესი, საფოსტო მარკებზე თითოეული ქვეყანა თავის ყველაზე-ყველაზე-ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების აღბეჭდვას ესწრაფვის და ამის საბაზად ხან საიუბილეო თარიღს იყენებს, ხან რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, ხან რას და ხან რას.

თუ სტალინის თვითიდენტიფიკაციას გავითვალისწინებთ, როცა მან ანკეტის შევსებისას ეროვნების გრაფაში „რუსი“ ჩაწერა, შეიძლება ითქვას, რომ შოთა რუსთაველის სახე(-ლი) ქართველთაგან ყველაზე ხშირია საფოსტო მარკებზე. რუსთაველის სახელთან და მის

# ფილატელისტური რუსთველიანა ორი გაგრძელებით

პოემასთან ამა თუ იმ ფორმით სამი ქვეყნის – საბჭოთა კავშირის, საქართველოსა და ისრაელის – 19 საფოსტო მარკა, უფრო ზუსტად, – 17 მარკა და 2 საფოსტო ბლოკია დაკავშირებული. ამათგან 10 მარკა და ორივე ბლოკი კომემორატიულია, ანუ უშუალოდ ეძღვნება შოთა რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს, დანარჩენი კი სხვადასხვა ხარისხით და სხვადასხვა კუთხით მიეკუთვნება რუსთაველის თემას ფილატელიაში.

სიამაყით უნდა ვთქვა, რომ 17-დან 7 მარკის და ორიდან ერთი ბლოკის ავტორი მე გახლავართ, თუმცა მივყვეთ ქრონოლოგიურად.

1938 წელს საბჭოთა კავშირის საფოსტო ადმინისტრაციამ გამოუშვა რუსთაველის პოემის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა, რომელზეც პოეტის ვასილი გოლოვნიასეული პორტრეტია გამოსახული, მარკის ავტორი კი ვლადიმირ კაიდალოვია (1907-1985), შემდგომში უზბეკეთის სახალხო მხატვარი. ეს მიღებული რამ არის სამარკო ხელოვნებაში: იმის მიუხედავად, ვისი ნამუშევარია მარკაზე გამოსახული, მას თავისი ავტორი ჰყავს. ამ შემთხვევაშიც ვასილი გოლოვნიას არც ერთ ფილატელისტურ კატალოგში არ არის ნახსენები. ფილატელისტური კატალოგებისთვის სხვა ინფორმაციაა უფრო მნიშვნელოვანი. ასე მაგალითად, კატალოგებში მითითებულია ამ მარკის ნომინალი – 20 კაპიკი; მიმოქცევაში გამკვების თვე – თებერვალი; ფერი – მწვანე; ქალაქი – სქელი, კრემისფერი; კბილანები – ხაზური 121/2; ტირაჟი – 3 მილიონი ეგზემპლარი. კატალოგებიდანვე ვგებულობთ, რომ ტირაჟის ნაწილი თეთრ ქალაქზე დაბეჭდილ და ეს ეგზემპლარები უფრო ძვირი ღირს. კიდევ უფრო ძვირი ღირს ის მარკები, რომელთაც განსხვავებული ფორმისა (სავარცხლური) და ზომის (121'2:12) კბილანები აქვთ; ხოლო ყველაზე ცოტა და შესაბამისად ყველაზე ძვირი ამ მარკის უკბილანო ვარიანტია – მისი ერთი ეგზემპლარის ფასი 50 ამერიკულ დოლარს აჭარბებს.



თუ პირველი რუსთველური კომემორატიული მარკა ვეფხისტყაოსნის საიუბილეოდ გამოვიდა, მეორე უშუალოდ მის ავტორს მიეძღვნა. იგი ერთ-ერთია ხუთმარკიანი სერიიდან, რომელსაც საბჭოთა მარკების კატალოგში „ჩვენი სამშობლოს მწერლები“ ჰქვია. შოთა რუსთაველის გარდა ამ სერიის მარკებზე გამოსახული არიან ლომონოსოვი, პუშკინი, ლევ ტოლსტოი და მაქსიმ გორკი. თითოეული მარკის ნომინალია 40 კაპიკი, კბილანები – სავარცხლური 121/2:12 (ტოლსტოი – ხაზური 121'2), ბეჭდვა ოფსეტური, ტირაჟი 2-2 მილიონი. მარკების მხატვარია ვასილი ზავიალოვი (1906-1972), საბჭოთა მარკების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დიზაინერი, რომელსაც 600-ზე მეტი საბჭოთა მარკა ეკუთვნის. რუსთაველისადმი მიძღვნილი მარკა, კატალოგის მიხედვით, „მუქ-რუხ-ყვითელყავისფერი და ზეთისხილისფერ-მწვანეა“. მარკის დიზაინში კვლავ გოლოვნიას პორტრეტი გამოყენებული, ხოლო კომპოზიციურ ელემენტად გამოყენებულია ირაკლი თოიძის ცნობილი ილუსტრაცია – ტარიელისა და ვეფხვის ორთაბრძოლა.

ზავიალოვის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ რუსთაველისადმი მიძღვნილი ეს მეორე მარკა თავისი კონცეფციითა და მხატვრული ღირსებებით აშკარად სჯობია პირველს. საერთოდ, მარკის ეს კონცეფცია ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი და სტაბილური აღმოჩნდა საბჭოთა ფილატელიაში: ზავიალოვმა მისი ერთი ვარიანტი პირველად 1952 წელს გამოიყენა

ნიკოლაი გოგოლის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამმარკიანი სერიის 40-კაპიკიან მარკაზე. მერე იყო ლომონოსოვ-პუშკინ-ტოლსტოი-მაქსიმგორკი-რუსთაველის სერია, რომელიც 1956 წლის დეკემბერში გაუშვეს მიმოქცევაში. ამას მომდევნო წლის თებერვალში თითქმის პირდაპირ მოჰყვა მეორე ასეთივე ხუთმარკიანი სერია (ლერმონტოვ-ბელინსკი-ძველირუსიპოეტი-ჩერნიშევსკი-შევჩენკო). 1958 წელს ზუსტად ამ დიზაინით კიდევ ორი მარკა გამოვიდა – ალექსეი ტოლსტოი და სალტიკოვ-შჩედრინი. ამ მარკების ესკიზების შექმნაში ვასილი ზავიალოვს მისი უმცროსი ვაჟი – ალექსანდრ ზავიალოვი (1946-2001) ეხმარებოდა, როგორც თანაავტორი. 1959 წელს ვასილი ზავიალოვმა შვილის დახმარების გარეშე „ჩვენი სამშობლოს მწერლების“ სერიების სერია კიდევ შვიდი მარკით შეავსო (კრილოვი-გრიბოედოვი, ოსტროვსკი-ჩეხოვი-ისევგოგოლი – აკსაკოვი-კოლცოვი), 1960 წელს კი ამ ციკლის ბოლო მარკა გამოვიდა, რომელიც კოსტა ხეთაგუროვს მიეძღვნა. სხვათა შორის, შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ყველა მწერალი – კოსტა ხეთაგუროვიც და ლევ ტოლსტოიც ერთნაირად – 40 კაპიკად არის შეფასებული. თუმცა ძალიან შორს წავედით, დავუბრუნდეთ რუსთაველს.

1966 წელს ფართოდ აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი. თუ ამ 800 წლისთავს 1937-ში აღნიშნულ ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ





რუსთაველს უკვდავი პოემა 21 წლისას დაუწერია, მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი ინტერესის საგანი. 1966 წლის აგვისტოში საბჭოთა ფოსტამ მიმოქცევაში გაუშვა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სამმარკიანი სერია და ერთი ბლოკი. ეს ბლოკი შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი პირველი საფოსტო ბლოკია. მარკების ნომინალებია 3, 4 და 6 კაპიკი, ბლოკისა – 50 კაპიკი. 3-კაპიკიანი მარკა შავია ზეთისხილისფერ-მწვანე ფონზე, 4-კაპიკიანი – მუქ-ყავისფერი ყვითელ ფონზე, 6-კაპიკიანი – შავ-ყავისფერი ცისფერ ფონზე, ხოლო ბლოკი – მუქ-მწვანე და ნათელი მოყვითალო-მოყავისფროა. ბეჭდვა – მეტალოგრაფია ოფსეტურ (მარკები) და ღრმა, ტონურ (ბლოკი) ბეჭდვასთან ერთად ცარცის ქალაღზე. კბილანები – სავარცხლური 121/2:12 (3- და 4-კაპიკიანი) და ხაზური 121/2 (6-კაპიკიანი); ბლოკის მარკა უკბილანოა. მარკების მხატვარი გახლავთ ევგენი ანისკინი, რომელსაც გვერდში ირაკლი თოიძე,

იაკობ ნიკოლაძე, სერგო ქობულაძე და კოტე მერაბიშვილი ამოუყენებია. მარკების ტირაჟი 3-3 მილიონია, ბლოკისა – ერთი მილიონი. რუსთაველისადმი მიძღვნილი წინა გამოშვებისაგან განსხვავებით, 1966 წლის მარკებს რუსთაველის სახელი ქართულადაც აწერია. სხვათა შორის, ამ სერიასთან ერთად საბჭოთა ფოსტამ გამოუშვა სპეციალური კონვერტი და მარკების რეპროდუქციებით გაფორმებული ფურცლები წერილებისთვის.

ამ სამი გამოშვებით – 5 მარკითა და ერთი ბლოკით საბჭოთა ფოსტამ რუსთაველის და მისი პოემის თემა თითქოს ამოწურა, და თუ არავინ დაიჩემებს, რომ პუშკინი ეთიოპია, ხოლო ლერმონტოვი – შვედი, რუსთაველი, მისადმი მიძღვნილი საბჭოთა მარკების რაოდენობით, პირველია არარუს მწერალთა შორის. მაგრამ რუსთაველის სახე(ლი) კიდევ სამ საბჭოთა მარკაზე გვხვდება.

1958 წელს გამოვიდა 15-მარკიანი სერია „მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქები“. თითოეული მარკის ნომინალია 40 კაპიკი, ტირაჟი – მილიონ-ნახევარი, ბეჭდვა – მეტალოგრაფია სქელ ქალაღზე, კბილანები – ხაზური 121/2. სერიის მხატვარია სერგეი პომანსკი – საბჭოთა ქალაღის ფულის უკანასკნელი გამოშვების დიზაინის ავტორი. ოქტომბერში გამოვიდა ამ სერიის 5 მარკა, ნოემბერში – 4 და დეკემბერში – 6. პირველ გამოშვებაში მოსკოვთან, ტაშკენტთან, ალმა-ატასთან და აშხაბადთან ერთად მოხვდა თბილისიც, რომლის პოზიციონირება მხატვარს რუსთაველის





პროსპექტის ჩვენებით უნებებია და მარკას ამის აღმნიშვნელი შესაბამისი რუსული წარწერაც აქვს. „საქართველოს სსრ“ კი მარკას ქართულადაც აწერია.

1967 წლის აგვისტოში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ 50-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის საფოსტო ადმინისტრაციამ გამოუშვა 16-მარკიანი სერია, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დროშებისა და გერბების გამოსახულებით. თითოეული მარკის ნომინალია 4 კაპიკი. ასეთი ტიპისა და თემატიკის მარკების ნომინალების დადგენისას პოლიტკორექტული საბჭოთა ფოსტა გამორიცხავდა ყოველგვარ დიფერენცირებას. „ლიტვა“ რომ ნ კაპიკი ღირებულიყო და „სომხეთი“ – ვთქვათ, 8 კაპიკი, ხომ შეიძლებოდა ერთი ამბავი ამტყდარიყო! აი, ტირაჟებში კი, რაც მხოლოდ სპეციალისტებისთვის არის ხოლმე ცნობილი, პოლიტკორექტულობა არ არის დაცული და თუ სერიის ხუთი მარკის ტირაჟი 3 მილიონია, დანარჩენი 11 „მხოლოდ“ 2 მილიონ 800 ათასი დაიბეჭდა! მათ შორის – „საქართველოც“. საქართველოს სიმბოლიკიანი ეს მარკა ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სერიის მხატვრებს – ნატალია ანდრეევასა და იური ლევინოვსკის საქართველოს გერბისა და დროშის ფონად თბილისის ფუნქციულიორთან, მეტეხთან, მთავრობის სასახლესთან და მეცნიერებათა აკადემიის შენობასთან ერთად რუსთაველის კოტე მერაბიშვილისეული ძეგლის სილუეტიც გამოუყენებიათ.

და ბოლოს, 1981 წლის ნოემბერში მიმოქცევაში შემოდის ხუთმარკიანი სერია „საქართველოს ფერწერა“. სერიის სათაურის მიუხედავად, მის ერთ მარკაზე გრაფიკული ნამუშევარია გამოსახული. ეს გახლავთ სერგო ქობულაძის „შოთა რუსთაველი“, რომლის ორიგინალი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. დიზაინერ ივან მარტინოვის მიერ ფერწერად გასაღებული ამ გრაფიკული შედეგის ნომინალი 15 კაპიკია, ტირაჟი – 4 მილიონ 800 ათასი, ბეჭდვა – ოფსეტური გალაკულ ცარცის ქალაღზე, კბილანები – სავარცხლური 12x121/2. სერიის სხვა მარკების შინაარსი, ნომინალები და ტირაჟები ასეთია: ფიროსმანის „ირემი“ – 4 კაპიკი, 7 მილიონი; შალვა ქიქოძის „გურული ქალი“ – 6 კა-



პიკი, 6 მილიონი; უჩა ჯაფარიძის „თანამგზავრები“ – 10 კაპიკი, 5-ნახევარი მილიონი; ლადო გუდიაშვილის „ჩაის მკრეფავები“ – 32 კაპიკი, 4 მილიონ 600 ათასი. რაკი ყველა მხატვარი ქართველია და რესპუბლიკებს შორის უკმაყოფილება გამორიცხულია, პოლიტკორექტული საბჭოთა ფოსტა აქ ნომინალების დიფერენცირებას ახდენს, მაგრამ თავის თავის ერთგული რჩება და „ჩაის მკრეფავებს“ ფიროსმანსა და რუსთაველზე მეტად აფასებს!

ამის შემდეგ საბჭოთა ფოსტას რუსთაველი აღარანაირი ფორმით აღარ გახსენებია, ან ვილას ეცალა რუსთაველისთვის – საბჭოთა ფოსტაც ხელში შემოგვეფშენა და საბჭოთა კავშირიც! 1993 წლიდან დამოუკიდებელმა საქართველომ, 73-წლიანი შეფერხების შემდეგ კვლავ განაახლა თავისი მარკების გამოშვება. მოხდა ისე, რომ ამ განახლების სათავეებთან მეც ვიდეი, როგორც დიზაინერი და კავშირგაბმულობის სამინისტროს სახელმწიფო საგადასახადო ნიშნების გამოშვების მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისიის წევრი. ბედის წყალობით, აღორძინებული საქართველოს პირველი მარკების ავტორიც გავხდი და რუსთაველისადმი მიძღვნილი მარკების მომზადებაც მე დამევა-



ლა. მაგრამ მანამდე, სანამ დამოუკიდებელი საქართველოს საფოსტო ადმინისტრაცია მარკებზე რუსთაველის აღბეჭდვას გადაწყვეტდა, არგენტინაში ვიყავი, სადაც ასეთი აღმოჩენა მელოდა, სწორედ რომ ზედგამოჭრილია ამ ჩემს ოპუსში საბჭოთა მარკებიდან საქართველოს მარკებზე გადასასვლელად.

სხვადასხვა კოლექციონერი სხვადასხვაგვარად აფასებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ საფოსტო მარკების გარდა არსებობს არასაფოსტო მარკებიც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში კარგად ავსებს ფილატელისტურ კოლექციებს. არასაფოსტო მარკებს განეკუთვნება კერძო და ეგრეთწოდებული სარეკლამო მარკები ანუ ვინიეტები, რომელთაც არც ნომინალი აწერია, არც ქვეყნის სახელი და, საფოსტო მარკის გვერდით კონვერტზე დაკრული, „მხოლოდ“ სარეკლამო, პოლიტიკურ, პროპაგანდისტულ თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს. ასეთი ვინიეტები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით 1968 წელს ლონდონში დაბეჭდა აკაკი რამიშვილმა და დღეს მე სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემს კოლექციაში იმ უნიკალური მარკის რამდენიმე ეგზემპლარია დაცული. მაგრამ აკაკი რამიშვილის მარკები არც ერთადერთი ყოფილა და არც პირველი. მანამდე მთელი 30 წლით ადრე მისმა სეხნიამ – აკაკი პაპავამ, ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით კუსტარულად, ფოტოგრაფიული მეთოდით მრავალი ასეთი მარკა დაბეჭდა ჰამბურგში და ის და მისი მეუღლე თამარ პაპავა თავიანთ მრავალრიცხოვან წერილებს ამ მარკებით დამუშავებული კონვერტებით აგზავნიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. უტყუარად არის ცნობილი, რომ სულ მცირე ორი წლის განმავლობაში – 1938-1939 წლებში პაპაევებმა არაერთი ასეთი კონვერტი გააგზავნეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არცერთი მათგანი არ არის აღმოჩენილი. სამაგიეროდ არგენტინაში, თამარ და აკაკი პაპაევების შთამომავლებთან სტუმრობისას, მათი ქალიშვილის, მზია პაპავას ოჯახში, ლომას-დე-ზამორაში, აღმოჩნდა იმ მარკების ათეულობით გამოუყენებელი ეგზემპლარი, რომელთა ნყალობითაც ქართული ფილატელია გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანი ხდება, ვიდრე ეს მანამდე წარმოგვედგინა.

თავად განსაჯეთ, თუმცა კუსტარულად, მაგრამ აკაკი პაპავა უკვეთავს და აბეჭდინებს მარკებს წმინდა ნინოს, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ გორგასლის, ქეთევან დედოფლის, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ მეორის, ერეკლე მეორის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ კათალიკოსის, მარიამ დედოფლის, იოანე ბატონიშვილის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და, რაღა თქმა უნდა, შოთა რუსთაველის პორტრეტებით; აქვეა გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, არჩილ ჯორჯაძის, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, დავით კლდიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეებისადმი მიძღვნილი მარკები; აკაკი პაპავამ დააბეჭდინა აგრეთვე ფოტომარკები დემოკრატიული საქართველოს გერბის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა და თბილისის უნივერსიტეტის გამოსახულებით. სულ ლომას-დე-ზამორაში 101 დასახელების ასეთი მარკა აღმოჩნდა!

ეს პუბლიკაცია პირველი დაფიქსირებული საჯარო ინფორმაციაა ამ აღმოჩენის შესახებ. პაპავასეული მარკების 101 დასახელებიდან ჩვენ ამჯერად ორი გვანტიერესებს – შოთა რუსთაველი და შოთა რუსთაველი. ერთზე იაკობ ნიკოლაძის მიერ 1937 წელს შექმნილი ბარელიეფის რეპროდუქციაა გამოსახული, მეორეზე კი ვასილ გოლოვნიას ის ცნობილი პორტრეტი, რომელიც მანამდე ორ საბჭოთა მარკას დაედო საფუძვლად. შეიძლება ითქვას, რომ გოლოვნიას თავისი ნამუშევრის მარკებზე გადატანის თვალსაზრისით დღესაც ერთ-ერთი ლიდერია ფილატელისტურ რუსთველიანაში, ხოლო მანამ, სანამ დამოუკიდებელი საქართველოს საფოსტო ადმინისტრაცია რუსთაველის თემით დაინტერესდებოდა, ერთპიროვნულად ლიდერობდა. ეს ვასილი გოლოვნიას, ვასილი იაკოვლევჩი, ლიტველ რაინდთა შთამომავალი, ფაქტობრივად ქართველია, გორში დაბადებულია 1861 წელს, გორისა და ტფილისის რეალური სასწავლებლები დაუმთავრებია და 1884 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მსმენელი გამხდარა. მისი შემოქმედებიდან რუსთაველის ამ პორტ-



რეტის გარდა სხვა ნამუშევრებიც არის ცნობილი, მაგრამ იგი ისტორიაში შევიდა არა როგორც მხატვარი, არამედ როგორც რუსეთის რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პეტერბურგში სწავლისას „ნაროდნაია ვოლიას“ წევრი გამხდარა, მუშათა შორის პროპაგანდას ეწეოდა, რის გამოც 1884 წლის 16 ნოემბერს დაუპატიმრებიათ და პეტრე-პავლეს ციხეში ჩუსვამთ. მას მერე მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილა. 1905 წელს იგი უკვე ქუთაისშია და რკინიგზის მუშათა კომიტეტს უდგას სათავეში. 1906 წელს ისევ დაიჭირეს და ამჯერად მეტეხის ციხეში ჩასვეს, მაგრამ სასამართლომ გაამართლა და მალევე გამოუშვეს. რევოლუციის შემდეგ თბილისის რკინიგზის სადგურის უფროსად მუშაობდა. ვერაფრით დავაზუსტე, იცოცხლა თუ არა 76 წლამდე და მოესწრო თუ არა თავისი რუსთაველის განმარკებას.

გოლოვნიას რუსთაველი ცნობილი და პოპულარული კი არის, მაგრამ დიდი მხატვრული ღირსებებით იგი არ გამოირჩევა. საერთოდაც, რუსთაველის სახე და მისი პოემა, არაერთი საკმაოდ წარმატებული ცდის მიუხედავად, ჯერ კიდევ მოელის შესაფერის ასახვას მხატვრობასა თუ ქანდაკებაში. სხვისი არ ვიცი და, რუსთაველის დღემდე შექმნილ პორტრეტებსა და ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებში მე სერგო ქობულაძის ნამუშევრებს გამოვარჩევდი; საფოსტო მარკებისთვის ხომ – განსაკუთრებით. საერთოდ სერგო ქობულაძის გრაფიკული ფურცლები თავისი ზუსტი ფორმებით, დახვეწილი ხაზებითა და ლაკონიური ფერადოვანი გადანყვევით თითქოს სპეციალურად

მარკებისთვის არის შექმნილი. ალბათ ამიტომ იყო, რომ 1999 წელს, როდესაც საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციამ მსოფლიო საფოსტო კავშირის 125-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მარკების დიზაინი შემიკვეთა, სწორედ ქობულაძის შემოქმედება მოვიშველიე. ჩავთვალე, რომ წერილის წერად დამჯდარი მისი ნესტან-დარეჯანი თემასაც კარგად გახსნიდა და ორიგინალობითაც გამოირჩეოდა ამავე თემაზე შექმნილი სხვა ქვეყნების ათობით მარკის ფონზე. ეს მარკები მიმოქცევაში 1999 წლის 8 დეკემბერს შემოვიდა. თითოეული მათგანის ტირაჟია 50 ათასი. დაბეჭდილია ცარცის ქალაღზე ოფსეტური მეთოდით, მარკების ზომა – 55x35, კბილანები – 131/4, მარკების რაოდენობა საბეჭდ ფურცელში – 15 (3x5). გამოშვება ორმარკიანია. პირველ, 20-თეთრიან მარკაზე ნახატის მხოლოდ დეტალი ჩანს – ხელები, კალამი და ეტრატი, მეორე, 80-თეთრიან მარკაზე კი, თითქოს ადამიანის თვალში ჩამონტაჟებული ვიდეოკამერის ობიექტივი გაიხსნაო, ქობულაძის ნამუშევარი მთელი თავისი სიდიადითა და მასშტაბურობითაა წარმოდგენილი. ჩემი ავტორობა აქ მხოლოდ ვიზუალური ტელეფექტისა და თავად ნამუშევრის შერჩევაში გამოიხატა.

დაახლოებით ასეთივე გზა ავირჩიე ერთი წლის შემდეგ, როცა ვეფხისტყაოსნის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი მარკების სერია შემიკვეთეს. თუ შოთა რუსთაველს 800 წელი 1966 წელს შეუსრულდა, 2000 წელს პოემის შექმნის 800 წლისთავის აღნიშვნა უფრო ლოგიკური იყო, ვიდრე იმავე მოვლენის 750 წლისთავის აღნიშვნა 1937-ში. ამ შემთხვევაში



ვეფხისტყაოსნის ავტორი 34 წლის მონიჭული ადამიანი იქნებოდა და არა 21 წლის ყმანვილი, როგორც ეს საბჭოთა ქრონოლოგიით გამოდიოდა. თემაზე მუშაობის პროცესში არაფრით ვიყავი შეზღუდული და ამიტომ გადავწყვიტე, რაკი საქმე შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანს ეხებოდა, პროექტისთვის შეძლებისდაგვარად მასშტაბური სახე მიმეცა. ამავე დროს, მიზნად დავისახე, რომ ფილატელისტური სამყაროს ნებისმიერი წარმომადგენლისათვის, იმის მიუხედავად, გაეგონა თუ არა მას რუსთაველის სახელი, ნათელი გამეხადა, რომ საქმე პოეზიის მეფეს ეხებოდა. მეფისთვის კი მარკის დიზაინში შემუშავებულია ტრადიციული ფორმა, რომელსაც დღემდე მკაცრად იცავს დიდი ბრიტანეთი და რომლისთვისაც სხვადასხვა დროს თითქმის ყველა მონარქიას მიუმართავს: ეს გახლავთ მმართველი მონარქის პორტრეტის ჩასმა ოვალურ ჩარჩოში და მისი ისე განთავსება მარკის რომელიმე ზედა კუთხეში, რომ მარკის მთავარი ნახატი თავისუფლად იკითხებოდეს. სამწუხაროდ, დროში ცდომილების გამო საქართველოს არ მიეცა საშუალება, თავისი 1500-წლოვანი მონარქიული ტრადიცია საფოსტო მარკაზე აესახა და ამით კლასიკური შინაარსისა და ფორმის მარკები გამოემუშა, მაგრამ ამ ისტორიული უიღბლობის გამოსწორება მე კლასიკურ ფორმაში ახალი შინაარსის ჩადება ვცადე. პირველად ეს 1997 წელს გავაკეთე, როცა ვახუშტი ბაგრატიონისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ მარკაზე ლევან ჭოლოშვილის მიერ სპეციალურად შექმნილი მისი (ბაგრატიონის!) პორტრეტი „სამეფო ოვალში“ ჩავსვი. მეორედ ამის გაკეთება რუსთაველისადმი მიძღვნილ სერიაში გადავწყვიტე და საამისოდ რუსთაველის ათეულობით სხვადასხვა პორტრეტი მოვიძიე და გადავსინჯე. მარკის ძირითად სიუჟეტურ გამოსახულებად კი სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ეპიზოდის ილუსტრაციები შევიგულე. საბოლოოდ 12 პორტრეტი და 12 ილუსტრაცია შევარჩიე და ისინი 10 მარკად და ორ ბლოკად დავანწყვილე. შედეგად ასეთი სურათი მივიღე:

მამუკა თავაქარაშვილი და მამუკა თავაქარაშვილი; იაკობ ნიკოლაძე და სერგო ქობულაძე; უჩა ჯაფარიძე და ირაკლი თოიძე; თეიმურაზ გოცაძე და ლევან ცუცქერიძე; თემო ნაც-

ვლიშვილი და ნათელა იანქოშვილი; უცნობი მხატვარი და მიხაი ზიჩი; ნიკო ფიროსმანი და ლადო გუდიაშვილი; სერგო ქობულაძე და თამარ აბაკელია; კონსტანტინე მერაბიშვილი და ფლავიო ბიანკონი; ალექსი კობახიძე და სევერიან მანსაშვილი (წყვილებში პირველად პორტრეტის ავტორია დასახელებული).

ბლოკების გამოსახულებანი ასე დავანწყვილე: რუსუდან ფეტვიაშვილი და რუსუდან ფეტვიაშვილი; იერუსალიმის ფრესკა და უცნობი მხატვარი.

დაკვირვებული მკითხველი შეამჩნევს, რომ პორტრეტითაც და ილუსტრაციითაც მხოლოდ ოთხი მხატვარია წარმოდგენილი: მამუკა თავაქარაშვილი, უცნობი მხატვარი, სერგო ქობულაძე და რუსუდან ფეტვიაშვილი. მოხდა ისე, ამათგან ორივე ნამუშევრით ერთად, ერთ მარკაზე მხოლოდ თავაქარაშვილი და ფეტვიაშვილი მოხდნენ.

იმის მიუხედავად, რომ 9- და 10-მარკიანი სერიები ახალი საქართველოს სამარკო პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, 16-მარკიანი სერიებიც კი იყო გამოსული, თანაც ამათგან ერთი იყო ფიროსმანი, დანარჩენი სულ დინოზავრები, ქვენარმავლები და ჩიტები ბრძანდებოდნენ, ქართული მარკის მამებს 10-მარკიანი სერია მაინც ებევრათ და მისი ორ გამოშვებად დაყოფა მთხოვეს. რაკი სხვა გზა არ იყო, ასეც მოვიქეცი – თითოეულ გამოშვებაში ხუთი მარკა და ერთი ბლოკი გავითვალისწინე და რადგან ორივე გამოშვებაში ზუსტად ერთნაირი ნომინალები ფიგურირებდა, მათი განსხვავება კომპოზიციათა ორიენტაციით გადავწყვიტე – პირობითად პირველ გამოშვებაში რუსთაველის პორტრეტი მარკის ზედა მარჯვენა კუთხეში მოვათავსე, მეორე გამოშვებაში კი – ზედა მარცხენა კუთხეში.

პირველი გამოშვება (ხუთი მარკა და ერთი ბლოკი) 2000 წლის 8 მაისს შემოვიდა მიმოქცევაში. დაბეჭდილია ოფსეტურად ცარცის ქალაღზე; მარკების ზომა – 52x36, კბილანები 131/4; მარკების რაოდენობა ფურცელზე – 20 (5x4); თითოეული მარკის ტირაჟი 25 ათასია. 25 ათასი დაიბეჭდა ბლოკიც. ამას გარდა 5-5 ათასი მარკა და 5 ათასი ბლოკი უკბილანო ვარიანტში დაიბეჭდა.

საფოსტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა გადანწყვეტილებით, მეორე გამოშვება მომ-



დევნო წელს უნდა გამოშვებულიყო, მაგრამ მერე რატომღაც მეორე გამოშვების დაბეჭდვა გადაიფიქრეს და ამის გამო მართლა მასშტაბური და სისრულის პრეტენზიის მქონე პროექტი როგორღაც კუდმოკვეცილი გამოვიდა – სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, – უზიჩო, უფიროსმანო, უგუდიაშვილო...

იმის მიუხედავად, რომ მართლა კარგი ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა, ეს საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციის ყველაზე პატარა შეცდომა იყო იმ შეცდომებს შორის, რომელიც თან სდევდა მის საქმიანობას არსებობის სულ პირველი დღეებიდან. ამ ყველაფრის მიზეზი თავიდან ალბათ მხოლოდ უცოდინარობა და გულგრილობა იყო, მერე და მერე კი სხვა ამბებიც გამოიკვეთა და თუ თავიდან მხოლოდ ჩემი აზრის პასიურ დაფიქსირებას ვჯერდებოდი, ბოლოს ღიად დავუპირისპირდი ქართული სამარკო საქმის თავკაცებს. ამაზე ახლა, ამ წერილში არაფერს ვიტყვოდი, ამ დაპირისპირების მიზეზი შოთა რუსთაველი რომ არ გამხდარიყო.

ისრაელის საფოსტო ადმინისტრაციამ რუსთაველის იერუსალიმური ფრესკის მარკაზე აღბეჭდვა გადაწყვიტა და საქართველოს საფოსტო ადმინისტრაციას ერთობლივი გამოშვების იდეა შესთავაზა. საქართველოს მხარეს უნდა შეერჩია და შეეთავაზებინა ისრაელის მხარისთვის სასურველი თემატიკა, რომელიც გარკვეულწილად კავშირში იქნებოდა რუსთაველის იერუსალიმურ ფრესკასთან და ორივე მარკა – ისრაელისა და საქართველოსიც

ერთ დღეს შევიდოდა მიმოქცევაში. ერთობლივი გამოშვების პრაქტიკა ახალი არ არის, მსოფლიო ფილატელიამ ასეთი გამოშვებების არაერთი შემთხვევა იცის და როდესაც ჯერ კიდევ 1993 წელს საქართველოს საგადასახადო ნიშნების გამოშვების მუდმივმოქმედ კომისიაში შემეყვანეს, ერთობლივი გამოშვების იდეა პირველად მე წამოვჭერი. ალბათ ამიტომაც სიხარულით მივიღე დავალება – შემერჩია შესაბამისი თემატიკა და მარკის პროექტი შემეთავაზებინა ჯერ ქართული და მერე ისრაელის მხარისათვის. ძალიან მალე რამდენიმე საინტერესო ვარიანტი მოვამზადე, მაგრამ თურმე სულ ტყუილად ვირჯებოდი: ისრაელის საფოსტო ადმინისტრაციის ერთ-ერთი მოხელის – გვარად ფიჩხაძის მეცადინეობით ქართულ მხარეს უკვე გადაეწყვიტა რუსთაველის საპირწონედ საქართველოს თავის მარკაზე ქუთაისის სინაგოგა აღებეჭდა, რომელიც მხოლოდ იმით გამოირჩევა, რომ ბატონი ფიჩხაძე ოდესღაც ამ სინაგოგის ჯამაათის წევრი ყოფილა. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს მივმართე, ისრაელში საქართველოს საელჩოც ჩავაყენე საქმის კურსში, პრესაშიც ავტეხე განგაში, მაგრამ ვერაფერს გავხდი და ეს პროექტი უჩემოდ განხორციელდა. ამ ყველაფრის შესახებ ვრცლად ვუამბე „დილის გაზეთის“ მკითხველს 2001 წლის ზაფხულში და ამიტომ აქ მეტს არაფერს ვიტყვი, მაგრამ ისრაელის მართლა მშვენიერ მარკას არავისთვის არაფერი დაუშავებია და მასზე საგანგებოდ უნდა შევჩერდე.





საერთოდ, ისრაელის მარკები, რომელთაც, როგორც წესი, ფურცელზე კუპონიც ახლავს, მაღალი კულტურითა და დახვეწილი დიზაინით გამოირჩევა და ამას შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი მარკაც ადასტურებს. გარდა იმისა, რომ ეს მარკა ერთ-ერთი საუკეთესოა ფილატელისტურ

რუსთველიანაში, იგი იმითაცაა გამორჩეული, რომ ამ თემაზე შექმნილი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი უცხოური მარკაა. ამავე დროს იგი პირველი და ერთადერთი კუპონიანი მარკაა რუსთაველის გამოსახულებით. მარკის ავტორია ი. გრანოტი. იგი მიმოქცევაში შემოვიდა 2001 წლის 3 სექტემბერს და მისი ტირაჟია 150 ათასი. დაბეჭდილია ოფსეტურად ცარცის ქაღალდზე. მარკების ზომა – 40x30, მარკების რაოდენობა ფურცელზე – 15 (3x5). ამ მარკისათვის ისრაელის საფოსტო ადმინისტრაციამ გამოუშვა სპეციალური კონვერტი, რომელზედაც ვეფხისტყაოსნის ივრითზე მთარგმნელის, ქუთაისელი ბორის გაპონოვის (1934-1972) მემორიალური დაფაა აღბეჭდილი. ამ მარკის გამოშვებისათვის ქართველ ფილატელისტებს და საერთოდ ქართულ საზოგადოებას მაღლობის მეტი არაფერი გვეთქმის ისრაელის ფოსტის მესვეურთა მიმართ.

ამის შემდეგ რუსთაველის იერუსალიმური მარკა კიდევ ერთხელ მოხვდა მარკაზე – ამჯერად საქართველოს მარკაზე, თუმცა ეს მარკა რუსთაველს არ ეძღვნება და მისი ფრესკა აქ მხოლოდ ფონად არის გამოყენებული. მარკა ეძღვნება გამოჩენილი ქართველი სემიტოლოგის გიორგი ნერეთლის (1904-1973) საუკუნოვან იუბილეს. მისი ავტორია ბადრი გაგნიძე, დაბეჭდილია ოფსეტურად ცარცის ქაღალდზე; მარკების ზომა – 26x42, კბილანები – 131/4, მარკების რაოდენობა ფურცელზე – 10 (5x2); ტირაჟი – 15 ათასი, მიმოქცევაში შემოვიდა 2004 წლის 5 ნოემბერს.

ფილატელისტური რუსთველიანა ჯერჯერობით საქართველოს ამ მარკით მთავრდება. მეც აქ დავსვამ ნერტილს.

## გაგრძელება პირველი:

### რა მიუსაჯეს სევერიან მაისაშვილს 1935 წელს

ეს პატარა წერილი, რომელსაც თანამედროვე ქართული პრესის „საუკეთესო“ ტრადიციების დაცვით შერჩეული სათაური ჰქვია, ერთგვარი დამატებაა მანანა კარტოზიას საგამომცემლო პროექტის მეორე ნიგნისა. ამ ნიგნში დაბეჭდილია ჩემი ნარკვევი „ფილატელისტური რუსთველიანა“, რომელშიც საუბარია იმ საფოსტო მარკებსა და კონვერტებზე, განხორციელებულებსა თუ განუხორციელებულებზე, რომლებიც რუსთაველის სახელთანაა დაკავშირებული.

სევერიან მაისაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთერთი ილუსტრატორია. მისი ერთი ილუსტრაცია მეც გამოვიყენე ვეფხისტყაოსნის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების მეორე სერიაში, რომელიც, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. თუმცა ამ სერიასა და, მათ შორის – სევერიან მაისაშვილის ილუსტრაციასაც იმ ჩემს ნარკვევში სათანადო ადგილი უკავია. იმ განუხორციელებელი მარკის ესკიზიც და მაისაშვილის ის ილუსტრაციაც ამ ბუკლეტის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი. მაგრამ უკვე მას შემდეგ, რაც ნიგნი დაიბეჭდა, მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ სევერიან მაისაშვილს მთელი 75 წლის წინათ თავად შეუქმნია შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების ესკიზები. სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით მხატვარს ბედი არ ჰქონია და ის მისი ნამუშევარიც განუხორციელებელი დარჩა.

როგორც ცნობილია, 1937 წელს პირველად აღინიშნა რუსთაველის იუბილე – 750 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის საფოსტო ადმინისტრაციამ გამოუშვა 20-კაპიკიანი საფოსტო მარკა, რომელზეც რუსთაველის ვასილ გოლოვნიასეული პორტრეტია გამოსახული; თავად მარკის დიზაინი კი ვლადიმირ კაიდალოვს (1907-1985) ეკუთვნის. ვლადიმირ კაიდალოვის მარკაზე მე საკმაოდ დაწვრილებით ვწერ იმ ჩემს ნარკვევში. ახლა კი საშუალება მეძლევა შევავსო ხარვეზი და დავაზუსტო ამ მარკასთან დაკავშირებული დღემდე ცნობილი ინფორმაცია.



სევერიან მაისაშვილმა რუსთაველის პოემის ილუსტრაციები 1965-1966 წლებში შექმნა, თუმცა არცერთ გამოცემაში ისინი ჯერჯერობით არავის გამოუყენებია. 30 წლით ადრე კი ს. მაისაშვილს რუსთაველისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკების ესკიზები გაუკეთებია. 1935 წელს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის საფოსტო ადმინისტრაციამ რუსთაველის იუბილესადმი მიღვნილი მარკის გამოშვება გადაწყვიტა, მის პროექტზე კონკურსი გამოცხადებულა.. კონკურსის პირობები და ეტაპები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში იგი ცალკე გამართულა.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 1935 წლის ბოლო, მე-ნომერში მე-7 გვერდზე აქვეყნებს ასეთ ინფორმაციას: „შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის სახ. კომისარიატი უშვებს საფოსტო მარკებს. საუკეთესო საფოსტო მარკებზე გამოცხადებულ კონკურსში პირველი ჯილდო მიიღო მხატვარმა სევ. მაისაშვილმა“. იქვეა დაბეჭდილი საფოსტო მარკის ესკიზიც.

მხატვარს მარკის კიდევ ორი ვარიანტი გაუკეთებია და ისინი იმავე ჟურნალის მე-19 და ნ9-ე გვერდებზეა დაბეჭდილი შესაბამისი წარწერით. როგორც ჩანს, სამი მარკიდან არცერთი არ გამოურჩევიათ და კონკურსში გამარჯვება სამივე პროექტის ჯამში მიუნიჭებიათ 35 წლის გრაფიკოსისათვის.

იმავე ჟურნალის 104-ე გვერდზე ქრონიკის განყოფილებაში, რუბრიკით „სხვადასხვა“ დაბეჭდილია ინფორმაცია „შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტში“, რომლიდანაც სხვათა შორის ვგებულობთ კონკურსის ჟიურის შემადგენლობას, მონაწილეთა რაოდენობას და კონკურსის სხვა დეტალებს:

„23 დეკემბერს საქ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარესთან ამხ. მ. მაგალობლიშვილთან შესდგა შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სხდომა. სხდომას დაესწრნენ: სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბუდუ მდივანი, საბ. საბჭ. მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ალ. დუდუჩავა, ი. ნიკოლაძე, ლ. გუდიაშვილი, ა. შანშიაშვილი, გალ. ტაბიძე, გ. ჩუბინაშვილი, დ. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, დ. შევარდნაძე, ლ. გასვიანი, შ. ნუცუბიძე, გ. ქიქოძე და პრესის წარმომადგენლები.

სხდომაზე პირველ საკითხად გაიჩნა მხატვრების: ს. მაისაშვილის, ს. გაბაშვილის და ლ. გრიგოლიას მიერ კონკურსზე წარმოდგენილი ესკიზები საიუბილეო საფოსტო მარკებისათვის დამზადებული.

პროექტის საფუძვლიანად გარჩევის შემდეგ საიუბილეო კომიტეტმა პირველი პრემია (3.000 მანეთი) მიუსაჯა მხატვარ ს. მაისაშვილს. მეორე პრემიის გაცემის შესახებ კომიტეტმა დაადგინა: წინადადება მისცეს მხატ-





ვრებს: ს. გაბაშვილს და ლ. გრიგოლიას წარმოდგენილ ესკიზებში კომიტეტის მიერ მითითებების მიხედვით შეიტანონ შესწორებები და წარმოუდგინონ კომიტეტს განსახილველად“.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, წარმოდგინეს თუ არა ს. გაბაშვილმა და ლ. გრიგოლიამ შესწორებული პროექტები და თუ წარმოდგინეს, რა ბედი ეწიათ მათ. რაც შეეხება გამარჯვებულ ესკიზებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში გაიგზავნა მოსკოვში, სადაც, როგორც ჩანს, იგი სხვა ნამუშევრებთან ერთად განიხილეს და უპირატესობა ვ. კაიდალოვის პროექტს მიანიჭეს.

ეს არის და ეს. მეტი არავითარი ცნობა ამ კონკურსის შესახებ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ის კი არა, ამ ინფორმაციისა და ამ სამი მარკის რეპროდუქციების შესახებ არავითარი მინიშნება არ არის თავად ამ ჟურნალის სარჩევშიც. ასე რომ, „საბჭოთა ხელოვნების“

ეს ნომერი სრულიად სხვა თემის ძიებისას შემთხვევით რომ არ გადავშალა, ვერც ამას ვიგებდით, რაც დღეს ვიცით.

და რაც ყველაზე სამწუხაროა: ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში საერთოდ არ არის ნახსენები ის ფაქტი, რომ სევერიან მაისაშვილი ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ილუსტრატორია და რომ იგი, ამავე დროს, ქართული სამარკო დიზაინის ერთ-ერთი პიონერიცაა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ენციკლოპედიის სტატიაში ხაზგასმულია მისი პირველობა და როლი თანამედროვე ქართული მინიატურული ხელოვნების განვითარებაში.

არ არის გამორიცხული, რომ მომავალში საქართველოში გამართული კონკურსის ორი სხვა მონაწილის ესკიზებიც მოიძებნოს და ფილატელისტური რუსთველიანა ახალი ვიზუალური მასალით გამდიდრდეს. (სხვათა შორის, ჩემი ამ ნარკვევის პირველი პუბლიკაციის შემდეგ ქართული ლიტერატურის მუზეუმში სხვა მონაწილისა არა, მაგრამ სევერიან მაისაშვილის რამდენიმე სხვა ესკიზი კიდევ იქნა მიკვლეული).

## გაგრძელება მეორე:

### შოთა რუსთაველი გაეროს მარკებზე

2018 წლის 24 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში გაიმართა წარდგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი საფოსტო მარკისა, რომლის ნომინალია 80 ევროცენტი და რომლის კუპონებზე ვეფხისტყაოსნის ირაკლი თოიძისეული ილუსტრაციებია გამოსახული. ასეთი კუპონი ხუთია. ასე რომ, კოლექციონერთათვის ამ მარკას ხუთი სახესხვაობა აქვს.

მარკებს მთავარი წარწერა – „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“ – გერმანულად აწერია: Vereinte Nationen.

გაეროს მარკების ამ გამოშვებისათვის გამოვიდა სპეციალური საფოსტო ბლოკი, რომელზეც ათი მარკაა დაბეჭდილი – ანუ ორთხი თითოეულ კუპონთან ერთად. ბლოკის

მთავარი გამოსახულებაა შოთა რუსთაველის ალექსანდრე როინაშვილისეული პორტრეტის გაფერადებული ვარიანტი. ბლოკის ქვედა მარცხენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს რუკის კონტურით შემოსაზღვრული საქართველოს დროშა და გაეროს ემბლემა, ხოლო მარკების თავზე განთავსებულია რუსთაველის აფორიზმი „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. აფორიზმი ორ ენაზე წერია – ინგლისურად და ქართულად. ინგლისური ტექსტი (Who seeks not a friend is his own foe) აღებულია მარჯორი უორდროპის თარგმანიდან. რაც შეეხება ქართულს, დასაინანია, რომ იგი შეცდომითაა ციტირებული – „ვინც მოყვარესა არ ეძებს“. აფორიზმის თავზე ინგლისური მხატვრული წარწერაა: The Knight in Panther's Skin (ვეფხისტყაოსანი).

ბლოკის მარჯვენა კიდეზე განთავსებულია ორი ვერტიკალური ინგლისური წარწერა. ერთი მათგანი გვაუწყებს, რომ მარკების კუბონებზე დატანილი ილუსტრაციების ავტორია

ირაკლი თოიძე და მათი ორიგინალები დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ხოლო მეორიდან ვგებულობთ, რომ ბლოკის დიზაინის ავტორია ბორის იოაჰანსენი. იქვე ფრჩხილებში მითითებულია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი. როგორც ჩანს, სწორედ ლიტერატურის მუზეუმმა მიაწოდა დიზაინერს რუსთაველის ალექსანდრე როინაშვილისეული პორტრეტი, რომელიც მას გაუფერადებია.

ბლოკის მთავარი წარწერა (850-th Anniversary – Shota Rustaveli) გვაუწყებს, გამოშვება ეძღვნება შოთა რუსთაველის 850-ე წლისთავს.

გაეროს ახალი მარკის პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან კახა იმნაძე, პიანისტი გიორგი მიქაძე და ანსამბლი „ბასიანი“.

მარკა მიმოქცევაში შევიდა 2018 წლის 26 მაისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენის ოფისის საფოსტო განყოფილებაში.








**ნინო ხვედელიძე**

საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ქალაქი ლუთერშტადტ-ვიტენბერგი, რომელიც მდებარეობს საქსონია-ანჰალტის მხარეში, XII საუკუნეში დაარსდა. XVI საუკუნის დასაწყისში იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ, ტექნიკურ და სახელოვნებო ცენტრად გადაიქცა. იქ არსებული უნივერსიტეტის წყალობით, განსაკუთრებით გაძლიერდა მისი პოზიციები ინტელექტუალური თვალსაზრისით. 1508 წლიდან ამ უნივერსიტეტში თეოლოგიის კურსს კითხულობდა გერმანელი ბერი, თეოლოგიის პროფესორი და ეკლესიის რეფორმატორი – მარტინ ლუთერი (1483-1546). მისმა სწავლებამ ღრმა კვალი დაამჩნია ლუთერანული და პროტესტანტული ტრადიციების დამკვიდრებას და დასავლური ცივილიზაციის განვითარებას. 1517 წელს გამოქვეყნდა მისი 95 თეზისი ინდულგენციის წინააღმდეგ. სწორედ ამ მომენტიდან, ვიტენბერგი გადაიქცა პროტესტანტული რეფორმაციის სულის ჩამდგმელ ქალაქად.

რეფორმაცია იყო პირველი რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელმაც გავლენა იქონია წიგნის ბეჭდვის განვითარებაზე, მეორე მხრივ, კი საბეჭდმა დაზგამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანთა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ვიტენბერგში, რეფორმაციის იდეურ ცენტრში, დაარსდა რამდენიმე საგამომცემლო-პოლიგრაფიული საწარმო, სადაც ბეჭდვადნენ საღვთისმეტყველო ლიტერატურას, რელიგიურ-პოლემიკურ ტრაქტატებს, პროპაგანდისტულ პლაკატებსა და ბროშურებს. იქვე დაიბეჭდა ლუთერის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი წმინდა

## ჰანს ლუფტის გამოცემა



ბიბლიის მარტინ ლუთერისაულო  
თარგმანი, დაბეჭდილი ჰანს ლუფტის მიერ  
ვიტენბერგში 1534 წელს, ხაზა კვანთის  
ოსტატის ინიციალით „მ.ს.“

წერილი. მისი ნაშრომების ერთ-ერთი პირველი გამომცემელი იყო მეღბიორ ლოუტერ უმცროსი. იგი საგამომცემლო მოღვაწეობას ეწეოდა 1519-1523 წლებში. 1520-1548 წლებში, როგორც ლუთერის, ასევე ფილიპ მელანქტონისა (1497-1560) და მათი თანამედროვეების ნაშრომებს ბეჭდავდა გეორგ რავე. მასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა ლუკას კრანახ უფროსი. იგი რეფორმაციის აქტიური მონაწილე გახლდა.


ვიტენბერგში 1522 წელს ჩავიდა ჰანს ლუფტი (1495-1584), მალევე დააფუძნა საკუთარი სტამბა, სადაც ლუთერის ნაშრომების ბეჭდვა დაიწყო. წარმოშობით ბავარიის პატარა ქალაქ ამბერგიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა კაცმა ვიტენბერგელ გამომცემელთა შორის ყველაზე ღვანწმოსილი და ნაყოფიერი გამომცემლის რეპუტაცია დაიმსახურა. 1534 წელს ლუფტის სტამბაში დაიბეჭდა მარტინ ლუთერის ყველაზე მნიშვნელოვან გამომცემად ცნობილი, გერმანული ბიბლია.

გერმანულ ენაზე ბიბლიის თარგმნა ლუთერის ძირითად საქმეს წარმოადგენდა. იმ დროისათვის არსებობდა ამ წიგნის თოთხმეტი თარგმანი ზემოგერმანულ და ოთხი – ქვემოგერმანულ დიალექტზე. მათი ხარისხი არ აკმაყოფილებდა განათლებულ მკითხველს. ამ თარგმანების დაბალმა ხარისხმა ლუთერს საქმე გაადვილების ნაცვლად უფრო გაურთულა.



მთარგმნელმა ნაშრომს უწოდა „შექტემბერტესტამენტ“ – „სექტემბრის ალტემა“, რადგან ახალი ალტემის თარგმნა ლუთერმა რამდენიმე კვირის დაძაბული მუშაობით შეძლო და დაამთავრა 1522 წლის სექტემბერში. ძველი ალტემის თარგმნას ათი წელი დასჭირდა და მისი შესწორებული გამოცემა 1541 წელს გამოიცა. ბიბლიის თარგმნაში ლუთერს მისი მდივანი, ეკლესიის მსახური, თეოლოგი და მთარგმნელი – გეორგ პოპერი (1492-1557) ეხმარებოდა.

ჰანს ლუფტი 1532 წლიდან ლუკას კრანახთან თანამშრომლობდა. მან გამომცემელს შეუკვეთა ილუსტრაციები, რომლებიც გამოიყენეს ბიბლიის 1534 წლის გამოცემაში. ლუთერი თვითონ არჩევდა სიუჟეტებსა და კომპოზიციებს. ამ ილუსტრაციებიდან რამდენიმე მათგან



ჩვენთვის უცხოურად მთარგმნელი ფრადერიკ III, საქსონიის კურფიურსტი (ფრადერიკ ბრძანი) და მარტინ ლუთერი. ხუზა ნაკვეთი ბრავიურა, 1555 წ.



„RINGER KUNST: FUNF UND ACHTZIG STÜCKE“, სატიტულა ფურცალი, 1539 წ.

ნი შეცვალეს და კვლავ გამოიყენეს 1541 წლის გამოცემაში. ბიბლიის ეგზემპლარს, რომელიც აკვარელის საღებავით არის გაფერადებული, სატიტულე ფურცელზე ახლავს მისი მფლობელის ნარწერა „Valten Herman. 1545“. იგი მიგვანიშნებს, რომ გრავიურა გაფერადებულია ბალთაზარ კინასტის მიერ არა უგვიანეს 1545 წლისა. ასეთ აღნიშვნას, რომელიც ავტოგრაფის ტოლფასი იყო როგორც ხელნაწერ, ისე ბეჭდურ წიგნებში, აკეთებდნენ ილუმინატორები – ნახატების, რუკების, გეგმების გამფერადებელი მხატვრები. სამწუხაროდ, ასეთი მინაწერები იშვიათად გვხვდება და განსაკუთრებით ღირებულია. ბალთაზარ კინასტიმ სწორედ ბიბლიის ამ გამოცემის გაფერადებით გაითქვა სახელი.

ბიბლიის თარგმნას დიდი გამოსხაურება ერგო წილად. ლუთერის ერთ-ერთი თანამედროვე იოჰან კობლეუსი წერდა: „გასაოცრად სწრაფად დაიბეჭდა ლუთერის ახალი ალტემა მესტამბეების მიერ ისე, რომ ქალი და კაცი





ფაბიან ფონ აუერსკალდი (1462-1537)

ყველანი თან დაატარებდნენ წიგნს, სწავლობდნენ გერმანულ ასოებს და მუდმივად კითხულობდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ კი ისინი არა მარტო მოკვდავ კათოლიკეებთან, არამედ მოძღვრებთან, მაგისტრებთან და თეოლოგიის დოქტორებთანაც კი ებმებოდნენ დიალოგში“.

იოჰან ფრიდრიხ პირველმა – საქსონიის კურფიურსტმა (1532-47 წლებში) ჰანს ლუფტს ამ წიგნის გამოცემის გამო ბიბლიის ბეჭდვის მონოპოლიის პრივილეგია მიანიჭა. ამ ამბავმა დიდი როლი ითამაშა გერმანული ენისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ლუფტის მრავალ გამოცემაში აღნიშნულია მისი საგამომცემლო ნიშანი – ორი ხმალშემართული ხელი, ხმლებზე შემოხვეული გველებითა და ზემოთ გამოსახული გულით. ლუფტმა ხანგრძლივი და ბედნიერი ცხოვრება განვლო და ძირითადად ლუთერის ნაშრომების ბეჭდვით იყო დაკავებული. თუმცა, რელიგიური ლიტერატურის გარდა იგი გამოსცემდა სხვა დარგის ლიტერატურასაც, რომელთა შორის მნიშვნელოვანი პოლიგრაფიული შედეგრი იყო „Ringer kunst: funf und Achtzig Stücke“ – „ბრძოლის ხელოვნება – 85 მოძრაობა“. წიგნის ავტორი ფაბიან ფონ აუერსკალდი (1462-1537) იყო

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების გერმანელი მოჭიდავე. ის მსახურობდა საქსონიის ჰერცოგის იოჰან ფრიდრიხ რ-ის კარზე და ჭიდაობის ხელოვნებას ასწავლიდა კურფიურსტის შვილებსა და ოჯახის წევრებს.

ფაბიან აუერსკალდმა 1537 წელს დაასრულა ვრცელი ტრაქტატი ჭიდაობის შესახებ, რომელიც მოგვიანებით ლუკას კრანახ უფროსმა დაასურათა. წიგნი გამოქვეყნდა ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1539 წელს. ალბომი ჰანს ლუფტმა გამოსცა. ჭიდაობის შესახებ ეს ყველაზე ადრე დაბეჭდილი ტრაქტატი მოიცავს ჭიდაობის ოთხმოცდახუთი მოძრაობის მკაფიო აღწერილობას და დეტალურ ილუსტრაციებს.

წიგნი იწყება ლამაზად გაფორმებული სატიტულე ფურცლით, რომლის ზედა მხარეს განთავსებულია წიგნის სათაური, ავტორის სახელი და მიძღვნის ტექსტი საქსონიის კურფიურსტის – ერნსტისადმი (1441-1486). მე-16 საუკუნეში ბეჭდური წიგნის მხატვრული ანაწყობის თითქმის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა გამოცემის დამფინანსებლის ან მორალური მხარდამჭერის გერბი. მის ქვეშ რომაული ციფრებით მითითებულია წიგნის გამოცემის წელი – „1539“. სატიტულე ფურცელზე არ არის მინიშნებული მესტამბე-გამომცემლის ვინაობა და წიგნის გამოცემის ადგილი. ამ მნიშვნელოვან ცნობებს, რომელიც მსხვილკეგელიანი შრიფტით არის აკრებილი, ვხვდებით წიგნის ბოლო ფურცელზე. მის ცენტრში ვკითხულობთ: „დაბეჭდილია ვიტენბერგში ჰანს ლუფტის მიერ. 1539“.

თავფურცლის უკანა მხარე დაუბეჭდავად არის დატოვებული. შემდეგ ფურცელზე კი განთავსებულია ავტორის მიერ დაწერილი შესავალი, საიდანაც ვარკვევთ, რომ ის 1462 წელს დაიბადა კეთილშობილ დიდგვაროვანთა ოჯახში. სწავლულთა ოჯახი საქსონიის კურფიურსტს ემსახურებოდა.

წიგნში შესავალი სიტყვის შემდეგ განთავსებულია ავტორის პორტრეტი. გრავიურის ქვემოთ მსხვილკეგელიანი შრიფტით მისი გვარია დაბეჭდილი. წიგნის ავტორს ძლიერი სპორტული აღნაგობა ჰქონდა. პორტრეტი შექმნილია ლუკას კრანახის მიერ, რასაც ადასტურებს გრავიურის კუთხეში მიბეჭდილი მისი საავტორო ნიშანი – ფრთოსანი გველის გამოსახულება.

„ბრძოლის ხელოვნება“ ფაბიან ფონ აუერსკალდმა 75 წლის ასაკში დაწერა. იგი ყრმობის



ასაკიდან გატაცებული ყოფილა ბრძოლებით და საქსონიაში ყველაზე ძლიერ ადამიანად ითვლებოდა. მან მოახერხა და სპორტის ამ სახეობით დააინტერესა კურფიურსტის შვილები – ფრიდრიხი, ალბერტი, ერნსტი და იოჰანი. მათ შორის ბრძოლის ხელოვნებამ განსაკუთრებით გაიტაცა ფრიდრიხი – მომავალი მთავარი, რომელიც „ბრძენის“ მეტსახელითაც გახდა ცნობილი. ფრიდრიხს დიდ პატივში ჰყავდა თავისი მენტორი. ფაბიან ფონ აუერსვალდი ღრმად მოხუცი გარდაიცვალა 1545 წელს.

„ბრძოლის ხელოვნება“ წარმოადგენს 92 დანომრილფურცლიან ალბომს. სატიტულე ფურცლისა და ავტორის პორტრეტის გარდა, წიგნში განთავსებულია 85 მთლიანფურცლოვანი გრაფიურა. თითოეულ მათგანზე გამოსახული ორი სპორტსმენიდან ერთდერთი წიგნის ავტორი – ფაბიან ფონ აუერსვალდია. მისი მოწინააღმდეგე, კი წვერიანი მამაკაცი – ჰერცოგი იოჰან ერნსტია. ყოველ ილუსტრაციას ახლავს 3-8 ბნკალამდე მოცულობის განმარტებითი ტექსტი, რომელიც მინდორის ზედა მხარეს არის დაბეჭდილი.

გრაფიურების ავტორი ლუკას კრანახ უფროსის მეორე შვილი – ლუკას კრანახ უმცროსი გახლდათ. იგი 1515 წლის 4 ოქტომბერს დაიბადა ვიტენბერგში. მხატვრობას ლუკასი უფროს ძმასთან – ჰანსთან ერთად მამის სახელოსნოში დაეუფლა. ნიჭიერი ფერმწერი, ხელმარჯვე გრაფიკოსი და წიგნის მხატვარი მამის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მის სახელოსნოს. „ბრძოლის ხელოვნებაზე“ მუშაობა მან 1537 წელს დაიწყო. იმ დროისათვის ლუკას კრანახ უმცროსი 22 წლისა გახლდათ. იგი ძირითადად პორტრეტებისა და მითიური სცენების ჟანრში მუშაობდა. კრანახების ოჯახის ტრადიცია გააგრძელა, მისმა ვაჟმა ავგუსტინმაც. იგი მხატვარი გახდა. ლუკას კრანახ უმცროსი გარდაიცვალა 1586 წლის 25 იანვარს.

ალბომი „ბრძოლის ხელოვნება“ იშვიათობას წარმოადგენს. ცნობილია მისი მხოლოდ ექვსი ეგზემპლარი. წიგნის ფაქსიმილური გამოცემები 1869 და 1887 წლებშია დაბეჭდილი. ასლები მცირედით განსხვავდებიან ორიგინალისაგან.

ზემოთ აღნიშნული – „Ringer kunst: funf und Achtzig Stücke“-ის გამოცემიდან ათი წლის შემდეგ ჰანს ლუფტმა გამომცემლობის ფილიალი გახსნა აღმოსავლეთ პრუსიის დედაქალაქში –



ერთ-ერთი გრაფიურა წიგნიდან „ბრძოლის ხელოვნება“

კენიგსბერგში (ახლანდ. კალინინგრადში), სადაც მან 1549-1554 წლებში დაბეჭდა 53 სხვადასხვა დასახელების წიგნი გერმანულ და ლათინურ ენებზე. ერთ-ერთი კვლავ „ბრძოლის ხელოვნება“ იყო.



ჰანს ლუფტი (1495-1584)





**დავით შულღიაშვილი**  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელშეწყობით კულტურული საგანძურის გადარჩენა, დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია ეროვნული თვითშეგნების აღდგენა-აღორძინების მნიშვნელოვან საზ-



**თამარ ღვალაძე-კუცია**  
ახალგაზრდობისას

## თამარ კუცია-ღვალაძე — ახალგაზრდი „წიგნთაღმწერალი“ — 120

რუნავად იქცა. ამას დიდწილად რუსული იმპერიის მიერ ქართული კულტურის ნაშლა-განადგურების პოლიტიკასთან წინააღმდეგობა განაპირობებდა. ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან ფაქტორად ასევე უნდა იქნას განხილული ამ პერიოდში სხვადასხვა სახალხო ბიბლიოთეკების დაარსება საქართველოში.

ეს წერილი ქართული საბიბლიოთეკო საქმიანობის თვალსაჩინო მოღვაწის, თამარ კუცია-ღვალაძის დაბადებიდან 120 წლისთავს ეძღვნება. თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თამარ კუცია-ღვალაძის მიერ ცხოვრების მთავარ საზრუნავად საბიბლიოთეკო საქმის არჩევა ეროვნული კულტურული საგანძურისადმი თავდაუზოგავი სამსახურის სურვილით იყო ნაკარნახევი.

მის წარმომავლობაზე, გენეალოგიაზე თვალის ზედაპირული გადავლევაც საკმარისია, რომ დავინახოთ, თუ რა გარემოში ყალიბდებოდა მისი მსოფლმხედველობა. თამარი 1902 წელს სამეგრელოში, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში, ხე-ტყის მრეწველის, კომერსანტისა და ქველმოქმედის ნესტორ კუციას (1871-1912) და დეკანოზ სოფრომ გაბილაიას ასულის – ელისაბედ გაბილაიას (1879-1923) ოჯახში დაიბადა. მისი პაპა სოფელ სუჯუნის წმ. გიორგის ტაძრის არქიმანდრიტი, მეთოდე კუცია გახლდათ, ხოლო ბებია – სალომე მიქაძე, შეძლებული თავადის, ეკატერინე დადიანის მსახურთუხუცესის ნიკოლოზ მიქაძის ასული.

თამარ ღვალაძის ბავშვობისა და ახლგაზრდობის წლები საქართველოს ისტორიის სამ, ერთმანეთისგან განსხვავებულ პერიოდს მოიცავს: 1902 წელს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ, გუბერნიებად დაქუცმაცებულ ქვეყანაში დაბადებული თამარი 16 წლისა იყო, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბდა. ამ პერიოდს მისი მოსწავლეობასა და უნივერსიტეტის სტუდენტობის პირველი

ნელი ემთხვევა. 1921 წლიდან კი, ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ მთელი მისი ცხოვრება სოციალისტურ-კომუნისტური წყობის რეალობაში მიმდინარეობდა, მისთვის ძალზე მტკივნეული, რეპრესიული შედეგებით (თამარის მეუღლე, 1920-30 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ადვოკატი და პუბლიცისტი, ევგენი ღვალაძე, 1937 წელს კომუნისტებმა დახვრიტეს). თამარ ღვალაძე-კუციას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცლად მოგვითხრობს მისი შვილიშვილი ლევან ურუშაძე წიგნში „ჩემი ბაბუა ევგენი ღვალაძე და ბებია თამარ კუცია-ღვალაძე“ (თბ., 2017). ამ წიგნზე დაყრდნობით ჩამოვთვლით თამარ კუცია-ღვალაძის განათლებისა და საქმიანობის გარკვეულ პუნქტებს, რომელნიც ზოგად წარმოდგენას გვიქმნის მისი ცხოვრების აქტოვობებზე:

1917 წელს ჩაირიცხა თბილისის „შალვა ნუცუბიძის კურსებად“ წოდებულ გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდნენ: ვასილ ბარნოვი, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, ელისაბედ ორბელიანი, ტროფიმე ხუნდაძე და სხვ. აქვე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ევგენ ღვალაძე.

1920 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. მისი ლექტორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე და სხვ.

ზედმინვენით შეისწავლა ძველი ბერძნული ენა. კარგად ფლობდა გერმანულს.

1925 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი.

1920 წელს, 18 წლის ასაკში, დაიწყო მუშაობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საქმეთა მმართველად.

საბიბლიოთეკო საქმიანობას შეუდგა 1922 წლიდან ა. პუშკინის სახ. საქალაქო ბიბლიოთეკის ბაზაზე (რომელიც 1910 წლიდან არსებობდა) დაარსებულ საქართველოს განათლების რესპუბლიკური სახლის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ივანე ციციშვილმა მალევე შენიშნა მისი მონდომება და ნიჭი. სულ



ევგენ ღვალაძე მუშაობისას და დედასთან ერთად

ცოტა ხანში მას ჯერ უფროსი ბიბლიოთეკარის შტატი მიაკუთვნეს, შემდგომ სამკითხველოს და ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგის თანამდებობები.

1930 წლიდან მუშაობას იწყებს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

1934 წელს იგი დაინიშნა საჯაროს რარიტეტის განყოფილების გამგედ.

მისი მონაწილეობით დაარსდა პერიოდული გამოცემა „საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები“.

მნიშვნელოვანია მისი დამსახურება ქმნკგ საზოგადოების წიგნთსაცავისა და ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის დამუშავებაში. ამ საქმეში იგი მხარში ედგა ქართული წიგნის დიდ მოჭირნახულეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ბიბლიოთეკარ თამარ მაჭავარიანს.

ამ ჩამონათვალის გაფართოება-გაგრძელება კიდევ მრავალი პუნქტით არის შესაძლებელი, მაგრამ მსურს ყურადღება გავამახვილო





თამარ დვალაძე-კუცია

და ხაზი გავუსვა თამარ დვალაძის, როგორც ქართულ ბიბლიოგრაფიის ისტორიაში მუსიკალურ ნაწარმოებთა შემოტანის პირველი ინციტორისა და ამ იდეის განმახორციელებლის ამავზე.

75 წლის წინ, 1947 წელს გამოცემული წიგნი „ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია – 1872-1946“ (რომელიც, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, 1941 წელს უკვე დამზადებული იყო, მაგრამ მის დაბეჭდვას მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი) ქართული და საქართველოში გამოცემული სანოტო გამოცემების პირველ და მთავარ ბიბლიოგრაფიულ პუბლიკაციას წარმოადგენს (ამ თვალსაზრისით დღეს ყველაზე მოცულობითი ინფორმაციის ციფრული წყარო საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-კატალოგი გახლავთ). თამარ კუცია-დვალაძემ აღნიშნული ნაშრომით საფუძველი დაუდო ქართული სანოტო გამოცემების ბიბლიოგრაფიას (აქვე

დავძენთ, რომ თამარ კუცია-დვალაძე ასევე ფუძემდებელია ბოტანიკის ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული აღწერა-დამუშავებისა).

საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობაში დაბეჭდილი 155 – გვერდიანი წიგნი მრავალმხრივ არის აღსანიშნავი. მასში ნათლად ჩანს ავტორის, როგორც გამოცდილი ბიბლიოგრაფის პროფესიონალიზმი, მიზანდასახულობა და განეული დიდი შრომა, რათა მაქსიმალურად სრულად მოძიებულიყო და ასახულიყო წიგნში იმ დროისათვის არსებული ქართული სანოტო გამოცემები. საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის, სახელმწიფო წიგნის პალატისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკებში არსებული ქართული სანოტო გამოცემების გარდა, ბიბლიოგრაფიაში შესულია კომპოზიტორების: დიმიტრი არაყიშვილის, ანდრია ბალანჩივაძის, თამარ შავერზაშვილის, ლევან ფალიაშვილის, კოტე ფოცხვერაშვილის, ასევე, პოეტ იოსებ გრიშაშვილის და ფოლკლორისტ გრიგოლ ჩხიკვაძის პირად ბიბლიოთეკებში დაცული გამოცემები. თამარ კუცია-დვალაძეს მუდმივი კონსულტაციები და თანამშრომლობა ჰქონდა კომპოზიტორებთან, მუსიკოსებთან. პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძე წიგნის რედაქტორიც გახლდათ, რომლის ვრცელი წინასიტყვაობა ნათლად აღწერს „ქართული მუსიკალური ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიის“ სამეცნიერო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ მნიშვნელობას.

ბიბლიოგრაფიაში ყველაზე ადრეულ ქართული მუსიკის სანოტო გამოცემად დასახელებულია დავით ერისთავის „ქართული სიმღერების პოპური“ ფორტეპიანოსათვის, რომლის ზუსტი გამოცემის წელი უცნობია, თუმცა დიმიტრი არაყიშვილის ცნობაზე დაყრდნობით 1872-1874 წლებს უნდა განეკუთვნებოდეს (აქვე დავძენ, რომ დავით ერისთავის „პოპურის“ გამოცემამდე ცხრა წლით ადრე, 1863 წელს, ალოიზ მიზანდარის რომანსი „ჩვენ დავშორდით“ არის გამოცემული სანკტ-პეტერბურგში, რომელიც წარმოადგენს სინამდვილეში ქართული მუსიკის პირველ სანოტო გამოცემას. როგორც ჩანს, ეს, არათუ თამარ კუცია-დვალაძისთვის, თვით ქართველი კომპოზიტორებისა და მუსიკალური საზოგადო-

ებისთვის არ იყო ცნობილი 1940-იან წლებში).

ყურადღებას იქცევს წიგნის შემდგენლის მხრიდან ქართული საეკლესიო საგალობლების სანოტო გამოცემებისადმი ყურადღება, რომლის ისტორია 1885 წლით, ანდრია ბენაშვილის „ქართული ხმების“ გამოქვეყნებით იწყება (თუ არ ჩავთვლით 1878 წელს მიხეილ მაჭავარიანის კრებულს „სამშობლო ხმები“, რომელშიც ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად ერთი საგალობელი – „ქრისტე აღსდგა“ შევიდა). მასში ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად მოცემულია წირვის ძირითადი საგალობლები. საბჭოთა ათეისტური რეჟიმის პირობებში, გასაკვირი არ იქნებოდა ბიბლიოგრაფიული აღწერისას ამ გამოცემების იგნორირება, თუმცა ეროვნული კულტურის დაცვის იდეის მატარებელი, ქრისტიანულ ატმოსფეროში ბავშვობაგამოვლილი თამარის პოზიცია ამ საკითხისადმი სავსებით ცხადი იყო. აღსანიშნავია წიგნის რედაქტორის, პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძის მსგავსი ხედვა, რაც მის წინასიტყვაობაში ნათლად იკითხება გალობის გადარჩენის ისტორიაზე საუბრისას.

ბიბლიოგრაფია ჩვენ წინაშე შლის ახლად ჩამოყალიბებული თანამედროვე ქართული საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარების ისტორიას, გვაჩვენებს მასში სხვადასხვა ეტაპზე ამა თუ იმ მუსიკალური ჟანრის პრიორიტეტულობას, სხვადასხვა ვოკალური ხმებისთვის, ინსტრუმენტისათვის, ანსამბლებისა თუ ორკესტრისათვის შექმნილი თხზულებების შექმნის ქრონოლოგიასა და ტენდენციებს. დღეს ეს ნაშრომი ასევე ინტერესს იწვევს საბჭოთა თემატიკის მქონე ფსევდოხელოვნების მუსიკალურ ნიმუშთა ისტორიულ პანორამის დანახვის თვალსაზრისით და მრავალი სხვა საინტერესო ასპექტით.


აღსანიშნავია, რომ თამარ კუცია-ღვალაძისავე ინიციატივით მოგვიანებით წიგნის პალატაში დაიწყო მუშაობა ახალ პერიოდულ გამოცემაზე სახელწოდებით „ნოტების მატთან“, რომელშიც შევიდა საქართველოში 1980-ის ჩათვლით გამოქვეყნებული სანოტო გამოცემების აღწერილობები. სულ ამ გამოცემის 9 ნომერი გამოვიდა.

ამ ნამუშევარმა საფუძველი შექმნა ბიბლიოგრაფიის ახალი ნაშრომისა, რომელიც ქართული სანოტო გამოცემების საუკუნოვან ის-


ტორიას მოიცავდა (1872-1972). თამარ კუცია-ღვალაძის მრავალწლიანი ნამუშევრის 600 გვერდიანი ხელნაწერი 80-იანი წლებში ასაკოვანმა ავტორმა დასაბუქდად გადასცა გამომცემლობა „განათლებას“, მაგრამ სამწუხაროდ არც წიგნი გამოიცა და ხელნაწერის კვალიც დაკარგულია...

თამარ კუცია-ღვალაძე 1986 წელს, 84 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მიმაჩნია, რომ ქართული მუსიკალური კულტურის ბიბლიოგრაფიის ფუძემდებლისა და მოამაგის, თამარ კუცია-ღვალაძის შრომის ნამდვილი დაფასება იქნება მის მიერ შედგენილ „მუსიკალურ ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფიასა“ და „ნოტების მატთანზე“ დაყრდნობით, მასთან ერთად ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე განთავსებული სანოტო გამოცემების აღწერილობის საფუძველზე, შედგეს და წიგნად გამოქვეყნდეს ქართული სანოტო გამოცემების ახალი გაფართოებული ბიბლიოგრაფია.







**ბონდო არველაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
არმენოლოგი

# სომხეთის ისტორიის ბაკვათილები

ციონალური შოვინიზმით და არ დაავადდეს პათოლოგიური ეროვნული მეობის თვითგანდიდების მანიით. ამ დროს საჭიროა სიფრთხილე, ობიექტურობა, სიმართლე და არა ტრიაბახში გადასული ქება-დიდება საკუთარი ერის წარსულისა. ისტორიული ჭეშმარიტება უნდა იცოდეს სომეხმა ახალგაზრდობამ და არა შეკრეჭილ-შემოკრეჭილი, გალამაზებული სომხეთის ისტორია. მამულიშვილობა ისტორიის გამშვენიერება კი არ არის, არამედ სიმართლისთვის თვალის გასწორებაა, რაც არის გარანტი იმისა, რომ ისტორიის ყალბ ბაკვათილებს არ ჩაუტარებ შენს ახალგაზრდობას, შენ ხალხს. ერთი სიტყვით, ისტორიით ბაქიაობა მოსაწონი საქმე არ არის, მით უმეტეს, ეს არ ეკადრება ნაფიც მეცნიერ-ისტორიკოსებს, როგორებიც არიან გადაცემის ავტორები. მაგალითად, თითქმის სამ საათზე მეტი ილაპარაკეს სომხეთის მეფე ტიგრან დიდზე და მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ისე გააშუქეს, რომ ამ დროს კავკასიაში და „ცოტა“ იქითაც იყო მხოლოდ „მენ-ჰაიასტანი“ (დიდი სომხეთი) და სხვა ქვეყნებს საბოსტნე ადგილიც არ ეკავათ თურმე ამ ცოდვილ დედამიწაზე. კაცმა რომ თქვას, რა გახდა ეს დიდი სომხეთი, რომელმაც ორი ათეული წელიც ვერ გაძლო და ნაფოტებად დაიშალა.

შემთხვევის წყალობით ხელში ჩამივარდა კასეტებზე ჩანერილი სომხეთის ისტორიის ბაკვათილები, რომელიც გადაიცემა სომხეთის ტელევიზიით სომხურ ენაზე. ეს დოკუმენტური ფილმი მომზადებულია სომხეთის მეცნიერების და განათლების სამინისტროს ეგიდით და მონაწილეობენ სომეხი მეცნიერ-სწავლულები. თვალსაჩინოებისათვის გამოყენებული აქვთ არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. ხშირად მოჩანს სომხეთის პეიზაჟები, მთები, მწვერვალები, აგრეთვე ისტორიული ციხე-სიმაგრეები და კადრები მხატვრული ფილმებიდან. ვინაიდან ფილმის დიდი ნაწილი მიძღვნილია სომხეთის მეფე ტიგრან დიდისადმი, მას ამკობს მისი სურათი. ახლავე ვიტყვი, ასეთი პატრიოტულ-აღმზრდელობითი ფილმების გადაღება და ჩვენება საუკეთესო საშუალებაა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის უკეთ წარმართვის საქმეში. გადაცემის ავტორები ჭარბი ემოციურობით მოუთხრობენ სომეხ ახალგაზრდობას მშობლიური ქვეყნის ისტორიას. მათში აღვივებენ ეროვნულ გრძნობებს და ზრდიან სამშობლოს სიყვარულით. თუმცა, ფილმის დამთავრების შემდეგ ჩემდაუნებურად გამიჩნდა კითხვა. სწორედ ამ კითხვამ დამანერინა ეს წერილი, რომელიც უფრო ფილმის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებაა, ვიდრე მეცნიერული შეფასება.

არავინ იფიქროს, თითქოს საკუთარი მეფეებისა და სახალხო გმირების პოპულარიზაციის წინააღმდეგი ვიყო. არა, მათი მოღვაწეობის შესახებ საჭირო და აუცილებელია ლექციების კითხვა, მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთდეს, რომ მეზობელი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა არ შეილახოს. იყო დიდი საქართველო, იყო დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ეპოქები, როცა საქართველო გადაშლილი იყო ზღვიდან ზღვამდე, მაგრამ ჯერ არცერთ ქართველ აკადემიკოსს და სოფლის სკოლის პედაგოგს ეს ეპოქა ნაციონალურ-შოვინიზმის პროპაგანდის თემად არ უქცევია.

ცნობილი აქსიომაა: ახალგაზრდობა სუფთა ქალაღდივითაა, რასაც მასზე დაწერ, ის ჩაებეჭდება გულსა და სულში. ამიტომ, ყოველი სიტყვა თუ სტრიქონი მოზომილი უნდა იყოს, რომ არ მოიშხამოს ახალგაზრდობის სული ნა-

დანვრილებით ილაპარაკეს სომხეთის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქის – ტიგრანაკერტის შესახებ და სომეხ მაყურებელს განუმარტეს მისი ადგილი და მნიშვნელობა ძველი

სომხეთის სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში. ამ შემთხვევაში წრეგადასული პრეტენზიულობა ნაკლებად ჩანდა. ტიგრანაკერტზე გამახსენდა სომეხი მწერლის სერგეი ვარდანიანის ნიგნი – „სომხეთის დედაქალაქები“. იცით, რამდენი დედაქალაქი ჰქონია სომხეთს? არც მეტი და არც ნაკლები – 22 (?!). მათ შორის პირველია თბილისი, შემდეგ დიარბექირი, ბაქო, კიევი, იერუსალიმი, სოჭი და ა. შ. მალე ალბათ სოხუმს, ბათუმს, ქუთაისსა და ლოს-ანჯელესს სომხეთის დედაქალაქად გამოაცხადებენ. ვინ ან რა შეუშლის ხელს ზოგიერთი სომეხი მწერლის და მეცნიერის ამბიციურობას. მათ ფანტაზიას ნამდვილად არა აქვს საზღვარი.

გადაცემის ავტორებს არც ჰამშენები, არც ნახიჩევანი და ყარაბაღი დავინწყებიათ, მაგრამ ყველაზე მონდომებით და დანვრილებით მაინც ჯავახქის (ასე უწოდებენ სომეხები ჯავახეთს – ბ. ა.) „ისტორია“ უამბეს სომეხ მაცურებელს. ნუ იტყვი და ჯავახეთი სომხეთის განუყოფელი ნაწილი ყოფილა ოდითგან, ტიგრან დიდის დროს ხომ იყო და იყო. ამის საბუთად მოაქვთ ძველი სომეხი და უცხოელი ისტორიკოსების ცნობები. ეს კი, მაგრამ ყველაზე უძველეს ცნობას, რაც კი არის ჯავახეთის შესახებ, რატომ გაუკეთეს იგნორირება და სხვათა შორის, გაკვრით არ ახსენეს. ისეთი პროსომხური ქართველი ისტორიკოსი, როგორც იყო ლეონტი მროველი, გვაუწყებს – „... ხოლო შვილთა შორის მცხეთოსისითა გამოჩნდეს სამნი გმირნი სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძრხოს, და მესამესა ჯავახოს... ჯავახეთს მისცა ფარავნიტგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ნუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქვია ჰური“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, 1955, გვ. 9-10). ე. ი. ჯავახეთის მიწა იყო ქართველი მეფის ძის ჯავახოსის საუფლისწულო დომენი ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, ისტორიის გარიჟრაჟზე. სად იყო მაშინ მოსე ხორენაცი (VI ს.), ან უცხოელი ისტორიკოსი – თუნდაც სტრაბონი, რომელიც წერს, რომ ჯავახეთი II-ს ს-ში ქართული მიწა-წყალი იყო. თუ გარკვეულ წლებში ზემო ჯავახეთი გაძლიერებული სომხეთის სამეფოს მიერ იქნა ოკუპირებული, განა ამ მხარის ძირძველ სომხურობას ნიშნავს? სომეხ კოლეგებს უნდა მოეხსენებოდეს ბიზან-

ტიის და ირანის 387 წლის ზავით ქართლმა კი არ მიიერთა ჯავახეთი, არამედ დაიბრუნა თავისი კუთვნილი, უძველესი ქართული მიწა. ამ საკითხს სხვა მხრივ თუ შევხედავთ, მოგვიანებით აღმოსავლეთი სომხეთი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. თუმცა ასე შორს რატომ მივიღვართ, აგერ XVIII ს-ში ერევნის სახანოდ ქცეული „Великая Армения“ მეფე ერეკლე II-ის ყმადვასალი არ იყო? სომეხი სწავლულებისაგან განსხვავებით ქართველ ისტორიკოსებს აზრადაც არ მოსვლიათ არარატის ველი, ზანგეზურის მთები ისტორიულ ქართულ მიწად გამოეცხადებინათ! სხვათა შორის, არც ერევანი უქცევია ვინმეს ქართულ ქალაქად. გადაცემის წამყვანმა არტაკ მოვსესიანმა სომეხ მაცურებელს წარუდგინა სხვადასხვა პერიოდის ჯავახეთის რუკები, რაც ამ მხარის სომხურობის უტყუარ საბუთად აღიქმება და მათ ცნობიერებაში ეს აზრი დაამკვიდრა. კიდევ უფრო შორს წავიდა პროფ. აშოტ მელქონიანი. მან ერთი ამბით მოიტანა „ქართლის ცხოვრებიდან“ ის ეპიზოდი, როცა წმ. ნინო ორიოდ ღერი ნასწავლი სომხურით შეეკითხა ფარავნის ტბის ნაპირას მყოფ სომეხ მწყემსებს მცხეთის გზა მიმასწავლეთო. მწყემსებმა წმ. ნინოს მიასწავლეს ქართლის დედაქალაქისკენ მიმავალი გზა.

აშოტ მელქონიანმა აღნიშნული დიალოგით დაასკვნა, რომ ამ დროს (IV ს.) სომეხები ცხოვრობდნენ ჯავახეთშიო. ძალიან ნაჩქარევი დასკვნაა. მას რა საბუთი აქვს, რომ სომეხი მწყემსები სომხეთიდან არ იყვნენ გადმოსულები, რათა ჯავახეთის იალაღებზე ცხვარი გამოეკვებათ. ამის ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის და თუ არ ვცდები, დღესაც გრძელდება. რით ამტკიცებს, რა არგუმენტი აქვს, რომ ისინი ადგილობრივი სომეხი მწყემსები იყვნენ და არა სომხეთიდან მოსულები. ანდა, ავიღოთ ჯავახეთის ეტიმოლოგია. სომეხები მას თავისკენ ეწევიან. ვანის ტბის ახლოს ხორხორის კლდეზე ამოკვეთილ არგიშთ I-ის (786-764) წარწერაში მოხსენებულია ტოპონიმი – „ზაბახა“, რისგანაც მიღებულია „ჯავახ“. ამ საუკუნეში (VIII ს. ჩვ. წ. აღ-მდე) ვანის ტბის ირგვლივ სომხების ქაჭანება არ იყო. ისინი გვიან, ჩვ. წ. აღ-მდე VI ს-ში მოვიდნენ და დაიკავეს აქ მცხოვრები ქართველთა წინაპარი ტომების ადგილები, რადგან მათ ჩრდილოეთით გადაინაცვლეს, დღევანდელი საცხოვრისის ადგილზე. ერთი სიტყვით, ამ



ტოპონიმში სომხურის ძიება, ფაქტზე ძალდატანებაა და მეტი არაფერი.

კადრებში გაიელვა ქართულმა ანბანმა. ნეტავი რა შუაში იყო ჯავახეთის ისტორიასთან იგი. ისევ გაჟღერდა ლიმილისმომგვრელი მესროპ-მამბტოცის მიერ ქართულ ანბანის შექმნის ყურით მოთრეული თეორია. საინტერესოა, სომეხმა მეცნიერებმა როდემდის უნდა შეიქციონ თავი ამ ზღაპრებით და ტყუილებით კვებონ სომხური საზოგადოება და მათ შორის მოსწავლე-ახალგაზრდობა. სერიოზულ უცხო მეცნიერებს მათი ამ ბაქი-ბუქის აღარ სჯერათ. თვით მათ სათაყვანებელ ნიკო მარს მესროპ-მამბტოცი ქართულის კი არა სომხური ანბანის გამომგონებლადაც არ მიაჩნდა და მას თვლიდა სომხური ანბანის რეფორმატორად.

ამოტ მელქონიანს არც ოვანეს თუმანიანის ცნობილი პოემა – „თმოგვის ციხის აღება“ დავიწყებია და ისიც გაიხსენა ჯავახეთის სომხურობის ქრილში. ჯავახეთის ახალქალაქსაც სომხური ძირი მოუძებნა და ნორ-ქალაქის ქართულ თარგმანად მიიჩნია (ნორ – ახალი, ქალაქ – ქალაქი). რას იზამ, ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. რა თქმა უნდა, ჯავახეთის ეკლესიებსაც გადასწვდა, თითქმის იქ არსებული ყველა ეკლესია სომხურად გამოაცხადა და ჯავახეთის საკულტო ნაგებობები ორ ჯგუფად დაყო: სომხურ-გრიგორიანული, სომხურ-კათოლიკური და ბიზანტიური ეკლესიები (ქართულ ეკლესიებს ბიზანტიურს უწოდებენ სომეხი მეცნიერები). ასე განსაჯეთ, ქართული საეპისკოპოსო ტაძარი კუმურდო (X ს.) სომხურად გადააქცია.

კიდევ ერთი სიცრუე მიაწოდეს სომეხ მაყურებელს – „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენებული სახელების მეტი ნაწილი თითქოს სომხური იყოს. რომ იტყვიან, „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“ – სწორედ ასე არის. ამ ცნობილ დავთარში, რომელიც XVI ს-ის ჯავახეთის ეთნიკურ სურათს ასახავს, მხოლოდ ქართული სახელებია. აქა-იქ გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობის სომხური, რაც არ ნიშნავს უძველესი დროიდან ამ მხარის სომხურობას, როგორც ერევნელი სწავლულები არწმუნებენ სომხურ საზოგადოებას და არა მარტო მას. როგორც უკვე ვთქვით, ჯავახეთი იყო ქართველი მეფის ძის ჯავახოსის საუფლისწულო მამული და წყაროების მიხედვით იქ ოდითგან ქართული ეთნოსი იყო განსახლებული. ამ მხარეში შუა

საუკუნეებში სომხების გარკვეული რაოდენობა თუ გაჩნდა, ეს არ იძლევა იმის საბაზს, რომ ვამტკიცოთ, თითქოს ჯავახეთი იყო სომხეთის ისტორიული პროვინცია. აღარაფერს ვამბობთ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში ჯავახეთის სომეხთა სეპარატიზმზე. მათ ისარგებლეს 1919 წლის თურქეთ-საქართველოს ომით და ადგილობრივმა დაშნაკებმა – ახალქალაქი სომხეთს მიუერთეს. ამ მხარის გენერალ-გუბერნატორმა მაღლაკელიძემ ძირშივე აღკვეთა ეს მოღალატური გადაწყვეტილება და კინისკვრით გარეკა ახალქალაქში მოკალათებული დაშნაკები.

როგორც გადაცემიდან ჩანს, პროფ. ამოტ მელქონიანი ახალი ისტორიის სპეციალისტია. ნამყვანმა კადრებში ამაყად გვიჩვენა მისი წიგნები – „ჯავახეთი XIX ს-ის და XX ს-ის პირველ მეოთხედში“ (სომხურ და ინგლისურ ენებზე), „ჯავახეთის ისტორიის ნარკვევები“, „მასალეები ახალციხის და ახალქალაქის სკოლების ისტორიისათვის“, და ბოლოს, გვიჩვენა წიგნი – „კარაპეტ ბაგრატიონი“.

ქართველმა მკითხველმა უნდა იცოდეს, ეს ის ეპისკოპოსი კარაპეტ ბაგრატიონია, 1830 წელს არზრუმიდან გადმოსახლებულ სომეხთა პირველ ნაკადს რომ შემოუძღვა ჯავახეთში და შემოსვლისთანავე მიწას სამჯერ რომ დაჰკრა ეპისკოპოსის ჯოხი და დაიძახა – „სომხური მიწიდან მშობლიურ სომხურ მიწაზე მოვედითო...“ ამ სასულიერო პირმა ბევრი გააკეთა სომეხთა დამკვიდრებისთვის სამცხე-ჯავახეთში. შთამომავლობამ აკი დაუფასა ამაგი და მისი ძეგლით დაამშვენა ახალქალაქის ცენტრი...

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ამ გადაცემის შესახებ, მაგრამ ესეც კმარა, ქართველმა მკითხველმა რომ წარმოიდგინოს, რა „ობიექტურ“ ისტორიას ასწავლიან სომეხ ხალხს და, პირველ რიგში, სომეხ მოსწავლე-ახალგაზრდობას.

ავადსახსენებელი ბაგრამიანის ბატალიონის მიერ აფხაზეთში მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ეთნონმენდის სირცხვილი ჯერ არ ჩამოურეცხია სომხეთს და ახალი ყარაბაღისნაირ ნოყიერ ნიადაგს ამზადებენ ჯავახეთში სომეხი სწავლულები. ასეთი დიდაქტიკურ-შემეცნებითი გაკვეთილების ლოგიკური შედეგია სწორედ პოლიტოლოგ, ვინმე ტიგრან კარაპეტციანის ცინიკური განცხადება – „საქართველო დაკარგავს ჯავახეთს და ჩვენ გვექნება გასასვლელი ზღვაზე...“



**გულნარა სტურუა**

**ტაძრისკენ**

მთელი ცხოვრების მანძილზე  
 გზას ვეძიებდი ტაძრისკენ.  
 ცოტა პური და მარილი,  
 ხურჯინში მოვისაგზისლე.  
 ასე, ამრიგად გავუდექ  
 ვინრო, ეკლიან ბილიკებს,  
 სადღაც ნავანყდი მანქურთებს,  
 სადღაც შემომხვდა კვირიკე.  
 რა გზები გამოვიარე,  
 სიმწარე, სიკვდილ-სიცოცხლე,  
 ახლა ვინ მოთვლის იარებს...  
 დრო-ჟამმა რომ შემიხორცეს.  
 დღემდე ამ გზაზე დავდივარ,  
 ტაძართან მივალ ლოცვით მე.  
 სანამ ძალა მაქვს, ვარგივარ,  
 ჭინკები თუ არ მომცვივდნენ...

23 თებერვალი. 2022.

**ცხოვრების ანგარიში**

ახლა ზამთარია, ქართული ზამთარი,  
 არც სიცივეა, არც თბილა ძალიან.  
 ვფქრობ და თან ვავსებ ცხოვრების ანგარიშს,  
 „რაც არც სველია და არც მთლად მშრალია.  
 რა გზა გამივლია, რამხელა მანძილი.  
 დროგაიყოლიამზისსხივმაც, ღრუბლებმაც,  
 მაგრამ თითქოს-და არა ვარ დაღლილი,  
 ძველ თვისებებსაც ვინახავ უკლებლად.

**ლექსები**

**ზღაპარია კაცის ყოფა...**

ღიმილი და სიყვარული,  
 ბევრი, ბევრი სიხარული,  
 რა კარგია ცხოვრებაში  
 ამ გრძნობებით სიარული.  
 მაგრამ, მხოლოდ ასე ტკბილად,  
 ვერ იქნება კაცის ყოფა.  
 სადღაც ძაფი გაწყდება და  
 სადღაც გზები გაიყოფა.  
 ქართულ ზღაპარს ახლავს სიბრძნე-  
 იყო, არა იყო და რა ...  
 ეს სოფელი? ახლა ვიგრძენ.  
 წრფელიც არის, მატყუარაც.  
 გული საგულეს რომ აცდა,  
 მიყუჩდა და ხმა არ გამცა.  
 დამეუფლა სულ სხვა განცდა,  
 შევეგუე მე ამ მარცხსაც.  
 ეს სოფელი ზღაპარია,  
 არა იყო, რაც ყოფილა...  
 მაინც ვნატრობთ, რომ უფალმა  
 გაგვიტენოს ხვალის დილა.

25.02. 22

**გაუმარჯოს უკრაინას**

უკრაინა, ახლა ვინაც  
 შეურაცხყო შენი ბინა,  
 ყაჩაღურად თავს დაგესხა,  
 წინაპრები შეგიგინა.  
 ვინაც დენტის სუნით ლაღობს,  
 თავის ყანით ვერ გამძლარი,  
 შენი კარი შემოალო,  
 დააყენა სისხლის ღვარი.  
 უფრო ადრე, ჩვენ გვკრა წიხლი,  
 ვაი, რომ ვერ რა ვილონეთ,  
 ჩვენს ბაღს, მოვლილს მისხალ -მისხლით,



შემოარტყა რკინის ღობე.  
 სწორედ იმან, სწორედ იმ წამს,  
 ქართველ გმირთა ღვარა სისხლი,  
 მიიტაცა ქართლის მიწა,  
 დაგვახვია შავი ნისლი.  
 ამ სატანას, ბნელს და ნაგავს,  
 ეს სამყარო კარგად ხედავს.  
 ეს ომი რომ სხვა ომს არ ჰგავს,  
 მტრის სიკვდილს ჰგავს, შოკს და ბნელას!  
 ახლა ყველა გონით, მართვით,  
 წინ აღუდგა მტკიცედ, მყარად,  
 იქნებ დავცეთ შავი დათვი,  
 მსოფლიო რომ აამყრალა!..  
 გმირობას და თავგანწირვას,  
 ისტორია არ ივიწყებს .  
 „ვივა“ უკრინულ მიწას,  
 „ვივა“ უკრაინელ ბიჭებს!

24, 02. 22

\* \* \*

ყველაფერი, რაც რომ ახლა  
 მასულდგმულებს , თან რომ მახლავს,  
 ერთგულებით, სიყვარულით  
 სიახლოვე მე ჩემ ხალხთან...  
 მისი ჭირით, მისი ღვინით  
 ვცხოვრობ აგერ, რა ხანია,  
 ხან სუფრასთან ჭიქა ღვინით,  
 ვხარობ, თუ გასახარია.  
 ხანაც, როცა შავ ყორნებით  
 იფარება ქართლის ზეცა,  
 ჰორიზონტის გაყოლებით  
 მტერი საზღვარს გადმორეცხავს.  
 გული ისე ადუღდება,  
 თითქოს ვიყო ამირანი.  
 ის ფარ-ხმალი და ის ვნება,  
 მამა-პაპის ნაბოძარი...  
 შეძახილით - „აბა, დაჰკა!“  
 მზად ვარ, უკან არ დავიხევ.  
 მაგრამ რაზმი თუ არ გამყვა,  
 და თუ მარტო შევრჩი იმ ხევს...

ასე მოხდა, ასე ხდება,  
 საქართველო დაილია,  
 ნეტავ როდის გამოჩნდება  
 ცოტნე, შალვა და ილია!..

01. 08. 22

## სამტრედიას

მოვდივარ და მომიხარის,  
 რა საამო განცდებია,  
 სადაც არის იმერთ მხარის,  
 შემომხვდება სამტრედია.  
 აშრიალდა ხეივანი,  
 ჭადრების და ალვის ხეთა,  
 სულ სხვა ფერი, სულ სხვაგვარი  
 სურნელება შემეფეთა.  
 მოვდივარ და, ნუთუ, ღმერთო,  
 არის კიდევ მსგავსი რამე.  
 ეს რა სითბო შემომმენტო,  
 სიხარული, რა სიამე.  
 შემოდგომის ამ დღემ ნაზმა,  
 ბავშვობისკენ გამახედა:  
 ღამით, როცა ვარსკვლავთ რაზმი  
 ზეცის ტატნობს გადაჭედდა  
 მთვარე ისე გაბადრული,  
 შარავანდედის აკვნიდან  
 სადაურსა სადაური,  
 მეგობრობის ხელს მიწვდიდა.  
 მივდიოდი, მივყვებოდი  
 მომყვებოდა, მაცილებდა,  
 ჭრელ-ჭრელ ამბებს მიყვებოდა,  
 მართობდა და მაცილებდა.  
 ყველაფერმა, ცამ თუ მიწამ,  
 სიმინდების ლურჯმა ყანამ,  
 იმ დროიდან, იმ წამიდან,  
 მე, სამშობლო შემაყვარა.  
 ეს სიტყვები ასე თქმული  
 პოეტური განცდებია,  
 მოგონება არცთუ სრული-  
 ჩემს ბავშვობის სამტრედიას.



**ცინიკაშვილი ნინოსვილი**

წყალტუბოს მთავარი

ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

## ამ სავანეში ღმერთი და სიყვარულია

– აი, მეც დავბრუნდი... გამარჯობა, მეგობრებო!

– ვა! ეს ვინ მოსულა?!

– დიახ, მოვედი... იცით, მომენატრეთ.

– ჩვენც ძალიან. მოვიწყინეთ უშენოდ, ისე დიდი ხანია, რაც წასული იყავი.

– ჰო, ისეთი ინტერესითა და გულმოდგინებით მკითხულობდა, რომ სასიამოვნოც კი იყო მასთან ყოფნა. თან ისე ფაქიზად და ფრთხილად მეპყრობოდა...

– მართლა? რა კარგია, – დანანებით გამოეპასუხა ლამაზყვანიანი მეგობარი, – მე კი ისეთი დღე მაყარა ვილაც უდიერმა ახალგაზრდამ, რომ ჩაკეცვებისგან ფურცელ-გვერდები მტკიოდა.

– განა, ყველა ღირსია ჩვენთან სიახლოვისა?! – ზედა თაროდან ჩამოსძახა სქელტანიანმა. – რამდენი ხანია ადგილი არ მომიცვლია, არ გავნიავებულვარ...

– ნუ წუნუნებთ, მეგობრებო, ხომ იცით, რა საშინელი დრო იყო: გრიპიო, პანდემიაო, კოვიდიო და ვის ეცალა ჩვენთვის – შეეპასუხა წინა თაროდან კიდევ ერთი მკითხველსმონატრებული.

– მერე და განა ჩვენი მზრუნველი ქალბატონები ისვენებდნენ, განა მათ არ აღგვადგინეს მკვდრეთით, ახალი სიცოცხლე არ შეგვძინეს? – გაჯავრდა ბოლო რიგში აქამდე გაჩუმებული მეგობარიც.

– სწორედაც, – დაემონმა გვერდით მდგომი. – ნუ ხართ ზოგიერთები უმადურნი... – შენ

მანც არასოდეს გაკლდა მკითხველი, ყოველთვის მშურდა შენი.

– ჩუ, კარი გაიღო, ჩვენთან მოდიან ალბათ – გააჩუმა მოლაპარაკენი ცისფერყვანიანი.

– კი, ეს ჩვენი ქეთია, ვნახოთ, ახლა ვის გაუღიმებს ბედი, ვინ იხილავს დღის სინათლეს.

სულ რამდენიმე წუთი და სიხარულისგან ლამის გული ამოუვარდა ნოდარ დუმბაძის „ხაზარულასა“ და „ჭინკებს“.

– ნახვამდის, მეგობრებო, – ჩაიჩურჩულა მან და დედობილის ხელებში მოქცეულმა ლაღად გასწია დარბაზისაკენ.

– უჰ, რას ისიამოვნებს შენი წამკითხველი!

– აბა, აბა! – დაადევნეს შეძახილები მიმავალს აქეთ-იქიდან.

– სულ მალე ზაფხული მოდის, ჩემო კარგებო, და ზოგს ზღვაზე წაგვიყვანენ და ზოგს მთაში, – იმედს არ კარგავს ქვედა თაროზე შემომჯდარი ლამაზყვანიანი.

– კი, თუ არ დაგვკარგეს სადმე, – შემფოთებით თქვა ერთ-ერთმა.

– რას ამბობ, როდის დაგვკარგულვართ?! აქ არ გვყვანან ირინა და ქეთი? სულს ამოაძრობენ, სანამ გვიპოვიან და დაგვაბრუნებენ.

– ზუსტად მასე დამემართა, საყვარელო, იმდენ ხანს მამყოფა წაკითხვის შემდეგ მაგიდის უჯრაში ერთმა ახალგაზრდამ, რომ, ალბათ, მოგვედებოდი უყვანგბადოდ, ირინას რომ არ დაერეკა მისთვის და ჩემი თავი არ შეეხსენებინა.

– გამკვირვებია... აბა, მე ორ დღეში მკითხულობენ და მაბრუნებენ კიდევ, – ამაყად წარმოთქვა ერთ-ერთმა, დიდოსტატის დაწერილია.

– ოოო, შენ ძალიან მოძრავი და მოთხოვნადი ხარ, ბევრი ვერ შეგედრებით, პირდაპირ ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ გაჩენილი! – ეს დამწყები მესიტყვის წიგნი იყო, დიდების მსურველი ავტორის.

– თქვენ რა ამბავში ხართ?! ყველაზე მეტად



ჩვენ ვჭირდებით ხალხს! – მოისმა განაპირა კუთხიდან.

– თქვენ ვინ ბრძანდებით, თუ უკაცრავად არა ვართ, სად მიმალულხართ? – თავი წამოჰყო ერთ-ერთმა ღირსშესანიშნავმა ეგზემპლარმა.

– ჩვენ ისინი გახლავართ, ვისგანაც ყველაზე მეტ ინფორმაციას იღებენ, ანუ ჟურნალ-გაზეთები. კობტა ფატი არის ჩვენი პატრონი.

– თქვენ პოლიტიკითა და შანტაჟებით ხართ სავე... ხალხს ანერვიულებთ ზოგიერთი ტელევიზიასავით, სულსა და გულს უფორიანებთ. ჩვენ კი, – მხატვრული ლიტერატურა, ვამშვიდებთ და თქვენგან განსხვავებით, დაძაბულობას ვუხსნით ადამიანებს.

– კარგით, ნუ ჩხუბობთ! სამეცნიეროს გახედეთ, რა წყნარად და თავშეკავებულად არიან, არც ერევიან კამათ-დიალოგში.

– მაგათ იციან საკუთარი თავის ფასი და ადგილი საზოგადოებაში, არც სჭირდებათ თავის გამოდება – დაუდასტურა სიმართლის მთქმელს მოკრძალებით მყოფმა რომელიღაც რიგიდან.

უცებ შეწყდება კინკლაობა... ბიბლიოთეკარი უტყუარი ალლოთი ჩამოივლის თაროებს...

სულ რამდენიმე წუთი და ერთდროულად გადიან საცავიდან: ჯავახიშვილი, ქარჩხაძე, ჭეიშვილი, ტოლსტოი და ბალზაკი.

დღე იწურება. შუქი ქრება. იკეტება საცავის კარი. ხვალ ისევ გაიღება. ისევ გაიღვიძებენ ბიბლიოთეკის მმართველის, სულიკო სვანიძის, თავდაუზოგავი შრომითა და მზრუნველი გულით თავმოყრილ-ნასათუთებნი, საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული, საიმედო თანამშრომლების ხელით თაროებზე მწყობრად და რუდუნებით ერთმანეთს ჩახუტებულნი, ადამიანის ყველაზე უღალატო მეგობრები, კაცობრიობის შეუდარებელი მონაპოვარნი, მათი უდიდებულესობა – წიგნები!

ისევ შემოვლენ და გავლენ პროზისა და პოეზიის დიდოსტატების ქმნილებები. ექნებათ დიდი მოლოდინი და აღუწერელი სიხარული.

დიახ, აქ, წყალტუბოს მთავარი ბიბლიოთეკის წიგნთა საცავში, უტყვ მეტყველთა სავანეში არის სიცოცხლისა და ბედნიერების საზრისი. აქ არის შვება და ნუგეში – პასუხი ყველა კითხვაზე. აქ არასოდეს დაგეუფლება სასონარკვეთა.

ამ სავანეში ღმერთი და სიყვარულია...





**ალექსანდრე ლორია**

## ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის ასახვის მნიშვნელოვანი შენაძენი



გამომცემლობა „პალიტრა“ დიდმნიშვნელოვან საქმესაა შემდგარი – როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, დაინყო გამოცემა „საქართველოს ისტორიის პალიტრის“ 15-ტომეულისა. პროექტის ხელმძღვანელი ჯაბა სამუშია უკვე გამოქვეყნებულ მე-2 ტომში თავის მიმართვაში მკითხველებისადმი აცხადებს: „ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს წარსული სხვადასხვა ჭრილშია მოთხრობილი. ამ წიგნების მიზანი არ არის პოლიტიკური ისტორიის ისე გადმოცემა, თითქოს მოვლენებს ზემოდან ვუმზერთ, ჩვენ გვსურს, დავავინროთ თემატიკა და მოგიყვებთ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართველთა ყოფა-ცხოვრება...წარმოვადგინოთ ისტორია არა პოლიტიკური მოვლენების გროვად, არამედ ერთ დროს ცოცხალ ადამიანთა ამბების მთხრობელად-ასეთია ამ მრავალტომეულის უმთავრესი მიზანი“.


ამგვარი დამოკიდებულება სრულადაა დაცული ჩვენს ხელთ არსებულ მე-2 ტომში, რომელშიც გამოქვეყნებულია როლანდ თოფჩიშვილის გამოკვლევა საერთო სათაურით – „ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორია და ეთნიკური ვითარება ისტორიულ საქართველოში“. წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა (427 გვ.) და დაყოფილია თავებად და ქვეთავებად.

ავტორი მიმართავს მკითხველებს „წინათქმით“, რომელშიც გაცხადებულია მეცნიერის საყურადღებო მოსაზრებები და ის ძირითადი პრობლემები, რასაც აშუქებს ის თავის მთელ ნაშრომში. იმდენად, რამდენადაც ეს სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს წიგნზე, არ იქნება ურიგო, მკითხველს გავაცნოთ ავტორის სიტყვები უცვლელად: „წიგნში საუბარია ეთნოდე-

მოგრაფიულ ვითარებაზე ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, რელიგიურ-კონფესიურ ჯგუფებზე, სხვა რელიგიების (კონფესიების) მიღება კი ხშირად იწვევდა ერთიან ქართულ ეთნოსში დეზინტეგრაციულ მოვლენებს, დახასიათებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (ეთნოგრაფიული ჯგუფები), ახსნილია ამ ჯგუფების სიმრავლე, რომელიც თავისთავად ქართულ კულტურას მრავალფეროვანს ხდის. ფართო ადგილი აქვს დათმობილი არა-ეთნიკურ ქართველებს-აფხაზებსა და ოსებს, საქართველოში მათი განსახლების დროსა და ქართველებთან ურთიერთობას. წიგნში ისეთ პრობლემებზეც არის საუბარი, როგორცაა ქართველთა ხასიათი. ქართველს თავის იდენტობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად ქართული გვარები და სახელები მიაჩნია. ერთი მონაკვეთი ამ პრობლემებსაც ეძღვნება. მკითხველი ნახავს, როგორი იყო ქართველთა ანთროპომიკური მოდელი და სხვა მრავალი საკითხი“.

წიგნში, ყოველივე ამასთან ერთად, იმდენი საინტერესო, ძველი თუ ახალი, დამოუკიდებ-





ლად გადაწყვეტილი საკითხია წარმოდგენილი, მათი ყველას ჩამოთვლა და გაშუქება ერთ საინფორმაციო რეცენზიაში შეუძლებელია. განსაკუთრებულად მინდა შევეხო იმ საკითხებს, რომლებიც უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს ჩვენს საზოგადოებაში და უაღრესად აქტუალურია დღეს. მაგალითად: ქართული განსახლების არიალი, ეთნოგენეზი, რელიგიურ-კონფესიური ჯგუფები, ეთნონიმები, დიალექტები, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფები, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, საკუთარი სახელების სისტემა, ქართული ხასიათი, ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის სივრცეში, აფხაზები და ოსები საქართველოში, ეთნოსთა შორის ურთიერთობა და კონფლიქტები და სხვ. წიგნში დამატების სახით განხილულია ქართული სამოსის, ჩოხა-ახალუხის შექმნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, კვების კულტურის საკითხები და სხვ.

წიგნს ბოლოში დართული აქვს დამონმებული ლიტერატურა, რომელიც 15 გვერდს შეიცავს და იმდენად დიდი მასალაა თამოყრილი, რომ, ფაქტობრივად, შეიძლება ის დარგობრივი წიგნდართული ბიბლიოგრაფიაც კი იქნეს მიჩნეული. პროფ. რ. თოფჩიშვილი მისთვის დამახასიათებელი მასშტაბურობით, აზრის ნათლად გამოხატვით და გასაგები ენით გად-

მოგვცემს თავის ნააზრევს, თავის შეხედულებებს, გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას სხვა მკვლევართა მიერ მიღწეულ შედეგებზე. მისი ანალიზი სავსებით სიღრმისეულად აშუქებს საკითხს, რაც თითქმის ყველა კატეგორიის მკითხველისთვისაა ნათელი და გასაგები.

რ. თოფჩიშვილის ეს თავისებურებები განსაკუთრებით ნათლადაა გამოხატული მის საყურადღებო ნაშრომში „ხადა“, რომლის ქვესათაურში მითითებულია, რომ წიგნში განხილულია „ისტორიული და ეთნოგრაფიული საკითხები“. ანოტაციის სახით ნათქვამია: „წიგნი დაწერილია სამეცნიერო პროექტის-„ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა ხადის ხეობისთვის“ ფარგლებში. წიგნი გამოიცა მიმდინარე წელს, შეიცავს 105 გვერდს, გამოყენებულია სქოლიოების მდიდარი აპარატი, დართული აქვს გეოგრაფიული გზამკვლევის გეგმა და სახასიათო ფოტო. გამოკვლევა ერთიან, თემატურად დაუნაწევრებელ ტექსტს წარმოადგენს, რომელიც „დასკვნით“ სრულდება. რედაქტორია დათო (გიორგი) ჭეიშვილი.

როგორც ცნობილია, ტერიტორიული თვალსაზრისით, ბევრი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცვლილება განიცადა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა, რაც ხადასთანაცაა დაკავშირებული. სხვათა შორის, ძველი ტრადიციული რეალიები განსაკუთრებით სწორედ ხადაში შეინიშნება, რის გამოც ამ მოვლენების შესწავლა და ანალიზი მეტად საინტერესოა არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ უბრალოდ დაინტერესებული მკითხველებისთვისაც.

კვლავ გვინდა, ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებისათვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხების ობიექტურად დამუშავებული მასალის გაცნობა, მით უმეტეს, თანამედროვე ვითარებაში, როდესაც არაერთი მცდარი ან განზრახ დამახინჯებული, პოლიტიკურად მოტივირებული შეხედულებების დაწერგვა ხდება საქართველოს არამოკეთეთაგან.

ჩვენმა ბიბლიოთეკებმა ხელი უნდა შეუწყონ სიმართლეში საზოგადოების გარკვევას, მათ ხელთ არსებული და მეთოდურად დადგენილი, უკვე გამოცდილი ღონისძიებებითა და სხვა აქტიური ხერხებითა და საშუალებებით. ეს თანამედროვე ბიბლიოთეკების საქმიანობის აუცილებელ პირობად უნდა იქცეს.

# ლექსს იტყვის ივრისპირელი

ზაურ ნონკოლაური ერთი მართალი, ალალ-გულა კაცია, ვინც, მიუხედავად ანგარიშში ჩასაგდები ასაკისა, კვლავ ლიდარს ეწეწინება და ჯიუტად მიუყვება საღვთო ბილიკს, რომელიც, ტაძართან თუ არა, საყდართან აუცილებლად მიიყვანს.

ნიჭიერება არათუ სტროფსა და სტრიქონში, ბგერწერაშიაც იოლად იცნობა, ბგერაში, რომლის მოხელთება, „დაურვება“ და გათავისება პოეტებად მოვლენილ ადამიანებს შეუძლიათ და ხელენიფებათ.

ასეთ შემოქმედთა რიგს ეკუთვნის ზაური. თვლის, რომ საკმაოდ საბორძიკო ცხოვრების გზა გამოიარა, გამოიარა და თავისას მაინც არ იშლის: არ უშინდება მომრავლებულ, გულში მალულად დაღეჟილ ტკივილებს, ფიზიკურ განზომილებებში გაჩენილ ბზარებს და ჩვეული მღელვარებით ეგებება შთაგონების ნანატრ წამებს...

მიძღვნებში, რომელთა მიზანს სულით მონათესავე ახლობლების სახასიათო შტრიხების „დაჭერა“ და წარმოჩენა წარმოადგენს (ყველაზე მეტი ლექსი ტარიელ ხარხელაურს და ცოტნე ალბუთაშვილს ეძღვნება), კარგად ჩანს თვით ავტორის კეთილშობილება და ჰუმანური ბუნება.

ასეთი ლექსი კი კრებულში ბევრია. „ამხანაგთა სართეველად“ შექმნილ ლექსებს ვგულისხმობ, არაფრით რომ ჩამოუვარდებიან წინამორბედი მელექსეების მწვავე, გამკენწლავ, „დაუნდობელ“ პოეტურ ნიმუშებს.

სულით ხორცამდე ფშაველი შემოქმედის ნაკვალევ-ნაამაგარში ვხვდებით სრულიად ორიგინალურ მხატვრულ სახეებს, შორეულ წარსულში რომ იღებენ სათავეს და მძაფრად გვაგრძნობინებენ ჭეშმარიტად ფასეული ფოლკლორული ბგერწერის ხიბლსა და უბერებლობას...

ზაურ ნონკოლაურისთვის ივრის ხეობა და მურყნიანი ჭალებია სანუკვარი გეოგრაფიული სივრცე, აქ ლაშარის ჯვრისა და აონის სუნთქვაც ცხადლივ ეყურება მრევლსა და მლოცველს და ის იდუმალი ხმაც, რომელიც ჭარბად არის გაბნეული და მიმოფანტული „კვესას“ (ეს მისი თიკუნია) გალექსებებსა თუ ლირიკულ ნიაღვრებში.



და აქვე გიორგი ლეონიძის ლექსის სტრიქონებიც გავიხსენოთ, დამწყებ ხევსურ პოეტებს რომ ეძღვნება: „... ვიცი, ბელურას პატარა ფრთაშიც დაკვესებული ცეცხლი ანთია...“

რახანია შეცნობილი აქვს გარემომცველი ბუნების ფენომენი („ბუნება ყველას დედაა, არ არჩევს გიჟსა, ჭკვიანსა“) და კაიყმობის ზეპირი კოდექსი („ვაჟკაცს სიდიწვე უხდება, გაჭირდას – გაჭრა მკლავისა“), ჩვენი ხალხური პოეზიის საზნეობო ნიმუშთა საყრდენსა და ქვაკუთხედს რომ შეადგენენ.

და მონატრება, წლოვანების მატებასთან ერთად რომ უმძაფრდება ადამიანს („მენატრება სიჯეილე, მუხლი მქონდა როცა მგლისი...“)...

სასიხარულოა, რომ ჩვენს მთიანეთში ჯერაც არსებობენ დიდ წინაპართა ერთგული მემკვიდრენი და შთამომავალნი, ვისთვისაც ადამიანური ნუხილის ლექსთა „გარდათქმა“ ცხოვრების სწორ წესად დადებულა და დაქარაგმებულა...

### ამირან არაბული

### წიგნიდან...

(ზაურ ნონკოლაური. სულ შენთანა ვარ, იორთ: ლექსები. – თბ.: მერიდიანი, 2022)

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ ტექნიკურმა განვითარებამ ხალხურ პოეზიაზეც მოახდინა გარკვეული გავლენა. სიახლის წინა-



აღმდეგი არასდროს ვყოფილვარ, ზოგიერთ მიმდინარეობას უხდება კიდევ, სძენს შნოსა და იერს, მაგრამ არა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიქმნა ყველანაირად სრულყოფილი სახე ტრადიციული ხალხური აზროვნებისა, რომელზეც უარის თქმა არ იქნება გამოსადეგი მომავლისათვის და მით უფრო დღევანდელი დღისთვის. ეს გონებაა, ცოცხალი ორგანიზმია ხალხური აზროვნებისა, რომელსაც თავისი კალაპოტი აქვს და ერთი თუ აქედან ამოვარდა, მერე ბევრიც რომ ვცადოთ, ველარასდროს მოვაქცევთ ძველ სადინარში.

საბედნიეროდ არიან ავტორები, რომელნიც არც სიახლეზე ამბობენ უარს, რადგან მართვა სიახლისა მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს. ერთ-ერთზე და, საბედნიეროდ, არა ერთადერთ ავტორზე ახლა ვაპირებ საუბარს. შეიძლება შეფასებისას ვიყო სუბიექტურიც, მაგრამ გონიერება ჩემი მეგობრის, ზაურ ნონკოლაურისა, ჩემს სუბიექტურობას უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდებს, არც შენთან მექნება საბოდიშო, მისი პოეზიის მკითხველო. ამაში ჩემს დაუხმარებლად იოლად გაერკვევით და ირწმუნებთ, თუ როგორ ოსტატურად

შეაქვს თავისი დროის სუნთქვა, რომ ძველს არაფერი დააკლოს, როგორ ფრთხილად ეკიდება, როგორ ეფერება თითოეულ სტრიქონს, როგორ უმტკივნეულოდ ამკვიდრებს თავის ხმას ისე, რომ არ გადაუხვიოს მამა-პაპათ, თავისი დიდი წინაპრების, გენიალური, არ მეშინია ამ სიტყვის, მთქმელების გზიდან. ესაა ზაურ ნონკოლაურის ღირსებაც და სწორედ ასეთი ავტორების წყალობით, როგორც ზაურ ნონკოლაურია, ცოცხლობს ხალხური ზეპირსიტყვიერება, გვირგვინი ხალხური აზროვნებისა.


სწორედ ამ წიგნის გამოცემის მიზანიც ისაა, რომ შენც, მკითხველო, და თქვენთან ერთად მეც, დავრწმუნდეთ, რომ ხალხური, თუმცა ხალხური ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, რადგან, ეს წიგნი და პოეზიაც ჯერ მხოლოდ ზაურ ნონკოლაურისაა, მისი საკუთრებაა და, რა თქმა უნდა, არ იქნება წინააღმდეგი, თუ ხალხში გავა, ხალხში იტრიალებს, მათ გონებაშიც გააჩენს საფიქრალს და იმ ტკივილსაც, რომელიც ამ პატარა წიგნის ავტორს სტანჯავს და მოსვენებას არ აძლევს.

პატივისცემით  
**ტარიელ ხარხელაური**



მე მთიდანა ვარ ივრელი,  
დიდი ვაჟაის ტომისა,  
მოზარე ქვეყნის ქირისა,  
სიხარულის და წყრომისა,  
ბერი ხარი ვარ მანძილა,  
გული მაქვს ხვადის ლომისა,  
სამშობლოს უღელი მადგა,  
ნამუსისა და შრომისა,  
ლოდი ვარ დახავსებული,  
ბებერი ციხის ყორისა.  
ბევრჯერ ვიგემე სიმნარე,  
სიმართლისა და ჭორისა,  
არც ომი დამვიწყებია  
და არც გატანა სწორისა,  
უფალო ძალ-ღონე მომეც,  
ხატის კარს მჩოქით დგომისა,  
ჩემი მზეც დაინვერება,  
სიცოცხლის შემოდგომისა.

თამაზ ნონკოლაური



ლევან თაქათაიშვილი

## საბიბლიოთეკო საქმეზე

სულ ვფიქრობდი, რომ მასწავლებელს დიდი დამსახურება აქვს მოსწავლის წინაშე. რა თქმა უნდა, ეს ამაგი განუზომელია, მაგრამ... მაგრამ ერთიცაა: მასწავლებელი ასწავლის ასეულობით ბავშვს, თუმცა მათგან ერთეული არიან შედეგის მომცემნი. ასეა საბიბლიოთეკო საქმეშიც.

როდესაც პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბიბლიოთეკო ფაკულტეტი შექმნეს, ეს ბიბლიოთეკათმცოდნეობის დასასრულის დასაწყისი იყო. რატომ? აი, რატომ: ბიბლიოთეკათმცოდნეობა არაა მეცნიერება, ის უნარჩვევაა. შენ უნდა ეზიარო ცოდნას, შემდეგ კი იმსჯელო ამ ცოდნის სისტემატიზაციაზე, ინფორმაციის მონაცემთა ბაზების შექმნაზე. შენ თუ ცოდნა არ გაქვს მიღებული, თუ არცერთი საგანი არ იცი, სისტემატიზაციას როგორ გააკეთებ?

ბიბლიოთეკათმცოდნეობის განვითარება 1923 წლიდან დაიწყო. იქამდე საქართველოში ბიბლიოთეკათმცოდნეობა, როგორც საგანი, არსად ისწავლებოდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის კატალოგი გვაძლევს სურათს, რომ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს 1879 წლიდან გადაუწყვეტიათ ქართულენოვანი წიგნადი და ხელნაწერი ფონდის სისტემატური განლაგება, თან – ფორმატული განლაგებით. მაგრამ ბიბლიოთეკებში მსოფლიოს საბიბლიოთეკო სკოლის გამოცდილების დანერგვა 1923 წლიდან დაიწყო. ვინ იყო ამ საქმის სათავეში? – გიორგი გეხტმანი და ივანე ციციშვილი. გიორგი გეხტმანი ეკონომისტი იყო სპეციალობით, ეკონომიკური გეოგრაფიის ფუძემდებელი. მან

## წიგნი ჩემი მონარქია

საბიბლიოთეკო მეცნიერების საქმეში ჩააბა თავისი მონაფეები: ნიკო ლორთქიფანიძე, დიმიტრი მარკვეიჩი, გიორგი აკერმანი. მათ შეუერთდნენ თამარ მაჭავარიანი პოლიტიკური ცხოვრებიდან (ივანე ციციშვილის ნათესავი), მერი მელაძე, ვიქტორ ბროსე, ლევან ეგორაშვილი, თინა ნაკაშიძე, მაქსიმე ბერძნიშვილი... ყველა ამ პიროვნებას ბრწყინვალე უმაღლესი განათლება ჰქონდა. ნიკო ლორთქიფანიძემ საბიბლიოთეკო საქმის თეორიული საწყისები შექმნა, თუმცა მერე იძულებით წავიდა ეროვნული ბიბლიოთეკიდან პატივმოყვარე ალექსანდრა (შურა) კავკასიის მეცადინეობით.

ყველაფერ ამას იმიტომ ვახსენებ, რომ კავკასიის პერიოდიდან მოყოლებული, საჯარო ბიბლიოთეკაში არავითარი სიახლე დირექციის მხრიდან არ დანერგილა. გამონაკლისი და ახალი ხანა იყო ბატონი თემურ ჩხენკელის მოსვლა, კომპიუტერიზაციის დანერგვის სამზადისი. სწორედ ამ სამზადისში მივედი. აზრზე არ ვიყავი არაფრის. არ ვიცოდი ტერმინოლოგია. მქონდა ერთი რამ მხოლოდ: მიყვარდა წიგნი! არამარტო მიყვარდა, ვალმერთებდი.

როგორც ვთქვი, ბიბლიოთეკაში მისვლისას საბიბლიოთეკო საქმე არ ვიცოდი. ასე იყო... საქმის შესწავლა დავიწყე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის აღდგენით. ეს კოლექცია ბიბლიოთეკის თითქმის ყველა ფონდში იყო გაბნეული. მასწავლებლები იყვნენ: თამარ გოგუა, მარგო ბალანჩივაძე, ბელა ქსოვრელი, ლალი აბესალაშვილი, დალი მაჩაიძე, ფერიდე კვაჭანტირაძე, მარინა სხირტლაძე, კლარა რამიშვილი; ბიბლიოგრაფიის შედგენაში – წიგნის პალატის უხუცესი თანამშრომელი ილო გორგაძე; მეცნიერებათა აკადემიიდან – ბატონი ლექსო ირემიშვილი; ხელნაწერთა ინსტიტუტიდან (აქაც იყო წკვ საზოგადოების წიგნადი ფონდის ნაწილი) – მიშა ქავთარია. განსაკუთრებული პირობები სწავლისათვის შემიქმნა ეთერ იმნაძემ – სანამ წერა-კითხვის ერთიან კოლექციას არ შეისწავლი, ცალკე ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის ეგზემპლარების იდენტიფიკაციის დადგენა შენი მეთოდით საეჭვოაო.





ИМЭЛ-ის შენობა

## იმელის ბიბლიოთეკა

ამ მოგონებაში ერთი უძვირფასესი ბიბლიოთეკის ბედზე უნდა მოგიტხროთ. ეს არის იმელის ბიბლიოთეკა (ИМЭЛ - Институт Маркса-Энгельса-Ленина). პირველად ამ ბიბლიოთეკასთან 1979 წელს შემახვედრა განგებამ, როცა იმელში სკოლიდან წაგვიყვანეს. მაშინ მეორე კლასში ვიყავი. ოქტომბრელთა რიგებში მიგვიღეს იქ, ლენინის მუზეუმში. ბიბლიოთეკაც გვანახეს, ლენინის კაბინეტიც, ლენინის მერხიც, სადაც დასვეს ჩემი ორი კლასელი – ეკა ლილუაშვილი და ზვიად ახალაძე. მე არ დამსვენს, რადგან ბუნების გაკვეთილზე წარსადგენად დილის ტემპერატურა არ მქონდა დაკვირვების რვეულში ჩაწერილი. ყოველდღე უნდა გაგვეზომა დილის ტემპერატურა და ჩავვეწერა. მე იმ დღეს დამავინწყდა, უფრო სწორად, დედას და ბებიას დაავინწყდათ, მე კი ჩალაგებულ ჩანთას ხელი დავავლე და სკოლაში წავედი ბებუის დაცვით. პირველი გაკვეთილი



ИМЭЛ-ის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი

ბუნება იყო. გამიძახა გულიკო მასწავლებელმა და რომ ნახა ცარიელი გრაფა მქონდა დილის ტემპერატურის, კუთხეში დამაყენა. მეორე გაკვეთილი ლენინის მუზეუმში გვექონდა. ოქტომბრელებში მიმიღეს. ფოტოც გადამიღეს კლასთან ერთად. განაპირას ვდგავარ ნამტირალევი. იქ რომ თქვეს, ხუთოსნებს აქვთ უფლება, დასხდნენ ლენინის მერხთანო, გავინიე, მაგრამ კლასის დამრიგებელმა გამაჩერა და მითხრა: – არ ხარ ღირსიო.

მაშინ ამაზე არ დავფიქრებულვარ, ახლა კი დავფიქრდი: ულიანოვი რომ ლენინი გახდა, მისი მერხის ბუნდლა აღარ იქნებოდა, ისევე როგორც ის ლენინის ოქროს მედლის ასლი, იმავე მუზეუმში რომ ბრწყინავდა. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაც მანახეს. შოკში ჩავვარდი, მისი მოცულობის შემხედვარე. ბოლო სართულზე იყო.

საჯარო ბიბლიოთეკაში რომ დავინყე მუშაობა, ძველი თანამშრომლები ამბობდნენ, ესა და ეს წიგნი მარტო იმელის ბიბლიოთეკაშიაო. თურმე საჯაროდან იმელის ბიბლიოთეკას შეეძლო წიგნები წაეღო მუდმივ მფლობელობაში. თბილისში ეს ინსტიტუტი მოსკოვის ინსტიტუტის ფილიალი იყო. ასეთივე ფილიალი ჰქონდათ ულიანოვსკშიც. მოსკოვი, თბილისი, ულიანოვსკი – ეს სამი ადგილი იყო საკავშირო მნიშვნელობის საბჭოთა პარტიული დეპოზიტარიუმებისა. აქ, სხვა ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, შეიძლებოდა ყველა აკრძალული ლიტერატურის დაცვა. ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი, კერენსკი, ანა ლუიზა სტრონგი, ანარქისტები, სოცდემკები, ესერები, ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთი... გასაოცრი გახლდათ ისიც, რომ აქ იყო დაცული ლენინის სიცოცხლეში დაბეჭდილი გამოცემები, რომლებიც შემდგომ საბჭოთა სისტემის იდეოლოგიისათვის შეუსაბამო შინაარსის აღმოჩნდა. ალბათ ხვდებით, რატომ იყო საქართველოში დაშვებული ეს გამონაკლისი. იმელის შენობა თავიდან სტალინის ინსტიტუტად იყო ჩაფიქრებული. ბელადმა არ ჩათვალა საჭიროდ და მოსკოვის იმელის ფილიალად გაფორმდა. მოსკოვის იმელის ბიბლიოთეკას კი აქედან შეეძლო ნებისმიერი წიგნის წაღება.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ „იმელის“ ბიბლიოთეკას „პრეზიდენტის ბიბლიოთეკა“ უწოდეს. დირექტორად ენერგიული კაცი დაინიშნა – ზუ-

რავ ჯიბლაძე. მას შეეძლო, მწირი დაფინანსების პირობებშიც ემუშავებინა პატარა კოლექტივი. იგი ზრუნავდა ბიბლიოთეკაზე. ბოლოს ვარდების რევოლუციაც მოადგა იმელს. ახალმა პრეზიდენტმა გააუქმა პრეზიდენტის ბიბლიოთეკა და პრეზიდენტთან დაქვემდებარებული სხვა უწყებები. ბატონმა ზურაბმა უხელფასოდ თითქმის წელიწადი შეინახა ეს ბიბლიოთეკა, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა შენობის დაცლაც დადგა დღის წესრიგში?! პარტარქივიც დაბლა სართულზე ღვთის ანაბარად დარჩებოდა, ერთ დროს თვით ღმერთთან რომ შეიძლებოდა ამ ფონდის ასოცირება. ბატონმა ზურაბმა მე გამაგებინა ეს ამბავი – მე მივდივარ, მაგრამ იქნებ შენ მაინც სადმე შეანიო ხმაო.

ამ პერიოდში მომინია პარლამენტის შენობაში მისვლა, იქიდან უნდა წამომელო უზენაესი საბჭოს ბეჭდური ოქმები. კიბეებზე რომ ავდიოდი, ნიკა რურუა და ლევან ბოკერია დავინახე, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. დაველოდე. ნიკა რურუამ გაკვირვებით შემომხედა, ალბათ იფიქრა – ეს ვინლააო. მე არ ვიცნობდი პირადად არცერთს. რაღაც მწვავე თემაზე საუბრობდნენ, მე კი ვიფიქრე, რომ უტაქტო იქნებოდა, ამ ბიბლიოთეკის თემაზე საუბრის დაწყება, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. რურუამ რომ გამომხედა, აღარ მოვერიდე და მისალმებისთანავე პირდაპირ მივმართე: „ბატონო ნიკა, გამარჯობა, თქვენ ალბათ დაკავებული ხართ, მაგრამ რამდენიმე დღეში უნიკალური არქივი, რომელიც იმელის შენობაშია, განადგურდება. არცერთ ორგანიზაციას არ აქვს ის ფართი, რომელშიც ამ პარტარქივს დაიცავს. მე ვიცი, რომ ოკუპაციის მუზეუმი თქვენი მფარველობით კეთდება და ამიტომ თქვენ გეუბნებით-მეთქი“. მათ ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ რურუა დამპირდა, რომ დაუკავშირდებოდა ვანოს და მიხედავდა ამ საქმეს. ვინ ვანოს დაუკავშირდებოდა და როდის აპირებდა, არ უთქვამს. დავემშვიდობე და წამოვედი. უკან მოვიხედე და ორივენი მიყურებდნენ. ვიფიქრე, რომ ეს იყო და ეს. ეჰ!

რამდენიმე დღეში მივედი იმელში და რას ვხედავ: ამნე დაუმონტაჟებიათ და პარტარქივს ყუთებით ეზიდებიან. ჩემს შეკითხვაზე ბატონი ზურაბის მოადგილემ მიპასუხა, რომ ეს ხალხი ვანო მერაბიშვილის მოყვანილი იყო. იმელის ბიბლიოთეკა კი მეცნიერებათა აკადე-



ИМЭЛ-ის ბიბლიოთეკის საპროექტო დარბაზი

მიის ბიბლიოთეკისთვის გადაუციათ. მოვედი ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ავედი დირექტორთან, ბატონ ბორის გაგუასთან და შევჩივლე ეს ამბავი – იმელის ფონდი მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას გადასცეს, ეროვნული ბიბლიოთეკა კი არაფრად ჩააგდეს-მეთქი. ბატონ ბორისს არც გაკვირვებია. თურმე, იმ პერიოდში ჩვენს ბიბლიოთეკას დავა ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროსთან დაბლა, პირველ სართულზე წლების წინ გასხვისებული ფართების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ამავე დროს, ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში შემოჭრილ მოიჯარადეს სრულიად დაუჯერებელი თანხმობა მისცეს გაზის შეყვანაზე. ბატონი ბორისი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკის სამინისტროსთან ასეთი ურთიერთობის ფონზე, აზრი არ ჰქონდა რაიმეს თხოვნას. მან მიჩნია, რომ დავლაპარაკებოდი მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორს, ირაკლი ლარიბაშვილს, კაცურად მეთხოვა მისი სახელითაც, რომ ჩავერთეთ ამ საქმეში.

წავედი ირაკლისთან მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში. ვკითხე, თუ რას უპირებდა ამ ფონდს. გაეცინა... – შენ რა გინდა, პირდაპირ მითხარო. მე ვცადე მისი დარწმუნება, რომ გაუჭირდებოდა იმელის მთლიანად დაცლა და გავუმეორე თხოვნა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკაც ჩაერთო ეკონომიკის სამინისტროს საქმეში. ირაკლიმ ეროვნული ბიბლიოთეკისთვის მხოლოდ ყურნალ-გაზეთების წაღების ნება დაგვართო, მაგრამ საქმეში მასთან ერთად ჩართვაზე უარი მითხრა – ვიცი შენი ემპაკობა, თუ გინდა, პერიოდიკა წაიღე, ვიცი შენი მადაო. მას თურმე ეკონომიკის მინისტრისთვის უკვე





ბორის ბაბუა

წარუდგენია პროექტი, რომელშიც ამ საქმისთვის 90 000 ლარის გამოყოფას ითხოვდა.

გამოვარდი დირექტორთან. მოვუყევი ამბავი და შევუდექი მზადებას – საჭირო იყო მანქანისა და მუშების დაქირავება. რეისების რაოდენობაც დავთვალე. მთლიანად ამ საქმეს 5000 ლარი სჭირდებოდა. ბატონმა ბორისმა სხდომაზე დაავალა ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს თანხების გამოყოფა. ერთმა ჩემმა კოლეგამ ბატონ ბორისს უსაყვედურა: მე რომ გთხოვთ სამივლინებოს და საგამომცემლო თანხებს, არ გაქვთ, ლევანისთვის კი ყოველთვის გაგაჩნიათო. ბატონმა ბორისმა უპასუხა, რომ ეს არ იყო ლევანის ფონდი, არც



ირაკლი ღარიბაშვილი

დირექტორის პირადი ბიუჯეტი. მერე გაცხარებით დააყოლა, რომ იმელის ფონდის მიღება ბიბლიოთეკის ინტერესში შედიოდა და, საერთოდ, რაზეა აქ საუბარიო?!

ამის შემდეგ გადმოვიტანე მთელი გაზეთები. შეივსო ბიბლიოთეკის დეზიდერატა. ბიბლიოთეკას საერთოდ არ ჰქონდა 1918-21 წლების გაზეთები, გაზეთი «Каспий» – ბაქოს მთავარი გაზეთი რუსეთის იმპერიის დროს; ავივსეთ „ივერიით“, „დროებით“, „სახალხო საქმით“, საბჭოთა 1920-30 წლების ამოუჭრელი, დაუზიანებელი გაზეთებით. წამოვიღე დაუმუშავებელი საგაზეთო ფონდიც. იქ ვნახე უნიკალური გაზეთის ერთადერთი გამოსული ნომერი, 1919 წელს დაბეჭდილი „41“ (41 გრადუსი) პირველი ნომერი. ეს გაზეთი თბილისში დაიბეჭდა და დღეს სხვა არცერთ ბიბლიოთეკაში არაა. საზღვარგარეთის აუქციონზე რამდენიმე წლის წინ იყო ერთადერთი შემთხვევა მისი გამოჩენისა და გაიყიდა 10 000 ფუნტ სტერლინგად. კრუჩონიხი იყო მისი შემდგენელი. დავემშვიდობე ირაკლის და გულდანყვებილი წამოვედი. სიტყვა სიტყვა იყო. აქ უნდა გავჩერებულიყავი.

გავიდა ერთ წელი. ერთ დღეს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობის წინ თეთრი ჯიპი გაჩერდა. გადმოვიდა შორტებში ჩაცმული მძღოლი ყურსასმენებით და მიმართა პოლიციელს – ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა იკითხა. ჩემზე მიუთითეს. „შე ჩემაო“, – მეუბნება ეს კაცი. „ტრაკი თუ არ გაქვთ, რას გვაბოლებთო“. ვინ ბრძანდებით-მეთქი – ვეკითხები. „ვინ ვარ და ეხლა რომ გაგაბანძებთ, თქვე ფუფლოებო და არაფრის გამკეთებლებო, მაგას დაინახავთო. ეროვნული ბიბლიოთეკა ხართ და ერთი წელი შენობა არ დაგიცლიათო“.

დავინტერესდი, რომელ შენობაზე გვედავებოდა. იმელი აღმოჩნდა! ავუხსენი, რომ ჩვენ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ვიყავით, იმელის დაცლა კი ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ევალებოდა. ვუთხარი, რომ ეს სხვა ბიბლიოთეკაა. დავურეკე და შევხვდი ირაკლი ღარიბაშვილს. თურმე სამინისტრომ თანხა არ გამოუყო საცავის დასაცლელად და ირაკლი, რაც შეეძლო, თავისი ხარჯებით აკეთებდა. ვთხოვე, ჩაერთო ჩვენი ბიბლიოთეკა ამ საქმეში. ირაკლი სიხარულით დამთანხმდა – მიდი, ლევან, შენ გარდა არავის აინტერესებს ეს საქმეო.

იმელის საცავში რომ მივედი, მივხვდი, რომ ზიზილ-პიპილო ყდიანი წიგნები უკვე წაღებული იყო, მაგრამ შუა საცავში ხის კარადები, რომლებიც საზიზლრად შეეღებათ, არავის გაეხსნა. მე გაეხსენი და აღმოჩნდა CX – ფონდი («СПЕЦХРАН») – სპეციალური დაცვის ფონდი. 6000-მდე წიგნი ინახებოდა იმელის სპეციალიზებული, აკრძალულ ფონდში. მთლიანად წამოვიღე. ერთი კარადა კი განსაკუთრებული იყო. რატომ და როგორ მივხვდი, რომ ეს კარადა იმელის უიშვიათესი წიგნებით იყო სავსე, აქ არ ავხსნი. დღეს ამ კარადის ყველა წიგნი ჩვენი ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაშია – წიგნის მუზეუმში. ამ კარადის ზედა თაროზე ჰიუგოს წიგნი ვნახე, ავტორისეული ავტოგრაფით. მეგობარს ჩუქნის. ისიც წიგნის მუზეუმს ჩავაბარე. 2 ცალი იშვიათი ყურნალი  $H_2SO_4$  იატაკზე ეგდო. ერთი მე ვნახე, მეორე კი – მაია მიქაბერიძემ. ესეც ჩვენთანაა. გაზეთ «ИСКРА»-ს პირველი ნომრები, სტალინის ბიბლიოთეკის ცალები...

ფონდი სასწრაფოდ უნდა გადმოგვეტანა, რადგან იმელის ბიბლიოთეკას ჭერი ახდელი ჰქონდა. სწორედ ჭერის ახდის დროს მიხვდნენ, რომ ბიბლიოთეკა დაუცვლელი იყო. დაბლა სართულები უკვე გამოემიგნათ. მხოლოდ ბიბლიოთეკა იყო დარჩენილი. ერთი მაგარი წვიმა და ყველაფერი დამთავრდებოდა. 10 დღის განმავლობაში ვმუშაობდით მე და ჩემი ლომი ქალები. თეთრი პერანგის საყელო და მკლავები კუპრისფერი მქონდა დღის ბოლოს, ცხვირის ნესტოები – მტვრით ამოვსებულნი. მე-11 დღეს წვიმა მოვიდა. დილას მივედი და ბიბლიოთეკაში გუბე იდგა. ამოვაყვანინე ბეტონის მგრეველები და იატაკი დავახვრეტინე. კიდევ 5 დღე ვიმუშავეთ. ბოლოს ამოვიდნენ მუშები და გვითხრეს, კიბეები უნდა ჩავანგრეთო.

დადგა დღე ბიბლიოთეკასთან განშორებისა. დაბლა მელოდებოდნენ თანამშრომლები. ერთ თანამშრომელთან ერთად ჩავალაგეთ უკანასკნელი ნადავლი, მერე ვუთხარი: ეხლა არ გამიბაზრო, ამ წიგნებს წესი უნდა ავუგო-მეთქი. ამოვიღე მობილური, ინტერნეტში ვნახე საბჭოთა კავშირის ჰიმნი და ჩავრთე. თაროებს შორის დავდიოდი და ხელით ვეფერებოდი შენობაში ჩასაქცევად განწირულ წიგნებს. დედას გეფიცებით, ცრემლი მქონდა თვალებზე და ყელში ბურთი გაჩრილი. ყველაფერს ვერ წამოვიღებდი. სად დამელაგებინა? როგორ გადამიზიდა? იქ დარჩენილ წიგნებში რაღაც უნიკალურიც

დარჩა, მაგრამ რაც ვნახე ძვირფასი, წამოვიღე. მაშინ ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში რემონტი იყო. ყველაფერი პირველსა და მეორე კორპუსებში მივზიდეთ. პრესა ერთ უზარმაზარ ოთახში ჭერამდე ელაგა, წიგნები – მეორე ოთახში. 7 წელი ვამუშავებდით შემდგომ ამ ფონდს.

იმელიდან წიგნების გადმოზიდვის ბოლო დღეს (პარასკევს) სოფელ რველში წავედი ცოლ-შვილის სანახავად. ზაფხული იყო. ჩავედი და ორი დღე ლოგინში ვინექი. ყველაფერი მტკიოდა. აივანზე ტახტზე ვიყავი გამხლართული. სუფთა ჰაერმა მიშველა. ოპერაცია „იმელი“ წარმატებით დამთავრდა. ამ საქმეში ბოლოს ჩაერთო ცენტრალური არქივის ბიბლიოთეკა, ოკუპაციის მუზეუმი. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ჩვენამდე წაიღო ფონდის მცირე ნაწილი. ეს იყო და ეს. ამ ოპერაციის განხორციელებით ეროვნული ბიბლიოთეკა გახდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდიკის სრული კოლექციის მფლობელი. იმელში ვიპოვნე იაკობ გოგებაშვილის „ანბანი და საკითხავი წიგნის“ პირველი გამოცემის ალუნერელი ეგზემპლარი. აქამდე არცერთ ბიბლიოთეკას, არც აქ და არც საზღვარგარეთ, მისი ცალი არ ჰქონდა. თურმე ჰქონიათ იმელში. 1976 წელს ეძებდნენ და ვერსად ვერ ნახეს. ასეც დანერეს: საბჭოთა წიგნთსაცავებში არ არისო. წიგნს საინვენტარო ნომერი აქვს და რატომ არ იყო აღნიშნული „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის“ პირველ ტომში იმელში მისი დაცულობა, ვერ მივხვდი.

ბოლოს ჩემი ბოლო ოცნებაც ავისრულე: დავაშლევინე და წამოვიღე ბერიას მითითებით დამზადებული გაზეთების თაროები, მაგიდები. ჭალები უამრავი იყო ნამგალი და უროს გამოსახულებებით. ვნანობ, რომ ვერ ვიკადრე და ესეც არ მოვითხოვე, ასევე ვნანობ, რომ არ წამოვალეზინე პარტიული წიგნაკების საცავი თავისი კარტოთეკით, რომელიც კაკლის ხის მასალისაგან დამზადებულ ყუთებში ეწყო. ალბათ 300 000 წევრის პარტიული წიგნაკი იქნებოდა ფოტოებით. ოხ, მაშინ ფოტოები არ მაინტერესებდა. იყო კარადა, გატენილი პარტიაში შესვლის მსურველთა მიმართვებითა და მათი დახასიათებით. ვკითხულობდი და მეცინებოდა... ერთი ჩემი ნაცნობის მამის იყო, შვილი კი მის ანტისაბჭოთა წარსულით ამაცობდა. წერილში ეწერა: მზად ვარ, კისერი მოვუგრიხო საბჭოთა კავშირის მტრებს და ამაზე ხელი არ ამიკანკალდებაო, 1956 წელს წერდა. ანტისაბჭოთა გამოსვლა რომ





გიორგი შარამია

იყო წელს, მე ქუთაისში ვიყავი და დავგე თბილისის პარტიული აქტივის სისუსტეო. მისი შვილი კი მე ტვინს მიბურღავდა, მამაჩემი პარტიის წევრობაზე უარის თქმის მერე დაჩაგრესო. სინამდვილეში, ხვეწნის მიუხედავად, არ მიუღიათ. ლურჯი ფანქრით ეწერა: უარი ეთქვას, არასანდო ბიოგრაფიის გამო. ლოთობის მიმდევარი.

პირველ სართულზე ე.წ. ლენინის მერხი ეგდო. დავინახე და გამახსენდა 34 წლის წინანდელი ჩემი ექსკურსია. ჩამოვჯექი და ვიფიქრე: რა ყველაფერი წარმავალია! ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს საბჭოთა იდეოლოგიის მთავარი მექა ასეთ დღეში ჩავარდებოდა? იქვე „სურგუჩების“ ორი დიდი ყუთი იყო. წინა შესასვლელ, მთავარ კარს ძვირფასი სახელური ჰქონდა. მერე ვილაცხამ მოხსნა. იმასაც ხომ არ წამოვიღებდი?! იქვე კედლებიდან მოხსნილი მარმარილოს ფილები ეყარა, უკანა მხრიდან სახელი და გვარები ეწერა – უმეტესად არაქართული, სომხური. ქართულიც იყო: აბაშიძე, სახელი აღარ მახსოვს. უზარმაზარი ქვის საფლავის ლოდები ქართული და სომხური პარალელური წარწერით, ქალაქის მოურავის საფლავის იყო. მერე ეს ამბავი ტელევიზიით გააშუქეს და სომხებმა წაიღეს, ალბათ სომხეთში. შენობის გვერდითა მინაშენის ჩამონგრევისას გამოჩენილა. მინაშენს ნაცრისფერი გრანიტის ზოლი რომ მიუყვება, ისიც საფლავის ლოდებისგან არის გამოთლილი და ჩაშენებული. შიდა ინტერიერის მარმარილოს ფილებიც საფლავებიდან იყო მოხსნილი. როგორც ამბობენ, იმელის მშენებლობის პარალელურად ვერის, ვანქის ტაძრის, ხოჯევანქის სასაფლაოები აუშლიათ და გამოუყენებიათ სსრკ მთავარი ტაძრის ასაშენებლად.

## ამბავი ოცნების ასრულებისა, ოდეს ძალზე გასურს მისი ახდენა!

ემიგრანტული არქივები ამერიკიდან

ამბავი, რომელსაც აქ მოვყვები, ჩემთვის ძალზე მგრძნობიარეა და გამიჭირდება, სრულად ავსახო მაშინდელი განცდები, დღემდე რომ არ გამნელება.

მაშ ასე: ყველაფერი დაიწყო იმით, რომ 2006 წლის ერთ დღეს ბიბლიოთეკაში ბატონი გურამ შარაძე მენვია. ის გამოცემას ამზადებდა აკაკი წერეთლის შესახებ და დახმარება გვთხოვა ტექნიკურ ნაწილში, ანუ მასალების ასლების გაკეთებაში. დავეხმარეთ. წასვლის წინ ახსენა გრიგოლ დიასამიძე, როგორც აკაკის უმცროსი მეგობარი და ერთ-ერთი ორგანიზატორი მისი ცნობილი მოგზაურობის რაჭა-ლეჩხუმში. ბატონმა გურამმა ნათქვამს დანანებით დაამატა, რომ ორი არქივი დარჩა ჩამოსატანი ამერიკიდან: მათგან ერთი – გრიგოლ დიასამიძისა, მეორე – ალექსანდრე მანველიშვილის. ორივე არქივი ნანახი ჰქონდა. დიასამიძის არქივის ჩამოტანა მის შვილიშვილს გადაუდია სამომავლოდ, მანველიშვილს კი თავად მოუსურვებია ჩამოსვლა და არქივის ჩამოტანაც. მანველიშვილი სან-ფრანცისკოში უნახავს ბატონ გურამს. შემდგომ მისი კვალიც დაკარგულა და აღარც გამოხმაურებია, რის გამოც ძალზე გაკვირვებული იყო და ოდნავ ნაწყენიც ბატონი გურამი.

ეს იყო და ეს. მაშინ ეროვნული ბიბლიოთეკა ემიგრაციული ლიტერატურის მოძიებით არ იყო დაინტერესებული. მოგვიანებით ვითარება შეიცვალა: ერთხელ ეროვნული ბიბლიოთეკის იმდროინდელმა გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ბორის გაგუამ მკითხა: – ემიგრაციული ლიტერატურის მოპოვებაზე ხომ არ ვიფიქროთო? ვუპასუხე: – ჩემი აზრით, ბატონ გურამ შარაძის საზღვრებში არ ღირს შეჭრა-მეტქი. გაეცინა და დამეთანხმა. თუმცა ცოტა ხანში თვითონ ბატონი გურამი ეწვია ბატონ ბორისს და თავისი ემიგრაციის მუზეუმის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადმოტანა შესთავაზა. მეტიც – ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლობა სურდა. 2007 წლის იმ ტრა-



გიორგი დიასამიძე

გიკულ კვირადღესაც მოვიდა ბიბლიოთეკაში. საარქივო ფონდის თანამშრომლებს უთხრა: – ხვალიდან ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვხდებიო. მაგრამ ის გურამ შარაძის ბოლო ვიზიტი აღმოჩნდა მის საყვარელ ბიბლიოთეკაში. სახლში მიდიოდა. ტრაგედია გზაზე მოხდა, მელიქიშვილის გამზირზე. განუხორციელებელი დარჩა ბატონ გურამის ბევრი მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი, მათ შორის, ამერიკული არქივების ჩამოტანის ოცნებაც.

### გიორგი დიასამიძის არქივი

ამ ამბიდან გავიდა რამდენიმე ხანი. გრიგოლ დიასამიძის არქივი გამახსენდა და დავინყე ინფორმაციის მოძიება. ხელჩასაჭიდი ისევ ბატონი გურამის გამოცემაში ვნახე – შვილიშვილი ნინა ვაჩნაძე, მისი მეუღლე კოვალსკი. წიგნში მისამართი არ იყო, მაგრამ ნიუ-იორკის გარეუბანში ცხოვრობენო – წერდა ბატონი გურამი. რა ვქნა? ვინ მყავს ნიუ-იორკში ძველი ემიგრაციიდან? არავინ. ვიფაფხურე და შედეგი – ნული.

ლამეა. ვუსმენ ამერიკის ხმას. დიქტორი აცხადებს: ნიუ-იორკში მცხოვრები ვალიკო ძამია გვესტუმრა, 90 წელს გადაცილებული. საინტერესო აღბომი მოგვიტანაო. ვრეკავ რედაქციაში. სანდომიანი ხმა: – გისმენთ! გავეცანი და ვსთხოვე ვალიკო ძამიას ტელეფონის ნომერი. მომცეს. ვურეკავ და ყურმილს იღებს თავად ბატონი ვალიკო. მასაც გავეცანი და



ვალიკო ძამია

ვკითხე ქალბატონ ნინა ვაჩნაძე-კოვალსკის შესახებ. – ვიცნობ, ახლობელია, კვირაში ერთხელ ვსაუბრობთ ტელეფონით, ჩემი მეუღლე მოვა და დაგირეკავს, ყველაფერს მიიღებო. მერე მეკითხება: – რა ხდება თბილისშიო, ხიდი რომ გაკეთდა რიყეზე, ხალხს რატომ არ მოსწონსო? – მოსწონთ-მეთქი. – შენ გენაცვალეო! ქუთაისშიც თუ შენდება ახალი ხიდიო? ისტორიულ სახლებს არემონტებენო? ბევრ ავ-კარგს ვიგებ აქო. ბევრ საკითხს შეეხო, შევარდნაძის კრიტიკას, ქართველების გაუტანლობას... ერთი სიტყვით, იმდენი მესაუბრა, მეორე კვირას ტელეფონის გადასახადი რომ მოვიდა, მამაჩემს თვალი ვერ გავუსწორე – 76 ლარი. მე მაინც ბედნიერი ვიყავი, რადგან ხელთ მქონდა ნინა კოვალსკის მისამართი, ტელეფონი, იმეილი და ბატონ ვალიკოს მიპატიჟებაც ნიუ-იორკში!

რამდენიმე დღეში დავურეკე ქალბატონ ნინას. მითხრა: – ჩამოდით, ღამე ჩვენთან დარჩით და ყველაფერი წაიღეთ ეროვნულ ბიბლიოთეკაშიო. ამერიკაში გაემგზავრა ჩვენი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე, ცნობილი ემიგრანტის, პეტრე ხვედელიძის არქივის გადმოცემაზე მოსალაპარაკებლად. მე კი ჩემი ყოფილი დირექტორის, ალიკო კარტოზიას მეუღლესთან, ქალბატონ რუსუდან გორგილაძესთან ერთად ვიყავი მიწვეული. მას ფრიად მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა: ლიზი ზალდასტანიშვილს მისი მემკვიდრით უნდა გადმოეცა ეროვნული ბიბ-



ლიოთეკისათვის მამისა და ბიძის – ოთარ და გივი ზალდასტანიშვილების არქივი. მას ვიზა დროულად მისცეს, მე კი – სამი დღის მოგვიანებით. ამიტომ ისე მოხდა, რომ ემიგრანტული არქივებისათვის სამივე სხვადასხვა დროს გადავფრინდით აშშ-ში.

ქალბატონი რუსუდანი ჩემამდე ეწვია ქალბატონ ნინო ვაჩნაძესაც და როცა ჩავედი, გრიგოლ დიასამიძის არქივი გამზადებული იყო. მიმიყვანეს დიასამიძის შთამომავალთა ოჯახში, მაგრამ იქ მოულოდნელი ამბავი დამხვდა და ქალბატონი რუსუდანი შეეცადა შევემზადებინე იმის გასაგებად, ქალბატონმა ნინომ არქივის გადმოცემა რომ გადაიფიქრა. ვაი, შენს ლევანს! საქმე იმაში იყო, რომ არქივის გადმოლაგებისას პაპის წერილი უნახავს ქალბატონ ნინოს და რუსუდანისათვის უთხოვია მისი თარგმნა. რა ეწერა წერილში? – შვილო, ნინო, ეს არქივი და ყოველდღიური ჩანაწერები ჩვენი ოჯახის ისტორიაა და შენთვის დავწერე. ვინმე ოხერს არ ჩაუგდო ხელში. შენი პაპა გრიგოლ დიასამიძე.

სუფრა გაიშალა. გაგვიმასპინძლდნენ, მაგრამ პირში ლუკმა არ გადამდის. არქივი ვნახე. ჩავუჯექი. დაძინება რომ შემომთავაზეს, ვუთხარი, რომ ღამე ვაპირებდი არქივის გარჩევას. მოვიტანე ფოტოაპარატი და მთელი ღამე ვიღებდი დიასამიძეთა გვარის ისტორიულ ჩანაწერებს: მოგონებებს გრიგოლის მამის მკვლელობაზე; ინფორმაციას რაჭა-ლეჩხუმში აკაკის მოგზაურობის შესახებ; გრიგოლის წერილებს; გენეალოგიურ ჩანაწერებს...

დამათენდა და, ოი, საოცრებავ! ვიპოვე ქალბატონ ნინასადმი პაპისაგან ანდერძად დატოვებული სხვა წერილი: – შვილო ნინო, ქართველებს ეზარებათ ყოველდღიური ჩანა-

წერების გაკეთება, ამიტომ, ვგონებ, ჩემი ჩანაწერები ერთადერთი აღმოჩნდეს ქართულ ემიგრაციაში, ამიტომ ამ მასალას დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ჩავარდება პირუთვნელი მემატინის ხელში.

მეც, დაქანცული და კისერმოღრეცილი ფოტოაპარატის ჩხაკუნით და ზუმის გასწორებით, მივწევი და მივიძინე ჩემთვის გამზადებულ ლოგინში. დილას, ეტყობა, დიდხანს გავაგრძელე ძილი და მალევიძებს ქალბატონი რუსუდანი. საუზმე მელოდება და შემწვარი ბანანები. ვისაუზმე და ვსთხოვე ქალბატონ რუსუდანს, რომ ეს წერილიც ეთარგმნა მასპინძლისათვის. თარგმნიდა და მისი ინგლისური ისე ჩამესმოდა ყურში, ალბათ, ამერიკელებმა რომ მოისმინეს პირველად თავისუფლების დეკლარაცია.

ქალბატონ ნინას ცრემლი წამოუვიდა და გვითხრა: წაიღეთ, შვილებმა მითხრეს, ნუ გაატანო. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს საქართველოში. ეს ჩემი პაპის და დედის დაბრუნებაც იქნებაო. ბედნიერმა მაშინვე გავხსენი ჩემი უზარმაზარი ჩანთა. წამებში შიგ მოვათავსე მთელი არქივი და წიგნები. წამოვედით.

სასტუმროსთან ვსთხოვე ქალბატონ რუსუდანს, ჩინურ რესტორანში შევსულიყავით. ჩემი საყვარელი სიჩუანური შევუკვეთე და ერთი მათლაფა ბრინჯი. შევატყვე, რალაც უსიამოვნოდ გრძნობდა თავს. კმაყოფილი ხარო? – მკითხა. თქვენ-მეთქი? – არაო. უხერხულად ვიგრძენი თავიო. ქალს არც დააცადე არქივთან დამშვიდობებო. მართლაც, ასე იყო. – იცი, რა? მგონია, სხვის ცხოვრებაში იქექებიო, პათანატომი გამახსენდაო. რა უნდა მეთქვა?! მაგრამ ქართლელი ვარ და... ვუთხარი მაინც: – ქალბატონო რუსუდან, რამდენი ჩვენთვის ძვირფასი ისტორიული პიროვნების სიკვდილი დარჩა გამოცანად, პათანატომიც საჭიროა. ჰოდა, მეც პათანატომი ვარ-მეთქი. გაეცინა. ამერიკაში ჩვენი ვიზიტის მთელ დროს ყურადღებას მაქცევდა ქალბატონი რუსუდანი – მარიგებდა, ცდილობდა, უკეთ გამეცნო იქაური ცხოვრება. არასოდეს მიგრძვნია ჩემდამი ისეთი პროფესიონალური ზრუნვა, როგორც ეს მან გააკეთა, თანაც საქართველოდანვე: ისე იზრუნა, რომ მე, ინგლისური ენის ფაქტობრივად არმცოდნემ, ამერიკაში გადაფრენისას ყველა ბარიერი გადავლახე მისი „შპარგალკებით“.



რუსუდან ბორბილაძე

P.S. სამწუხაროდ, ბატონ ვალიკო ძამიას ცოცხალს კი ვერ ჩავუსწარი. ჩვენს ჩასვლამდე 40 დღით ადრე გარდაიცვალა. მისი მეუღლე, ქალბატონი მზია მოვინახულე. თავისი არქივის მცირე ნაწილი, რაც დარჩენოდა, ჩემთვის გაუმზადებია ბატონ ვალიკოს. შეკვრას მისი ხელით ეწერა: ლევან თაქთაქიშვილისათვის!

დაუვინყარია ჩემთვის ძამიების გამასპინძლება – ცრემლიანი თვალები ქალბატონ მზიასი. გამოვედი მათი სახლიდან და მივაბიჯებდი ნიუ-იორკის ქუჩაში მარტო, ისე, როგორც დენდი, მეტსახელად ნიანგი. ფილმი ხომ გახსოვთ. რა ბედნიერი ვიყავი...




სურათზე: გრიგოლ დიასამიძე შვილიშვილთან: ნინა ვაჩნაძესთან და მეგობრებთან: შალვა ამირეჯიბთან (მარცხნიდან პირველი) და ვლადიმერ ახმეტელთან (მარჯვნიდან პირველი). დანარჩენ ორს თუ ამოიცნობთ, დამავალებთ.

### ალექსანდრე მანველიშვილის არქივი

გრიგოლ დიასამიძის არქივის ჩამოტანის შემდეგ დავინყე ოცნება ალექსანდრე მანველიშვილის არქივის ჩამოტანაზეც. შევუდექი ინფორმაციის მოძიებას ამ საკითხის ორგანიზებისთვის. დამაიმედებელი ცნობა მომანოდა გიორგი მამულიამ – ჰყავსო შვილები, პიტერი და პოლი, ანუ პეტრე და პავლე. სავარაუდოდ, მანველი იქნება მათი გვარიო. მგონი ბატონ გურამსაც უნერია ეს თავის წიგნში. მამულიას მიერ მოცემულ კოორდინატებზე წერილი გავაგზავნე (აღსანიშნავია გიორგი მამულიას „გენერალური შტაბის უფროსობა“ ჩემს საზღვარგარეთულ მოგზაურობებში). პასუხი არ მიმიღია.

ნინა ვაჩნაძე, ვალიკო ძამია, ზალდასტანიშვილები მის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდნენ. ინტერნეტში ვეძებდი აშშ-ს მოქალაქეებს მანველის გვართ. უამრავი ადამიანი ამომიგდო ბაზამ, გავუგზავნე წერილები, აღმოჩნდა, რომ მათი დიდი ნაწილი ინდოეთიდან იყო. ვნახე ბაზაში პიტერ მანველი, ძმით პოლით. დედის სახელიც ეწერა. დედა გარდაცვლილა. ეს უნდა იყოს. იმეილზე წერილს ვაგზავნი, პასუხი არაა. თურმე ძველი ინფორმაციაა. ჩიხში ვარ. ამ დროს აშშ-ში გარდაიცვალა ცნობილი უფლებათა დამცველი ვალერი ჭალიძე. მისი შთამომავლების მისამართის ძებნაში ვნახე მეუღლის, ლიზას ინტერვიუ. სხვა საქმეებიც გამოჩნდა, დროებით გადამავინყდა ეს ემიგრაციის არქივები.

2019 წლის იანვარია. დირექტორი, გიორგი კეკელიძე მეუბნება, რომ აშშ-ში ვიზიტია და გეგმილი კონგრესის ბიბლიოთეკაში, ნიუ-იორკის ბიბლიოთეკაში წიგნები უნდა წავილოთ, მივდივარ მათა სიმონიშვილთან ერთად, რაიმე სხვა საქმე თუ გაქვს ამ მიმართულებით, შეგვიძლია დავგეგმოთო. ვუთხარი ჭალიძესა და მანველიშვილებზეც. ორი კვირაა დარჩენილი. სიმონიშვილსაც მოვუყევი ჭალიძისა და მისი მეუღლის შესახებ. მასთან დაკავშირება მივანდე: – აბა, შენ იცი-მეთქი. მე მანველიშვილზე ინფორმაციის ძიებას ჩავუჯექი ინტერნეტში. ვეძებ ყოველდღე, სამსახურის შემდეგ, თან ფეისბუკში ვწერ პოსტებს, ხან რას და ხან რას. ერთ-ერთ პოსტზე გამომეხმაურა ქალბატონი რუსუდან ვაშაკიძე, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს და ფეისბუკზე ვმეგობრობთ. მისთ-



ალექსანდრე მანველიშვილი





კონგრესის ბიბლიოთეკაში

ვის შესაფერისი დრო აშშ-ში, ჩემთვის შუალა-  
მეა. საბედნიეროდ, ამ დაკავშირებამ გადამწყ-  
ვეტი როლი ითამაშა მანველიშვილის კვალის  
მიგნებაში. ვუამბე, გავაცანი ჩემი პრობლემა,  
მივეცი პავლეს ტელეფონი. გადაამონმა. ეს  
ნომერი არ ფუნქციონირებდა. თურმე აშშ-ს  
მოქალაქე უნდა იყო და მონაცემთა ბაზაში გა-  
წევრიანდე. ჩემს ბარათს იმიტომ ვერ ხედავდა.  
ქალბატონი რუსუდანი თვითონ განწევრიანდა.  
საწევრო გადაიხადა და ხუთ წუთში გამომიგ-  
ზავნა პოლ მანველიშვილის ახალი საკონტაქ-  
ტო ნომერი. ახალი ამბით დავურეკე მაია სი-  
მონიშვილს, ისიც სამსახურში იყო, გადმოვიდა  
ჩემს კორპუსში და გახარებულმა მითხრა, რომ  
დაუკავშირდა ლიზა ჭალიძეს, ვალერი ჭალი-



ლიზა ჭალიძესთან ვიზიტი



ნიუ-იორკის ჯონსის ბიბლიოთეკაში

ძის მეუღლეს და იგი მზადაა, მიგვიღოს. მაიას  
ვსთხოვე, ქალბატონი რუსუდანის მიერ გად-  
მოგზავნილ ნომერზეც დაერეკა. არავინ პასუ-  
ხობდა. ხვალაც დავრეკავო. არა, ეხლა დარე-  
კე-მეთქი! – ჩავაცვივდი. დღეს კარგი დღე იყო.  
უნდა გაგვიმართლოს. Paul Alexander Manvel  
in Lakewood, CO; an Peter Melcon Manvel – ეს  
ისაა? ვფიქრობ მე. იქნებ დამთხვევაა? – კიდევ  
დარეკე, აღარ შემიძლია-მეთქი! ამ დროს შვე-  
იცარიიდან მესენჯერით რეკავს ბატონ გურამ  
შარაძის ქალიშვილი, რუსუდანი. – ისე გად-  
მოვრეკე, არ მითხრა ამ შუალამისას, რომ სამ-  
სახურში ვარო. მაია მეორე ოთახში გავიდა. მე  
მას ველაპარაკები. ვუყვები ჩემს ოცნებას მან-  
ველიშვილების მოძებნაზე, ბატონი გურამის  
ოცნების ასრულებაზე და შემორბის მაია: –  
დავრეკე, ქალმა აიღო ყურმილი. მე ვუთხარი,  
რომ ვეძებ პეტრე და პავლე მანველიშვილებს  
და მეუბნება, რომ ჩემი მეუღლე პეტრე მან-  
ველიშვილი, ახლა ბანაობს და შეგეხმებინებათ  
ათ წუთშიო. მე აღარ მახსოვს, მან დარეკა თუ  
ჩვენ დავურეკეთ, მაგრამ ერთი ვიცი: შუალა-  
მისას სიხარულისგან შევყვირე: – ჰკითხე, რომ  
ქართველია მის მეუღლე-მეთქი? – კიო – ლი-  
მილით მეუბნება მაია. მესენჯერიდან ამ ამბის  
შემსწრეა რუსუდან შარაძე. იქ, შვეიცარიაში  
ის ხარობს. იმავე წუთებში ვატყობინებ ამბავს  
ჩვენს მთავარ მხსნელს, რუსუდან ვაშაკიძეს  
ნიუ-იორკში. შემდეგ პეტრესაც ვესაუბრეთ.  
მისმა ნათქვამმა გაგვახარა. არქივი მასთანაა,  
ბრწყინვალედაა შენახული და გამოგვატანს  
საქართველოში. წამოვედი სახლში. იმ ღამეს  
არ მეძინა. დილის 8 საათზე ჩამთვლიმა.

მერე იყო აშშ-ში გამგზავრება – ჯერ ნიუ-იორკში, შემდეგ ვაშინგტონში, შემდეგ ლიზა ჭალიძესთან. მე მაინც იმაზე ვფიქრობ, რატომ დაეკარგა ალექსანდრე მანველიშვილის გზა-კვალი ყველას? 1997 წლამდე იცოცხლა, მაგრამ არ ჩამოვიდა არც სრულიად ქართველთა კონგრესზე, არც სხვა ღონისძიებაზე, რატომ? მისამართი – კოლორადოს შტატი. შტატის დედაქალაქ დენვერთან პატარა დასახლება (ქალაქი), აურორა.

მივფრინავთ ვაშინგტონიდან დენვერში. ჩვენი ინტერესი ამ ქალაქში ერთადერთი იყო: ალექსანდრე მანველიშვილის არქივი. ჩავფრინდით. მანქანით მივემართებით სასტუმროსკენ. უცებ ვიგრძენი, რომ რაღაც განსხვავებული ბუნებაა. სადღაც მინახავს. ვესტერნის ფილმები. გადმოვდივართ სასტუმროსთან და ვხვდები: განსხვავებული ქალაქია. აშშ-ს შტატები განსხვავდება არა მარტო ბუნებით, ხალხითაც. თავზე კოვბოის ქუდეები, მაღაზიები სავსეა ამ ქუდეებით, ვესტერნის ტანსაცმელი, კოვბოის ძეგლი, ქუჩებიც უცნაური. ნაწილი ქუჩებისა დანომრილია, ნაწილი სახელობითი. თოვლიანი ქალაქი. ზღვის დონიდან მგონი ყველაზე მაღალია შტატების დედაქალაქებიდან. შევედით სასტუმროში. გაფორმების ცერემონიალი, ლიფტთან მშვენიერი ქალბატონი მოტკეცილი ჯინსით და შუახნის მამაკაცი, ხელი ქალის უკანალზე უდევს. იხსნება ლიფტი და კაცი შუათითის რამდენჯერმე მიკაკუნებით ეფექტურად ანიშნებს ქალბატონს, შედით. ხელს უკანალზე მიდებულს ტოვებს. ქალი უღიმის და კოცნის თავის რჩეულს. ეს კაკუნი ტაკუნებზე არაერთხელ ვნახე დენვერში. ცხოვრება დულს. სიცოცხლით ტკბებიან. მომსახურება თავაზიანი, ღიმილით და სიხარულით. მაღაზიაში ოთხჯერ შემიცვალეს ევროპული სტანდარტის როზეტის ამერიკულზე ჩინური გადამყვანი. თბილისში თავში ჩამარტყამდნენ მესამე შეცვლაზე.

სასტუმროს ნომერში ვარ. ნერვები მეშლება უმაღლესი კლასის სასტუმროზე. იქნებ რამე იყოს გაკანონული, იქნებ რამე აკლდეს. მინდა, რამე ხინჯი ვნახო. უჯრაში ბიბლია დევს. მხოლოდ ჩემი მრავალტანჯული უზარმაზარი ჩანთა, რომელიც ათასჯერაა შეკეთებული, მაგრძნობინებს, რომ ისაა მხოლოდ ჩემბურთი, ჩემი იდენტობისა, თუ არ ჩავთვლით მოგზაურობის ორ წევრს, რომლებიც გვერდით ნომრებში არიან.



პიტარ სპინერთან ვიზიტი

მოუთმენლად ველი მეორე დღეს. თითქოს ჩემთანაა გურამ შარაძე და მეუბნება: ხვალ მნიშვნელოვანი დღე გაქვს, ყველაფერი ყურადღებით ნახე, არაფერი დაგრჩესო. მახსენდება ცხონებული ნუგზარი ძია, მამაჩემის უფროსი ძმა, პირველად სათევზაოდ წასასვლელს რომ მომცა თავისი აწყობილი ნესკავი და ჭიყვლები – აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინოო. ხვალ დიდი დღეა.

დილას ვსაუზნობთ და ავტობუსით მივდივართ ქალაქგარეთ. ვიცვლით ავტობუსს და მივემგზავრებით მეორე ქალაქში. ეს პატარა დასახლებაა: აურორა. მაია სიმონიშვილს აქვს ფოტო მანველიშვილების სახლისა. ფოტოზე ჩანს ბოძი წარწერით: აურორა! და უკან – მდელი. მივადექით ამ ბოძს. მდელი თოვლითაა გადაპენტილი, ბოლოში კი ჩანს მანველიშვილების სახლი. ფოტოზე სახლი ზაფხულშია გადაღებული. ახლა კი ის მოკრძალებულად ძლივს ჩანს თეთრ ფონზე. დავადექით ბოლო ბილიკს დანიშნულების ადგილისაკენ. სახლს 4 შესავლელი აქვს. ყველა დაკეტილია. დავაკვირდი, მხოლოდ ერთთანაა თოვლზე ნაკვალევი. დავაკაკუნეთ. კარი პეტრე მანველიშვილის მეუღლემ გააღო. შეგვიპატიჟა. სასტუმრო ოთახში ძმები დაგვხვდნენ. მე მუნჯი ვარ. ინგლისური ენა არ ვიცი. მაია და გიორგი ესაუბრებიან მასპინძლებს. ოთახს ვათვალიერებ. აქ არქივი არ ჩანს. ორი ნიგნი დევს მხოლოდ. გაგვიმასპინძლდნენ წვენებით, ყველით, ძეხვით. ბატონი პეტრე ყვება მამაზე, მის განცდებზე, საქართველოში დაბრუნების ოცნებაზე, დამოუკიდებლობის აღდგენის სიხარულზე. გვაჩვენებს რვეულებს, მამა რომ ასწავლიდათ ქართულს.



ყველა დედაზე, მამის სან-ფრანცისკოში ცხოვრებაზე, შემდგომ მამის და დედის განცალკევებაზე, მამის უცბად დაავადებაზე სკლეროზით, ამის გამო გადანყვეტილი ვიზიტის ვერ განხორციელებაზე საქართველოში, მერე მის კოლორადოს შტატში გადმოყვანაზე...

აქ ყველაფერი ნათელი გახდა: ბატონ გურამის ნახვის შემდეგ ბატონი ალექსანდრე ავად გახდა. შვილმა გადმოიყვანა კოლორადოს შტატში. აქედან იგი აღარავის დაკავშირებია. მისი მდგომარეობა დროთა განმავლობაში დამძიმებულა და კიდევ გარდაცვლილა.

გადმოიღო ბატონმა პეტრემ რამდენიმე წიგნი, ორი ალბომი სურათებით. ჩანიკნიკებული მასალები. ნახეთო... გადავშალე და ვფიქრობ: ნუთუ სულ ესაა? მოკრძალებით ვიკითხე ამის შესახებ. ზემოთა ოთახშიცააო. გიორგი კეკელიძემ მაიას ჩემზე გადაულაპარაკა ქართულად: – ერთი სული აქვს, არქივი ნახოს, დაგეშილი ძალღივითაა და სანამ ქართულად აღაპარაკებულა, არ დააყოვნო ზემოთ ასვლის შესაძლებლობაო. ავედით. იქ უმეტესად საბჭოთა გამოცემები იყო. სხვა არაფერია-მეთქი? – კი, ავტოფარეხში, მაგრამ იქ არა მგონია, საინტერესო რამ ნახოთო. ჩავედით და არის! პლასტმასის ყუთებში რუდუნებით ჩანყობილი არქივი. ჩანიკნიკებული. იქვე ყუთებში ემიგრაციული გამოცემები, რვეულები ჩანანერე-

ბით, წერილები, მიმონერები, მოგონებები.

აღარავინ მახსოვდა. გადავარჩიე. ციოდა ავტოფარეხში. – საბეჭდი მანქანაც გინდათო? თავი დავუქნიე. ბატონმა პეტრემ ბოდიში მოგვიხადა: – თვალის ოპერაცია გავიკეთე და ეს-ლა მასაჟები მაქვს გასაკეთებელიო. ყველაფერი, რაც გინდათ, ცალკე დავალაგოთ ყუთებში და გამოვაგზავნიო. ჩავალაგე ისევ პლასტმასის ყუთებში. 20 ყუთზე მეტი იყო. ამით ვერ წამოიღებდა ფოსტა. ძმები დაგვპირდნენ, რომ ახალ ყუთებში ჩაალაგებდნენ. მინდოდა კიდევ მეთვალყურეებინა არქივი, მაგრამ... დირექტორმა წავედით, სირცხვილია, კიდევ რამდენი დრო გინდაო? 20 წუთი მეთქი. 20 წუთი ელაპარაკებოდნენ მაია და გიორგი მასპინძლებს და აცინებდნენ რალაცვებზე, ალბათ ჩემზეც ხალისობდნენ. 21-ე წუთზე ჩამჩურჩულა გიორგიმ – წავედითო. მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ამსახველ ფილმებში რომ ეუბნებიან: „შნელა“! – ისე ჩამესმოდა სიტყვა: „წავედით“.

წამოვედით. არქივის ერთი ნაწილი წამოვიღე: ხელნაწერების დიდი ნაწილი. დამე სასტუმროში გავათენე. ვკითხულობდი, ვხარობდი. დანარჩენი ფოსტამ ჩამოგვიტანა რამდენიმე თვეში.

მეორე დღეს, დილას ავიჩემე: ინტერნეტში ვიპოვნე დენვერში უზარმაზარი ბუკინისტური მაღაზია. მაია „ბეზატკაზნია“. წავედით.



პოლ და პიტარ მანვლიშვილებთან ერთად

იქაც წიგნები ვიყიდე. შემდეგ, სალამოს, გიორგის შევუჩინდი. წადი შენო. სად უნდა წავიდე, დავიკარგები, ენა არ ვიცი-მეთქი. წავედით. მე ფული აღარ მქონდა. აბა, ეს ნახე-მეთქი, აბა, ის ნახე-მეთქი, ეს არა გვაქვს-მეთქი. ეს თბილისში რარიტეცია-მეთქი. ერთი დიდი ჩემოდანი გავტენე უიშვიათესი ისეთი წიგნებით, რაც კავკასიას ან საბჭოთა კავშირს ეხებოდა, რკინის ფარდის დროინდელი გამოცემები. აი, სერვანტესის მეთვრამეტე საუკუნის გამოცემაზე რომ მიდგა საქმე, გადათვალა გიორგიმ და აღმოჩნდა, რომ ვერ ვიყიდდით. ეს ყველა ზღვარს ცდებოდა.

სალამოს დავიანგარიშეთ და ბარგის ზღვრულ წონას 40 კილოთი გადავაჭარბეთ. არქივის ნაწილი ხომ მომქონდა. ეს ბუკინისტური წიგნებიც კიდევ! გიორგიმ შემომხედა მე. თვალებს ვერ ვუსწორებ. ისევ იგივე ხდებოდა, ეს სჯობს, ფოსტით გავაგზავნოთო, წავედით ფოსტაში ბუკინისტური წიგნების გამოსაგზავნად. არქივის ნაწილი, რომელიც მე წამოვიღე მანველიშვილისგან, ვერც ფოსტას ვანდე და ვერც თვითმფრინავში ბარგში ჩასადებად ვერ გავიმეტე. ხელით უნდა წავიღო-მეთქი. იქ სიმონიშვილმაც ჩაატარა ფოკუსი და 40 წუთი დაგვაყოვნა გამოწერილი ტაქსის მოლოდინში. იმ დღეს გაფიცვა ყოფილა და ტაქსმა „გადაგვაგდო“. გიორგის სახეზე ლოლუები ჰქონდა, მეც გავიყინე. აქ მე ჩემი ოცნებები მქონდა: მანველიშვილების სახლში კიდევ ერთხელ მენახა, ხომ არაფერი მრჩებოდა. ვიცოდი, მეორედ აქ ვერ მოვხვდებოდი და ჩავანოდე იდეა – ეს ბუკინისტებში ნაყიდი წიგნებიც მანველიშვილებთან ხომ არ დავტოვოთ, მთელ ფონდს ერთად წავიღებთ ფოსტით-მეთქი. მე და მათა წავედით აერორაში. მანველიშვილებმა მათთან ამ ყინვაში მეორედ მისული რომ გვნახეს, თავიდან გაუსკდათ გული, მერე კი მიგვიღეს. მე გადავხედე კვლავ მათ ფონდს და წამოვედით. დღეს მათი მამის ალექსანდრე მანველიშვილის ფონდი ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.

ერთი კუროზიც ბოლოს გველოდა. დენვერის აეროპორტში 2 საათით ადრე მივედით. ადრინად გვსურდა, რეგისტრაცია გაგვევლო. დრო გვაქვს, მაგრამ ... და დაიწყო კომპარი. არ გვაძლევენ უფლებას, გავფრინდეთ ტრანზიტული რეისით: დენვერი-ფრანკფურტი-მიუნხენი-თბილისი. თქვენ არ გაქვთ ვიზაო და გერმანიის შიდა რეისზე გადასვლა არ შეგიძ-



არქივები თბილისში

ლიათო. არა და, არ გვჭირდება ეს ვიზა. რეგისტრატორმა შეცდომა დაუშვა. ჩაერთო მეორე რეგისტრატორიც ამ კამათში და არაო! გადაწყვეტილება მიღებულია და კასაციას არ ექვემდებარება. სად არ დავრეკეთ: საკონსულოში, საელჩოში... არაო! ბოლო წუთებზე ვილაცასთან დარეკეს და ვილაცამ, ეტყობა, აზრზე მოიყვანა. ეს რეგისტრატორების უფროსი, რომელსაც პიჯაკზე ეწერა: Marchelo, ეუბნებოდა, რომ არ იყო აშშ შტატი ჯორჯია, არამედ რეფაბლიკ ოფ ჯორჯიაო. ისიც ალბათ ეუბნებოდა, გაუშვიო. გამოგვიშვეს. ასეთი შთამბეჭდავი მგზავრობა მქონდა. დავრწმუნდი ერთში: ყველაზე საშიში პატიოსანი კაცია, თუ ის შეცდა, რადგან თავის შეცდომას თუ ვერ იგებს, ვერაფერი გიშველის. უკრაინის, რუსეთის და სხვა პოსტსაბჭოთა აეროპორტში ასეთი რამ არ მოგივა, იქ ჩაანყო მწვანით, აქ კი ვრჩებოდი სხვა კონტინენტზე და თავიდან მოგვინევდა ასობით დოლარის გადახდა ჯერ ბილეთში, შემდეგ სასტუმროშიც, რადგან მეორე ფრენა ამ რეისით მხოლოდ მეორე ღამეს იყო. ასეა, ზოგჯერ საუკეთესო მექანიზმიც იქედება.

**გაგრძელება.**  
**დასაწყისი იხ. 2021, N3,4; 2022, N1,2,3**



## გიორგი გაბუნია

**უზუსტობაც არის და უზუსტობაც!!!**

2022 წლის 6-12 ივნისს გაზეთმა „კვირის პალიტრამ“, სათაურით „ვაჟა-ფშაველას უთქვამს ამ პატარას ისეთი თვალეები აქვს, აუცილებლად სახელგანთქმული კაცი გამოვარ“, გამოაქვეყნა ჟურნალისტ ნელი ვარდიაშვილის ინტერვიუ სიღნაღის სანდრო მირიანაშვილის სახლ-მუზეუმის მენეჯერ მარინა ჩახვაშვილთან (იხ.: N23, გვ. 19). სამწუხაროდ, ამ მეტად საინტერესო ინტერვიუში დაშვებულია აბსურდული ხასიათის დიდი უზუსტობა. კერძოდ, ქალბატონი მარინა გვამცნობს, რომ: „სანდრო მირიანაშვილის ბებიის და, ბაბო პეტრიაშვილი, ვაჟას უმცროსი ძმის, სანდროს მეუღლე გახლდათ. 9 თვის ყოფილა სანდრო, ბეზია ქეთევანს დის ოჯახში რომ წაუყვანია. ამ დროს ვაჟა საავადმყოფოდან ახალი გამოყვანილი ჰყავდათ ძმის სახლში. სანდროს ტირილზე ოთახიდან გამოუხედავს და ბავშვს მოჭფერებია. შემდეგ კი უთქვამს: „ამ მტირალა პატარას ისეთი თვალეები აქვს, აუცილებლად სახელგანთქმული კაცი გამოვარ“. იმ დღეს ვაჟას სანდროსთვის ლექსიც დაუნერია, რომელსაც სანდროს დედა უბით დაატარებდა, თუმცა ლექსი მაინც დაიკარგა. ვაჟას სწორედ ამ შეხვედრის დროს უჩუქებია ბავშვისთვის საკუთარი ხელით გამოთლილი ფანდური“.

მკითხველი რომ არ გადავღალო ჩემი „ვერსიებით“ და მარჩიელობით, მოკლედ ვიტყვი, რომ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ცნობილი კომპოზიტორის ალექსანდრე (სანდრო) მი-

რიანაშვილის დაბადების თარიღად მითითებულია 1915 წლის 12(25) სექტემბერი (იხ.: ტ. 7, გვ. 11), ხოლო ვაჟა-ფშაველა რომ 1915 წლის 27 ივლისს აღესრულა, ეს ყველას კარგად მოეხსენება. ამდენად, დიდი მგოსნის სიკვდილის უამს სანდრო დაბადებული ნამდვილად ვერ იქნებოდა და იგი ამ წუთისოფელს „პოეზიის არნივის“ გარდაცვალებიდან მხოლოდ ორიოდ თვის შემდეგ რომ უნდა მოვლინებოდა, ამას მისნობა არ სჭირდება და ეს ასეც მოხდა. აქედან გამომდინარე, ზემოთ მოტანილ ეპიზოდში აშკარა შეუსაბამობა არის დაშვებული და ამიტომ, ის წყარო, საიდანაც იგი არის აღებული, აუცილებლად გადასამოწმებელია.

P.S. 2022 წლის 4-10 ივლისს „კვირის პალიტრაში“, სათაურით „რატომ მიეცა დავიწყებას საქართველოს ბულბული ვანო სარაჯიშვილი“, გამოქვეყნდა ზემოხსენებული ჟურნალისტის ნელი ვარდიაშვილის ინტერვიუ სიღნაღში ვანო სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმის მენეჯერ მაია გელაშვილთან, რომელიც თავის ინტერვიუში ბრძანებს, რომ ვანო სარაჯიშვილი დაიბადა 1869 წელს და გარდაიცვალა 1924 წლის 11 ნოემბერს, 45 წლის ასაკში. აქ აშკარად ლაფსუსია დაშვებული, ვინაიდან დიდი ქართველი მომღერალი დაიბადა არა 1869 წელს, არამედ 1879 წლის 1(13) მაისს (იხ.: ქსე, ტ. 9, გვ. 100) და სწორედ ამიტომ გახლდათ გარდაცვალებისას იგი 45 წლის.

# საიუბილეო და ღირსშესანიშნავ დღეთა 2023 წლის მცირე კალენდარი

## იანვარი

- 3 – 160 წლის წინათ დაიბადა ექვთიმე თაყაიშვილი – დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი (1863-1953 წწ).
- 4 – 90 წლის წინათ (1933 წ.) დაიბადა ილია II – საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი.
- 5 – 160 წლის წინათ დაიბადა მელიტონ ბალანჩივაძე (1863-1937 წწ) – ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი.
- 20 – 175 წლის წინათ დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი – დიდი ქართველი მწერალი (1848-1893 წწ).

## თებერვალი

- 8 – 950 წლის წინათ დაიბადა დავით აღმაშენებელი – საქართველოს მეფე (1073-1125 წწ)
- 19 – 170 წლის წინათ დაიბადა ზაქარია ჭიჭინაძე – ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე (1853-1922 წწ)
- 23 – 150 წლის წინათ დაიბადა დიმიტრი არაყიშვილი – ქართველი კომპოზიტორი (1873-1953 წწ)

## მარტი

- 7 – 130 წლის წინათ დაიბადა პოლიკარპე კაკაბაძე – ქართველი დრამატურგი (1893-1972 წწ)
- 20 – 90 წლის წინათ დაიბადა ოთარ ჭილაძე – ქართველი პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი (1933-2009 წწ).

## აპრილი

- 22 – 90 წლის წინათ დაიბადა გურამ ფანჯიკიძე – ქართველი მწერალი – პროზაიკოსი, პუბლიცისტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1933-1997 წწ.)
- 24 – 90 წლის წინათ დაიბადა რეზო ჭეიშვილი – ქართველი მწერალი (1933-2015 წწ).

## მაისი

- 7-150 წლის წინათ დაიბადა იროდიონ ევდომიშვილი – ქართველი მწერალი (1873- 1916 წწ)
- 130 წლის წინათ დაიბადა ვიქტორ ბროსე – საბიბლიოთეკო და საარქივო საქმის ფუძემდებელი საქართველოში, ბიბლიოთეკარი, ბიბლიოგრაფი. ( 1893-1937 წწ)
- 15 – 130 წლის წინათ დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია – ქართველი მწერალი (1893-1975 წწ)
- 23 – 100 წლის წინათ დაიბადა რევაზ ჯაფარიძე – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი (1923-1999 წწ).

## ივნისი

- 5 – 90 წლის წინათ დაიბადა თენგიზ ჩანტლაძე – ქართველი მსახიობი (1933-1988).
- 15 – 90 წლის წინათ დაიბადა ბორის ნიფურია – ქართველი მსახიობი(1933-2005).

## ივლისი

- 13 –160 წლის წინათ დაიბადა ოსკარ ივანესძე შმერლინგი – გერმანული წარმოშობის ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი (1863-1938 წწ).
- 18 –140 წლის წინათ დაიბადა ნოე ჩხიკვაძე – ქართველი პოეტი (1883-1920 წწ)

## აგვისტო

- 23 – 90 წლის წინათ დაიბადა გივი შაჰნაზარი – მთარგმნელი, პოეტი (1933 წ.).

## სექტემბერი

- 1 – 120 წლის წინათ დაიბადა ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილი – მწერალი, ჟურნალისტი (1903-1984 წწ).
- 12 – 90 წლის წინათ დაიბადა გურამ თიკანაძე – მთამსვლელი, ფოტოხელოვანი (1933-1965 წწ).
- 17 – 130 წლის წინათ დაიბადა ვიქტორ ნოზაძე – ჟურნალისტი, მწერალი, რუსთაველოლოგი (1893-1975 წწ)



22 – 210 წლის წინათ დაიბადა გიორგი ერისთავი – ქართველი პოეტი, დრამატურგი

### ოქტომბერი

9 – 180 წლის წინათ დაიბადა ნიკო ნიკოლაძე – ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე (1843-1928 წწ)

### ნოემბერი

1 – 130 წლის წინათ დაიბადა პავლე ინგოროყვა – ქართველი მეცნიერი, მწერალი (1893-1989წწ )

4 – 150 წლის წინათ დაიბადა მემედ აბაშიძე – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ქართველთა ერთიანობისთვის მებრძოლი ( 1873-1941 წწ).

30 – 90 წლის წინათ დაიბადა ზაირა ივანეს ასული არსენიშვილი – ქართველი მწერალი (1933-2015 წწ)

### დეკემბერი

28 – 120 წლის წინათ დაიბადა მიხეილ კალატოზიშვილი (კალატოზოვი) – კინორეჟისორი, სცენარისტი, (1903-1973 წწ).

## ადგილობრივი და საერთაშორისო დღესასწაულები

14 იანვარი – ქართული თეატრის დღე  
3 მარტი – დედის დღე. მწერლების საერთაშორისო დღე.

8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე.

21 მარტი – ქართული ჟურნალისტიკის დღე. მიწის საერთაშორისო დღე

27 მარტი – თეატრის საერთაშორისო დღე.

2 აპრილი – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.

6 აპრილი – სპორტის საერთაშორისო დღე.

7 აპრილი – ჯანმრთელობის მსოფლიო დღე.

9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

9 აპრილი – საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

11 აპრილი – მუზეუმის დღე.

14 აპრილი – ქართული ენის დღე.

22 აპრილი – დედამიწის საერთაშორისო დღე

30 აპრილი – ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე საქართველოში

9 მაისი – ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული.

15 მაისი – შოთა რუსთაველის დღე

18 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღე

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

27 მაისი – ბიბლიოთეკარების საერთაშორისო დღე.

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

5 ივნისი – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.

20 ივლისი – ჭადრაკის საერთაშორისო დღე.

2 აგვისტო – ილიაობა.

12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

24 აგვისტო – საქართველოს კონსტიტუციის დღე.

1 სექტემბერი – ცოდნის დღე.

21 სექტემბერი – მშვიდობის მსოფლიო დღე.

1 ოქტომბერი – მუსიკის საერთაშორისო დღე.

5 ოქტომბერი – მასწავლებლის საერთაშორისო დღე.

24 ოქტომბერი – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.

10 ნოემბერი – ახალგაზრდობის მსოფლიო დღე. მეცნიერების საერთაშორისო დღე.

10 დეკემბერი – საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.


*კალენდარი შეადგინა ნატო ჩადუნელმა*




2022 წელს გამოცემული ახალი წიგნების მცირე ჩამონათვალი



**ბევრი პაატა ნაცვლითვილი:** [კრებული] / პროექტის ხელმძღვანელი და წინასიტყვაობის ავტორი მანანა კარტოზია; რედაქტორი ელზა ნაბახტეველი, ფოტოების ავტორი ნინო სხირტლაძე; კონსტრუქცია და დიზაინი პატრიკ ჩეინჯი. – თბ.: სეზანი, 2022. – 488გვ. – 22 სმ




**ანთიმოზ ივერიელი.** რჩეული თხზულებები / ანთიმოზ ივერიელი; რედაქტორი რისმაგ გორდუზიანი; რუმინული ტექსტის რედაქტორი არქიმანდრიტი მიქაელ სტანჩოუ; ინგლისური თარგმანის სამეცნიერო რედაქტორი მაიქლ ვიქერსი. – თბილისი, 2022. – 210, [4] გვ.: ილ.; 27 სმ



**მელიქიშვილი, დამანა.** იოანე პეტრიწის ენა და სტილი : იოანე პეტრიწი და ქართული სამეცნიერო-მწიგნობრული ენის განვითარების გზები / დამანა მელიქიშვილი ; რედაქტორი ანა ხარანაული; ინგლისურ ტექსტის მთარგმნელი ლევან გიგინეიშვილი ; გარეკანის მხატვარი ბესიკ ხარანაული (უმცროსი). თბილისი : მერიდიანი, 2022. – 384 გვ. ; 20 სმ




**თარგმანი როგორც შემოქმედება:** [კრებული] / რედაქტორი მარიამ გოჩიტაშვილი; წინათქმა მაია ფანჯიციძე; ყდის დიზაინერი თათია ნადარეიშვილი. – თბილისი: სულაყურის გამომცემლობა, 2022. – 310 გვ.; 20 სმ – ეძღვნება დიდი ფანჯიციძეს.




**პეტრე ოცხელი 115 = Petre Otskheli 115:** გამოფენის გზამკვლევი, თბილისი-ზუგდიდი-ქუთაისი / კატალოგი შეადგინა, ტექსტები, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო გიორგი კალანდიაძე; თარგმანი ნუცი კაჭახიძე; რედაქტორი ირინე მოისწრაფიშვილი. – თბილისი: საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2022. - 52 გვ.: ფოტ., პორტრ., ილ.; 24 სმ







**გიგნაძე, თეოდორე, დეკანოზი.** განსხვავებული საზრისები. ნაწილი 1 / დეკანოზი თეოდორე გიგნაძე, ანდრო დგებუაძე ; რედაქტორი ესმა მანია; დიზაინერი ბესიკ დანელია. – თბილისი: აზროვნების აკადემიის გამომცემლობა, 2022. – 254 გვ.; 19.5 სმ




**ჯოლოგუა, თამაზ.** ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები, პუბლიკაციები / თამაზ ჯოლოგუა; რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი. – თბილისი: არტანუჯი, 2022. – 520 გვ.; 20,5 სმ



**სურგულაძე, კახაბერ.** კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს.: (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა) / კახაბერ სურგულაძე, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე, ტატიანა კოპალეიშვილი; რედ. მურმან პაპაშვილი. – თბილისი: უნივერსალი, 2022. – 408 გვ.: ილ.; 24 სმ. – ეძღვნება ქველმოქმედ პავლე ზაზაძის (1900-1989) ხსოვნას.



**ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი.** ალბანეთი: ალბანეთის საკათალიკოსო და საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია კახეთსა და ჰერეთში / მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; რედაქტორი ნათელა თუხარული; საქ. საპატრიარქოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმ. კომისია, საქ. საპატრიარქოს თეორიულ-მეცნიერული ეპარქია. – თბილისი, 2022. – 432 გვ., 10 ფ. დაკავ. რუკა ; 25 სმ



**ქართული ფილმები, 2021-2022 = Georgian films, 2021-2022 /** რედაქტორები: მანანა სურაძე, ნათია კანთელაძე, ნენო ქავთარაძე; დიზაინი ალექსი კახნიაშვილი; საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი. – თბილისი, [2022]. – 168 გვ.: ილ.; 20,5 სმ



Paata Natsvlishvili

მარკების სერია: „საქართველო გაეროს ნიშნით“, 1993.  
 დიზაინერი: პაატა ნაცვლიშვილი